პარლამენტმა და მთავრობამ საგადასახადო კოდექსის 180-მდე მუხლი შეათანხმა A4
სარედაქციო ფოსტა A8
თვალსაზრისი B6

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 3 დეკემბერი, 2004 წელი. №287 (836)
ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### ბელორუსში „ვარდები" და „ნარინჯისფერი" თანაბრად აშინებთ



სახელისუფლებო ვერტიკალის გაძლიერების გეგმები ლუკაშენკოს არც ნოემბერში პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას დაუმალავს.

A5

## სამართალი

### 2 მილიონი თუ ღირსეული მართლმსაჯულება



იუსტიციის საბჭო მოსამართლეების ხელფასის 100 ლარით გაზრდას ითხოვს.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"
ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.
A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

## ამინდი

| | 2/12 | 3/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | 11 |
| ქუთაისი | 14 | 16 |
| ბათუმი | 16 | 18 |
| სოხუმი | 9 | 12 |
| ფოთი | 15 | 16 |
| თელავი | 6 | 9 |
| ზუგდიდი | 13 | 14 |
| გორი | 6 | 8 |
| ახმეტა | 7 | 8 |
| ჭიათურა | 10 | 11 |
| გაგრა | 8 | 8 |
| სამტრედია | 14 | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.4177 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4911 |
| რუბლი | 0.0650 |

# დაბრუნება მოსკოვში

## პუტინსა და კუჩმას ხელახალი არჩევნების იდეა არ მოსწონთ



უკრაინაში არჩევანისთვის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გადაიზარდა.

უკრაინის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის გუშინდელმა ქმედებამ არაერთგვაროვანი შეფასებები დაიმსახურა. თუ უკრაინული ოპოზიციის ლიდერებმა ლეონიდ კუჩმას მოსკოვში ვიზიტი ლამის ლაჩრულ გაქცევად აღიქვეს, თავად კუჩმას მასპინძელს, ვლადიმირ პუტინს, ბუნებრივია, საქებარი სიტყვები არ დაუშურებია კოლეგის მიმართ. "პატივცემულო ლეონიდ დანილის ძევ! მოხარული ვარ, რომ ქვეყანაში შექმნილი ასეთი რთული შიდაპოლიტიკური სიტუაციის პირობებში, თუნდაც რამდენიმე წუთით მოახერხეთ შეხვედრა, რათა უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა, გვესაუბრა სიტუაციის განვითარების პერსპექტივასა და ძალიან რთული პოლიტიკური კრიზისიდან შესაძლო გამოსავალზე". ორი ქვეყნის ლიდერის შეხვედრის მთავარი აზრი შემდეგი იყო: უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ხელახლა ჩატარება სრული სისულელეა. მერე რა, რომ ამის შესახებ უკრაინის ხელისუფლებას თითქმის მთელი მსოფლიო (მათ შორის ევროპარლამენტი სპეციალურად შემუშავებული რეზოლუციით) მოუწოდებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საზოგადოებრივი ტელევიზია "დუბლი" მეორე

გიორგი ასანიშვილი

კანონპროექტი "მაუწყებლობის შესახებ" მეორე "წრეზე" (მოსმენაზე) წავიდა. გუშინ მას ერთბაშად სამი საპარლამენტო კომიტეტი (იურიდიულ საკითხთა, მეცნიერებისა და დარგობრივი ეკონომიკის) იხილავდა. დებატები ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მარათონს ბოლომდე სხდომის ვერც ერთმა წამყვანმა ვერ გაუძლო: ლევან ბეჟაშვილის შემდეგ მას უძღვებოდნენ ნიკო ლეკიშვილი, ნინო კალანდაძე, გია ნაცვლიშვილი... როდესაც პრეზიდიუმი საერთოდ ცარიელდებოდა, "დირიჟორის" ფუნქციას კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი გიგა ბოკერია ასრულებდა.

"მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა, მომქანცველი ხასიათის მიუხედავად, დაძაბული და წინააღმდეგობრივი სულაც არ ყოფილა. ოპოზიციის აქტიურობა, ძირითადად, იმაში გამოიხატა, რომ განხილვის დასაწყისში შეეცადა, დისკუსია განსხვავებული მიმართულებით წარმართულიყო. "ახალმა მემარჯვენეებმა" პოლიტიკური შეფასება მისცეს საზოგადოებრივი მინიტორინგის დროებითი კომისიის მიერ 1 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე მომხდარ ინციდენტს, თუმცა, მათ განცხადებას საპასუხო რეაქცია არ მოჰყოლია და სამი კომიტეტის

გაგრძელება A2 გვერდზე

# ინგლისელთა მოგზაურობა საქართველოში



გთავაზობთ ფოტოებს, რომლებიც საქართველოში პირველად ქვეყნდება.

B1

# პრესა და თავისუფლება

ვერიკო თევზაძე

დღის შეკითხვა:

1. თავისუფალია თუ არა პრესა საქართველოში?

2. საერთაშორისო ორგანიზაცია "თავისუფლების სახლის" მონაცემებით, საქართველოში პრესის თავისუფლების ხარისხის რეიტინგული ინდექსი ოთხი ბალის ტოლია (შვიდბალიანი სისტემიდან ერთი საუკეთესო მაჩვენებელია, შვიდი კი - ყველაზე დაბალი), რაც "ნაწილობრივ თავისუფალს" ნიშნავს. წინა წლებთან შედარებით (1998 –2000 წლები), საქართველოში პრესის თავისუფლების ხარისხი ერთი ბალით დაეცა. ეთანხმებით თუ არა ასეთ შეფასებას?

გაგრძელება A3 გვერდზე

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.



A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 თვალსაზრისი | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

## თვითმკვლელობა ბათუმის საპყრობილეში

29 წლის განსასჯელმა გიორგი გოგიჩაიშვილმა ბათუმის N3 საპყრობილეში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

თბილისელი გიორგი გოგიჩაიშვილი ბათუმში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა აგვისტოში დააკავეს. მას საბრძოლო მასალის უკანონო შენახვისთვის აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული.

როგორც შს სამინისტროში ირწმუნებიან, ბათუმში ბებიის დასაფლავებაზე ჩასულ გოგიჩაიშვილს პირადი ჩხრეკისას ხელყუმბარა აღმოაჩნდა. მანამდე კი, გოგიჩაიშვილის დაკავების მიზეზი მკვლელობაში ეჭვმიტანილობა გახდა. გოგიჩაიშვილის ახლობლები კი აცხადებენ, რომ მას ხელყუმბარა სამართალდამცველებმა დაკავების დროს ჩაუდეს.

გოგიჩაიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით მე-13 საკანში დაასრულა. მასთან ერთად სასჯელს საკანში კიდევ ორი პირი იხდიდა. როგორც მათ გამოძიებას განუცხადეს, ღამით არანაირი ხმაური არ გაუგიათ, დილით კი საპირფარეშოს კარებზე ქამრით ჩამოკიდებული გოგიჩაიშვილის გვამი ნახეს.

გოგიჩაიშვილს პერანგის ჯიბეში წერილი აღმოაჩნდა, სადაც ის თავს უდანაშაულოდ აცხადებს და ბოდიშს უხდის საკანში მყოფ პატიმრებს და მშობლებს თავისი საქციელისთვის. ექსპერტიზამ უკვე დაადგინა, რომ წერილი ნამდვილად გოგიჩაიშვილმა დაწერა. ექსპერტიზამ გვამის დათვალიერება მოახდინა. გვამს წამების კვალი არ ეტყობა. საბოლოო დასკვნას ექსპერტიზა ორ კვირაში გააკეთებს. მიუხედავად ამისა, გარდაცვლილის ახლობლები არ გამორიცხავენ, რომ გოგიჩაიშვილმა თავი კი არ ჩამოიხრჩო, არამედ იგი მოკლეს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, აჭარის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*ინტერ-პრესი*

## აჭარა თავისი ქონების განკარგვის უფლებას ითხოვს

„ვიდრე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა მომზადდება, ეკონომიკის სამინისტრომ აჭარაში არსებული ქონების გაყიდვა უნდა შეწყვიტოს," - აცხადებს აჭარის უმაღლესი საბჭოს ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მერაბ ქიძინიძე.

მან აჭარაში პრივატიზაციის პროცესის შეჩერების მოთხოვნით საქართველოს პარლამენტს მიმართა. აჭარის უმაღლესი საბჭოს ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ პრივატიზაციის პროცესს აჭარაში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა აფერხებს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრსა და რეგიონს შორის ქონების გამიჯვნა 15 ოქტომბრამდე უნდა მომხდარიყო , ეს პროცესი დღემდე არ დასრულებულა.

გარდა ამისა, მერაბ ქიძინიძის მტკიცებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკონსტიტუციო ნორმის თანახმად, ავტონომიაში არსებული ქონების განმკარგავი აჭარის ხელისუფლებაა, რასაც აბათილებს პრივატიზაციის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ქონების განმკარგავი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროა. **მედია-ნიუსი**

## "თბილისის" ენერგომომარაგება შეიზღუდება?

მიმდინარე კვირის ბოლოს კომპანია "მტკვარი ენერგეტიკა" მე-9 ენერგობლოკის გათიშვას გეგმავს. როგორც "ინტერპრესისთვის" გახდა ცნობილი, მე-9 ენერგობლოკი საახალწლოდ რუსმა ინვესტორებმა ტექნიკურად უნდა მოამზადონ. წინასწარი ინფორმაციით, რუსი ინვესტორები ბლოკისთვის საწვავის მიმწოდებელი მილების გამოცვლას გეგმავენ. სავარაუდოდ, ბლოკის გათიშვის გამო, შეიზღუდება როგორც დედაქალაქის, ისე საქართველოს რეგიონების ელექტრომომარაგება. ამჟამად მე-9 ენერგობლოკი 185 მეგავატის სიმძლავრის დატვირთვით მუშაობს. ბლოკის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით ერთ მესამედს დედაქალაქის ენერგოგამანაწილებელი კომპანია "თელასი" თბილისისათვის ყიდულობს, ხოლო ორ მესამედს "საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი" პირდაპირი მომხმარებლებისა და სხვა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებისთვის იძენს.

**ინტერ-პრესი**

## ირაკლი მელაშვილი: "ბიუჯეტის გადაჭარბება მთავრობის არაკომპეტენტურობას მოწმობს"

ტრადიციონალისტთა კავშირის წევრის ირაკლი მელაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში ბიუჯეტში ზედმეტი 106 მლნ ლარის მობილიზება იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობა არაკომპეტენტურია და ბიუჯეტს არასწორად გეგმავს.

**"ცრუობს ის, ვინც ამბობს, რომ ეკონომიკა გამოცოცხლებულია. ბიუჯეტში თანხები გაზრდილია ფინანსური მაქინაციების ხარჯზე; მაგალითად, თუ მოსახლეობა ერთი წლის მანძილზე მლრდ დოლარს ყიდდა და ყიდულობდა დაახლოებით 2.8 მლრდ ლარს, ამ ხელისუფლებამ დოლარის კურსი ხელოვნურად დასცა და ახლა მოსახლეობიდან ისევ მილიარდ დოლარს ყიდულობს უკვე 1.7 მლრდ ლარის გაცვლის ხარჯზე,"** - აცხადებს მელაშვილი.

მისივე აზრით, ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი ადმინისტრირების ხარჯზეა გაზრდილი, უმეტესი კი - ცალკეულ პირთა დაპატიმრებების ხარჯზე.

**"ბიუჯეტში გრანტების ნაწილში 85 მლნ ლარის გარღვევაა, სად წავიდა ეს თანხები, რატომ არ ამბობენ, ან რატომ არ აფინანსებენ საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს, როცა იყო პირობა, რომ ბიუჯეტის წარმატებით შესრულების შემთხვევაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები დიდძალ თანხებს გამოგვიყოფდნენ,"** - აცხადებს ირაკლი მელაშვილი.

*ინტერ-პრესი*

## ზურაბ ჟვანია ამერიკაში მიემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია 5 დეკემბერს ოთხდღიანი ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება. დელეგაციაში შედიან, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და პარლამენტის წარმომადგენლები.

საქართველოს პრემიერი შეხვედრებს გამართავს აშშ-ს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან. ძირითადად, განიხილება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხი. ამასთან, 5 დეკემბერს აშშ-დან საქართველოში ჩამოდის ხუთვარსკვლავიანი გენერალი, გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელი პეისი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯეიმს მაკ დუგალი. ისინი შეხვედრებს გამართავენ ქვეყნის პირველ პირებთან. საუბარი შეეხება აშშ-საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობას. **პრაიმ-ნიუსი**

## BP ნავთობის ტრანსპორტირებისთვის ემზადება

ბრიტანული კომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმის" ინფორმაციით, თურქეთის ქალაქ ჯეიჰანის პორტში, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბოლო პუნქტია, შვიდი რეზერვუარი ნედლი ნავთობის მისაღებად უკვე მზად არის. რაც შეეხება სანგაჩალის ტერმინალს, იქ დაგეგმილ სამუშაოთა 92 პროცენტია დასრულებული. **მედია-ნიუსი**

## საზოგადოებრივი ტელევიზია

### "დუბლი" მეორე



იური ლობოდინის ფოტო

*ოთხსაათიანი "ომის" შემდეგ, "ბრძოლის ველს" მხოლოდ სხდომაზე მიწვეული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამაუწყებლო კომპანიათა წარმომადგენლები შემორჩნენ.*

პირველი გვერდიდან

გაერთიანებული სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს მალევე დაუბრუნდა.

ოპოზიციის გარდა, პროტესტის გამოთქმას (ოღონდ, "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის ირგვლივ) ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა გოცირიძეც შეეცადა. მისი თქმით, მთავრობისთვის მიუღებელია ის, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსება მოხდეს საშემოსავლო გადასახადების 1,5 პროცენტის ოდენობით (ეს თანხა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან კი არ გამოიყოფა, არამედ ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაირიცხება).

კამათი არც ამ შემთხვევაში გაგრძელებულა დიდხანს: მთავრობის წარმომადგენელს შეახსენეს, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების ზემოთ დასახელებულ პრინციპს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე დაუჭირა მხარი.

სავარაუდო იყო, რომ აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ საარჩევნო დებატების გაშუქების საკითხი, ანუ ის, თუ რომელი პარტიები მიიღებენ გარანტირებულ საეთერო დროს წინასაარჩევნო პერიოდში. თუმცა, პრობლემა უმტკივნეულოდ გადაწყდა, უფრო ზუსტად, სამომავლოდ გადაიდო: კანონპროექტში გაჩნდა ჩანაწერი, რომ ამის უფლება მიეცემათ "კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს", ხოლო რომელი პოლიტიკური ძალები მოიაზრებიან ამ ტერმინის ქვეშ, საარჩევნო კოდექსით განისაზღვრება...

ოთხსაათიანი "ომის" შემდეგ, "ბრძოლის ველს" მხოლოდ სხდომაზე მიწვეული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამაუწყებლო კომპანიათა წარმომადგენლები, აგრეთვე რამდენიმე დეპუტატი შემორჩა. ამიტომაც მოხდა, რომ საკომიტეტო მოსმენა, ბოლოს, მათ შორის დავაში გადაიზარდა.

ვინაიდან მთელი ამ პროცესის კენჭისყრით დაგვირგვინება გუშინ შეუძლებელი აღმოჩნდა, გადაწყდა, რომ "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტი მეორე მოსმენით განხილულად ჩათვლილიყო, კენჭისყრა კი კომიტეტებში, ცალ-ცალკე, მოგვიანებით შედგება.

## ცხინვალის რეგიონის სკოლების კომპიუტერიზაცია გრძელდება



ვახო ბესელიას ფოტო

*კახა ლომაია თავად ხელმძღვანელობდა ძღვენის ჩამოტვირთვას.*

გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია ცხინვალის რეგიონს ეწვია. მან ცხინვალის რეგიონის ქართულენოვან სკოლებს დახმარების პროგრამის ფარგლებში 3100 სახელმძღვანელო, 1000 ლარის ღირებულების სასკოლო ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა გადასცა. კომპიუტერული ტექნიკითა და კომპიუტერული კლასებით რეგიონის სკოლების აღჭურვაში მონაწილეობა მიიღო ფონდმა "ღია საზოგადოება-საქართველო" და ასოციაციამ "გრენა".

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცხინვალის რეგიონში ახორციელებს კომპლექსურ პროგრამას, რომლის მიზანია რეგიონის ოცდაოთხივე ქართული სკოლის ასპროცენტიანი მომარაგება სასკოლო სახელმძღვანელოებით, სასკოლო თვალსაჩინოებებით, სასკოლო საკანცელარიო საქონლით. ასევე, რეგიონის ქართულ და ოსურ სკოლებში კომპიუტერული კლასების მოწყობა.

რამდენიმე დღის წინ დაიწვა ტირძნისის საშუალო სკოლის შენობა.

სკოლის ექვსასი მოსწავლე დროებით ბაღის შენობაშია გადაყვანილი. სკოლის დირექტორის თქმით, ოთახებს გადატიხვრა დასჭირდება, რომ ყველა კლასს ჰქონდეს სამუშაო პირობები. რაც შეეხება დამწვარ შენობას, მას დაანგრევენ და ახალს ააშენებენ. ამ სკოლაში სამი სოფლის ბავშვები სწავლობენ. მინისტრი ტირძნისის სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს შეხვდა. **"ჩვენ ახლა განსაკუთრებით გვიხარია, რომ განათლების მინისტრმა ყურადღება მოგვაქცია. ადრინდელებისგან მიჩვეულები არა ვართ,"** - აღნიშნეს პედაგოგებმა და იმაზე, რაც ალექსანდრე ლომაიამ ერთი წლის განმავლობაში სკოლებისა და მასწავლებლებისთვის გააკეთა, მადლობა გადაუხადეს.

კომპიუტერებით აღჭურვილ სკოლებს გაისად ინტერნეტში ჩართავენ.

*24 საათი*

## სამომავლო პერსპექტივა - სამუდამო პატიმრობის გაუქმება

ევროპის საბჭოსა და იტალიის იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, რომში გაიმართა სამდღიანი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "პირობით ვადამდე გათავისუფლება და ხანგრძლივი (გრძელვადიანი) პატიმრობა".

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისა და, აგრეთვე, ამ ორგანიზაციის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოების პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელი პირები. ქართულ მხარეს წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლაშა კლდიაშვილი.

კონფერენცია გაიხსნა რომის კოლიზეუმში. მის მონაწილეებს საპატიო აუდიენცია ჰქონდათ რომის პაპთან იოანე-პავლე II-სთან.

კონფერენციაზე განსახილველ საკითხთა შორის იყო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ბოლო პერიოდში მიღებული რეკომენდაცია, რომელიც ევროსაბჭოს წევრ და წევრობის კანდიდატ ქვეყნებს ურჩევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე მსჯავრდებულის ექსტრადიციას მის სამშობლოში.

კონფერენციაზე განიხილეს, ასევე, პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურის ლიბერალიზაციისა და პატიმრის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხები.

ლაშა კლდიაშვილის თქმით, შეხვედრაზე გამოიკვეთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის - მუდმივი პატიმრობის - ჰუმანიზაციის ტენდენცია. **"არ არის გამორიცხული, საქართველომ, გარკვეული წლების შემდეგ, ევროსაბჭოს ზოგიერთი წევრი ქვეყნიდან მაგალითი აიღოს და სამუდამო პატიმრობა 20-დან 30 წლამდე ვადიანი პატიმრობით შეცვალოს,"** - თქვა ლაშა კლდიაშვილმა.

*მედია-ნიუსი*

### მოკლედ

#### მოსკოვსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა

2 დეკემბრიდან მოსკოვსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა, გაძლიერდა კონტროლი საზღვრის ამ მონაკვეთზე, მათ შორის, ზღვის მხრიდანაც.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამის მიზეზად აფხაზეთში 3 ოქტომბრის ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილ რთულ ვითარებას ასახელებენ. მათივე ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავს რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოებას და აფხაზი ხალხის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, სავარაუდოდ, 2005 წლის გაზაფხულისთვის იგეგმება.

ამასთან, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი ალექსანდრ ევტეევი აცხადებს, რომ სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტა სამშვიდობო ძალების როტაციას ხელს ვერ შეუშლის და სამშვიდობო ბატალიონი, რომელმაც კონფლიქტის ზონაში სამსახური დაასრულა, ოჩამჩირიდან ქალაქ მაიკოპისკენ რკინიგზით გაემგზავრება. **მედია-ნიუსი**

#### აფხაზები სამხედრო ხარჯებს აორმაგებენ

„აფხაზეთი თავდაცვისთვის განკუთვნილ ხარჯებს გააორმაგებს, რაც გამოწვეულია როგორც შიდა პოლიტიკური კრიზისით, ისე საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი აგრესიით," - განაცხადა გაზეთ „ვრემია ნოვოსტეისთვის" მიცემულ ინტერვიუში აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ. მისივე თქმით, სერიოზულად გაიზრდება რეგულარული დანაყოფების რაოდენობაც, რომლის რიგებშიც ამჟამად ხუთი ათასი სამხედრო მოსამსახურე ირიცხება. ეშბამ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ პოლიტიკური ძალები 18 ათასამდე აფხაზ რეზერვისტში განხეთქილების შეტანას ცდილობენ. „ამის მიუხედავად, უცხო ქვეყნისგან აგრესიის შემთხვევაში ისინი ერთად დადგებიან," - დასძინა ეშბამ. სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მისთვის ჯერ უცნობია, როგორ რეჟიმში იმუშავებს შეიარაღებული ძალები 6 დეკემბრისთვის, როცა სოხუმში სერგეი ბაგაფშის ინაუგურაციაა დაგეგმილი. **მედია-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**საჩხერე.** საჩხერეში ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა მეექვსე ბატალიონის ბანაკი გუშინ საზეიმოდ დაიხურა. ღონისძიებაში მონაწილეობა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ ლევან ნიკოლეიშვილმა და ეროვნული გვარდიის სარდალმა სოსო ქუთათელაძემ მიიღეს. წვრთნები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან 350-მა რეზერვისტმა გაიარა. თავდაცვის მინისტრმა 21-დღიანი სწავლების შემდეგ ჩატარებულ საწვრთნელ სროლებსა და სხვადასხვა ოპერაციებს მაღალი შეფასება მისცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** ყუბანის კაზაკები აფხაზეთის მოსახლეობას, ვლადისლავ არძინბას განკარგულების შესაბამისად, ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდებენ. გუშინ ყუბანის კაზაკები თვითაღიარებულ რესპუბლიკაში 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილ ვითარებას გამოეხმაურნენ და რეგიონის მოსახლეობას სპეციალური განცხადებით მიმართეს. აფხაზი ხალხისადმი გაგზავნილ მიმართვაში კაზაკები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ "აფხაზეთის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას რეალური საფრთხე შეექმნა". ყუბანის კაზაკები აფხაზეთის მოსახლეობას ახსენებენ, რომ "აფხაზეთის ინტერესების დასაცავად ისინი ქართველების წინააღმდეგ მათთან ერთად იბრძოდნენ. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ახალი აგრესიის შემთხვევაში კი, ყუბანის კაზაკები მათ დასახმარებლად აფხაზეთში კვლავ ჩავლენ". "ბრძენი და თავმოყვარე აფხაზი ხალხი გამოიჩენს მოთმინებას და პრობლემების მოგვარების საუკეთესო გზას თავად მოძებნის," - ნათქვამია განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსით ქუთაისში ჩავიდა. იგი ქალაქის N23-ე საშუალო სკოლას ეწვია, სადაც ქართული ლიტერატურის ღია გაკვეთილს დაესწრო. გუშინვე პარლამენტის თავმჯდომარემ მოქალაქეთა ტრადიციული მიღება გამართა და ქუთაისში მცხოვრებ, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას შეხვდა. „ვფიქრობ, კვირაში ერთხელ მაინც შევხვდე ქუთაისის მოსახლეობას, რათა უკეთ ვიცოდე, რა პრობლემები აქვთ," - აცხადებს ნინო ბურჯანაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყულევის პოლიგონზე საჰაერო ძალების საფრენოსნო-ტაქტიკური წვრთნები დაიწყო, რომელშიც საჰაერო ძალების პირად შემადგენლობასთან ერთად უკრაინაში მომზადებული ხუთი ეკიპაჟიც მონაწილეობს. საფრენოსნო-ტაქტიკურ წვრთნებს საჰაერო ძალების სარდალი ამირან სალუქვაძე ხელმძღვანელობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დეკემბრის შუა რიცხვებში ყაზბეგში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის სასაზღვრო სამსახურების წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართება. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის კორნელი სალიას განცხადებით, შეხვედრაზე ზამთრის პერიოდში რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაცვისა და 2005 წლის ერთობლივი მუშაობის საკითხები შეთანხმდება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

„ხელისუფლების უმოქმედობის გამო თვითმართველობისათვის 2005 წელი დაკარგულია“

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო

FM 107.4

ხალხის ტრიბუნა ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე





**წამყვანი** - რატი გარსევანიშვილი

**სტუმრები** - თენგო შერგელაშვილი ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე ეფექტური მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფო კომისიის წევრი

**დავით ლოსაბერიძე** მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში

ეფექტური მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფო კომისიის წევრი

**კოტე კანდელაკი** სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე

**თენგო შერგელაშვილი:** დღეს შენარჩეუნებულია შევარდნაძის მიერ შექმნილის სისტემა, რომლის პირობებშიც შეუძლებელია განვითარდეს ეკონომიკა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და დემოკრატია. დღეს მოქმედ მმართველობით სისტემაში ჩადებულია შიდა პარადოქსები. ის აგებულია პერსონალურ ურთიერთობებზე, მლიქვლენობასა და ყვარყვარიზმზე.

განვითარება ხელისუფლებამ უნდა გამოხატოს მკაფიო ნება დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმართველობის განვითარების კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის ნორამლურ განვითარებაზე საუბარი ზედმეტი იქნება.

**კოტე კანდელაკი:** არსებობს კანონპროექტების პაკეტი, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროს შევიმუშავეთ. სამწუხაროდ ეს პაკეტი ახალ ხელისუფლებასაც არ განუხილავს. ამ პაკეტს მხარს უჭერს საქართველოს ქალაქების თვითმართველობათა კავშირი, რომელმაც შესაბამისი მიმართვით პრეზიდენტსა და პარლამენტს მიმართა.

**დავით ლოსაბერიძე:** თვითმართველობის განვითარება საქართველოში 4 მიზანს უნდა ემსახურებოდეს: 1) საზოგადოების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში - მაქსიმალური დემოკრატიულობა; 2) საზოგადოებრივი მომსახურების მაქსიმალურად მაღალი ხარისხი; 3) ადგილობრივი ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტების ჩამოყალიბება რაც რეგიონებს მისცემს საშუალებას ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ადგილზე გადაწყვიტოს; 4) დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვან მექანიზმად უნდა იქცეს ქვეყნის დეზინტეგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

საქართველოს ხელისუფლებას აქვს ვადლებულება როგორც საკუთარი მოსახლეობის ასევე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ჩამოაყალიბოს ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურები.

# დაბრუნება მოსკოვში

## პუტინსა და კუჩმას ხელახალი არჩევნების იდეა არ მოსწონთ

პირველი გვერდიდან

რუსეთი მზადაა, მონაწილეობა მიიღოს უკრაინული კრიზისის მოგვარებაში. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა თავის უკრაინელ კოლეგასთან მოსკოვის სამთავრობო აეროპორტ "ვნუკოვო–2"–ში განაცხადა. **"ჩვენ მზად ვართ, ისეთი სახით ჩავერთოთ სიტუაციის დარეგულირებაში, როგორსაც თქვენ მიიჩნევთ მისაღებად,"** - ამბობს ვლადიმირ პუტინი.

როგორ შეიძლება შეფასდეს ლეონიდ კუჩმას ვიზიტი მოსკოვში? გუშინ პუტინის "მეგობრული რჩევები" უფრო დირექტივას მოგაგონებდათ: არ გადაუხვიოთ სამართლებრივი ჩარჩოებიდან. **"როგორი შიდა პოლიტიკური გრიგალიც არ უნდა ტრიალებდეს, იმედი გვაქვს, რომ ყველა მხარე სამართლებრივ ფარგლებში, მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედებს. დაირღვევა თუ არა კონსტიტუცია, თავად ქვეყანაც ნგრევას დაიწყებს,"** - აღნიშნავდა პრეზიდენტი პუტინი. ორივე პრეზიდენტი კი ერთხმად აცხადებდა, რომ ევროპელი შუამავლების მიერ შეთავაზებული წინადადება, რომელიც მეორე ტურის ხელმეორედ ჩატარებას ითვალისწინებს, იურიდიული თვალსაზრისით, სრული უაზრობაა. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, მისთვის უცნობია ქვეყანა, სადაც ისეთი იურიდიული ნორმა არსებობდეს, როგორიც ხელახალი კენჭისყრაა. **"ეს ხელახალი კენჭისყრა კი არა, პლებისციტი იქნება,"** - ამბობდა "აღშფოთებული" კუჩმა. პუტინი თავის უკრაინელ კოლეგას დაეთანხმა და განაცხადა, რომ "ამგვარი წინადადებებით გაოცებულია". **"ეს არაფერს მოგვცემს. ხელახალი კენჭისყრა შეიძლება სამჯერ, ოთხჯერ, ოცხდახუთჯერ ჩატარდეს, ვიდრე ერთი-ერთი მხარე საჭირო შედეგს არ მიიღებს,"** - აზრის ჩამოყალიბებაშიც შეეშველა კოლეგას რუსეთის პრეზიდენტი. რა მოხდა, თუ არჩევნები გაყალბდა, თუ უკრიანელთა აზრი და ცესკო-ს გამოქვეყნებული შედეგები ერთმანეთს არ ემთხვევა? – პრეზიდენტებისთვის გუშინ უფრო მნიშვნელოვანი იურიდიული ფორმა და არა შინაარსი იყო.



კუჩმა და პუტინი ისევ თავის გეგმებს აწყობენ.

50 მილიონიანი ქვეყნის პრეზიდენტი მეზობელი ქვეყნის მმართველთან შეხვედრისას სრული უსუსურობის განსახიერება იყო. იგი თანხმობის ნიშნად ყველაფერზე თავს უქნევდა კოლეგას და როგორც ჩანს, ცდილობდა, ბეჯითად დაემახსოვრებინა მისი "რჩევები".

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელმაც პრეზიდენტების ხანმოკლე შეხვედრისას გაიჟღერა, ბოლო დროს გამწვავებული უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი იყო. **"ჩვენ ფრიად შეშფოთებული ვართ ყველაფრით, რაც ქვეყნის გახლეჩის ტენდენციას უკავშირდება, და ჩვენ მხარს ვუჭერთ სახელმწიფოს ერთიანობის გაძლიერებისაკენ მიმართულ თქვენს მცდელობებს. ჩვენ ვღელავთ ამასთან დაკავშირებით და ნამდვილად არ არის სულერთი, რა ხდება თქვენთან".**

მოსკოვისთვის მართლაც რომ არ არის სულერთი უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, სპეციალურად აღნიშვნა, შესაძლოა, არც იყო საჭირო - პუტინმა უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში ღია ჩარევით არაერთხელ დაადასტურა ეს. სხვათა შორის დასავლეთიც არ არის ამ მხრივ გულგრილი. ეს ყველაფერი პრაგმატული პოლიტიკის ჩვეულებრივი გამოვლინება იქნებოდა, რომ არა კუჩმა-პუტინის კონსულტაციების ფორმა. იგი უფრო მეტად "პატრონ-ყმურ" დამოკიდებულებას მოგაგონებდათ, ვიდრე ორი თანასწორი პოლიტიკოსის ურთიერთობას.

შეხვედრის დასასრულს პუტინმა კუჩმას აღუთქვა, რომ "რუსეთი ყოველთვის უკრაინასთან იქნება". **"მინდა დაგარწმუნოთ, რომ რუსეთი ყოველთვის უკრაინასთან იქნება, მხარს დაუჭერს და დაეხმარება მას ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციისკენ მიმართულ ყველა ძალისხმევაში. ჩვენთვის უკრაინა ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა,"** - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა. პუტინთან მოლაპარაკების დასრულებისთანავე, ლეონიდ კუჩმა კიევში გაფრინდა.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვში გაფრენამდე, კუჩმამ ევროპარლამენტარებთან მოასწრო შეხვედრა და მათი პოზიციით, რბილად რომ ვთქვათ, კმაყოფილი არ დარჩა. შეგახსენებთ, ეეროპარლამენტმა 1 დეკემბერს სპეციალური რეზოლუცია მიიღო უკრაინასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ ევროპარლამენტი არ ცნობს უკრიანის საპრეზიდენტო არჩევნების მე-2 ტურს, რადგანაც იგი ფალსიფიცირებული იყო. ამავე რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი სანქციებს შემოიღებს უკრაინის მიმართ, თუ ქვეყნის ხელისუფლება მშვიდობიანი დემოკრატიული პროცესის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებს.

აღნიშნულმა დოკუმენტმა ისე გააღიზიანა კუჩმა, რომ ევროპარლამენტარებს "დაძაბულობის გაღვივებაშიც" დასდო ბრალი. დოკუმენტში ხომ კუჩმას მოუწოდებენ, გააუქმოს მეორე ტურის შედეგები და იგი წლის ბოლომდე ხელახლა ჩაატაროს. ამას გარდა, დოკუმენტი ოფიციალურ კიევს მოუწოდებს, უარი თქვას მედიაზე ზეწოლაზე და ორივე კანდიდატს თანაბარი პირობები შეუქმნას.

ორივე მხარის პოზიციები ნათელია. კუჩმას (ანუ რუსეთს) სურს, რომ ხელახალი არჩევნები ჩატარდეს, რომელშიც მოქმედი კანონმდებლობით იუშენკო (სხვათა შორის იანუკოვიჩიც) მონაწილეობას ვერ მიიღებს. ბუნებრივია, იუშენკოს ასეთი სცენარი ხელს არ აძლევს. გუშინ მან ისიც განაცხადა, რომ ქვეყნის ამჟამინდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებათა პროცესიდან გამოვა, თუ ოფიციალური კიევი ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას გადაწყვეტს. იუშენკომ ჩატარებული არჩევნები იმ საფეხბურთო მატჩს შეადარა, რომლის პირველი ტაიმი 31 ოქტომბერს, მეორე კი - 21 ნოემბერს გაიმართა. მისი თქმით, ასეთ ვითარებაში **"თუ მსაჯს გამარჯვებულის გამოვლენა არ შეუძლია, პენალტები უნდა დანიშნოს".** ასე რომ, აშკარაა, "ნარინჯისფერები" დათმობას არ აპირებენ.

რაც შეეხება უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას მოსკოვში ვიზიტთან დაკავშირებით კომენტარს, იუშენკო, ასევე იულია ტიმოშენკო და ოპოზიციის სხვა ლიდერები აცხადებდნენ, რომ ეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას ვერ მოახდენს.

# პრესა და თავისუფლება

პირველი გვერდიდან

*ელენე თევდორაძე,*
*პარლამენტარი:*



**1.** ბოლო პერიოდში სიტუაცია მკვეთრად გამოსწორდა. ბეჭდვითი პრესა საქართველოში ყოველთვის თავისუფალი იყო. რევოლუციის შემდეგ შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ტელევიზიები წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ჩემი აზრით, ასე იმიტომ მოხდა, რომ ხელისუფლებაში ის ძალა მოვიდა, რომელთაც ეს ოპოზიციური ტელევიზიები მხარს უჭერდნენ. ამიტომაც, ელექტრონულმა პრესამ დროებით დაკარგა ნიშა. ბოლო ორი თვეა, როგორც გითხარით, სიტუაცია გამოსწორდა. ყველა ტელევიზიამ თავისი სახე დაიბრუნა.

**2.** მე გავეცანი "თავისუფლების სახლის" მონაცემებს და ძალიან დამწყდა გული, ისეთი ქვეყნების გვერდით რომ აღმოვჩნდით... ერთიანობაში ამ ორგანიზაციის შეფასება სწორია. თუმცა, ჩემი აზრით, დღევანდელ დღეს რომ ჩაატარონ გამოკითხვა, ერთი ბალით დავწინაურდებოდით.

*დავით უსუფაშვილი,*
*იურისტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი:*



**1.** არა, საქართველოში პრესა თავისუფალი არ არის. პრესაზე, როგორც ობიექტური ინფორმაციის გავრცელების საშუალებაზე, ძლიერია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეპატრონეთა სუბიექტური პოლიტიკური გავლენა. გავლენის მცდელობები პოლიტიკური წრეებიდანაც ძალზე სერიოზულია.

რაც შეეხება ბეჭდვით პრესას, აქ უფრო ცალკეული ჯგუფების, სხვადასხვა ბიზნეს-კრიმინალური ჯგუფების ინტერესი სჭარბობს. ტელევიზიებისგან განსხვავებით, ბეჭდვით გამოცემებში ცენტრალიზებული კონტროლი არ შეინიშნება.

**2.** ვერ ვიტყოდი, რომ ერთიანობაში თავისუფლების ხარისხი დაეცა. შეიძლება, რევოლუციამდე ცალკეული მედიები უფრო თავისუფლები იყვნენ, ვიდრე დღეს არიან. მაგრამ ვერ დავეთანხმები მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წინა წლებთან შედარებით, ახლა მთელი მედიასივრცე შეზღუდულია.

*ნოდარ ნათაძე,*
*სახალხო ფრონტის თავმჯდომარე:*



**1.** რა თქმა უნდა, არა. მხოლოდ ერთი-ორი გაზეთია თავისუფალი. "24 საათი" მათ რიცხვში არ შედის. ესენია სახალხო ფრონტის გაზეთი "საქართველო" და "ახალი შვიდი დღე."

**2.** სავსებით ვეთანხმები.

*შოთა ნადირაშვილი,*
*ფსიქოლოგი:*

**1.** მე მგონი, კი.

**2.** უკუსვლაზე და თავისუფლების ხარისხის შემცირებაზე საუბარი გამიჭირდებოდა. როგორც ჩანს, მე ძალიან ახლოს არ ვიცნობ პრესას. ჩემი აზრით, დღეს მას აქვს საშუალება, უფლება და უნარი, იყოს თავისუფალი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი პრესიდან ადამიანი გაიგებს, რა ხდება ქვეყანაში.

*ლევან ბერძენიშვილი,*
*პარლამენტარი:*



**1.** ნაწილობრივ.

**2.** არა თუ ვეთანხმები, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება, ეს მაჩვენებელი შვიდამდეც ავიყვანო.

*ლევან რამიშვილი,*
*თავისუფლების ინსტიტუტი:*

**1.** ნაწილობრივ.

**2.** რა თქმა უნდა, ვეთანხმები. ამ წლებში, როცა საზოგადოების დემოკრატიზაცია შეინიშნება, პრესა, თავისი განვითარებით, ერთ ადგილზეც რომ დარჩენილიყო, მაინც რეგრესი იქნებოდა. მით უფრო, სამწუხაროა, რომ უკუსვლასთან გვაქვს საქმე.

როცა პრესის თავისუფლების პრობლემაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ არსებობს ერთგვარი მეგობრული დამოკიდებულება ელექტრონული მედიის მაგნატებს, ოლიგარქებსა და ხელისუფლებას შორის. სამწუხაროდ, ეს თვალნათლივ აისახება დღევანდელ სარედაქციო პოლიტიკაზე. თუ გვინდა, რომ საქმე სასიკეთოდ წავიდეს, ხელისუფლებამ მედიასთან კორუფციული კავშირი უნდა შეწყვიტოს.



# დღეს ცხინვალში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა გაიმართება

კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას განცხადებით, ჯავის რაიონში ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების მიერ წვრთნების ჩატარებას ქართული მხარე ეუთოს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გააპროტესტებს. შესაბამისი წერილები დაეგზავნებათ შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებს და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვალერი ლოშჩინინს. აღნიშნული საკითხი განხილული იქნება შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზეც, რომლის გამართვაც 3 დეკემბრისთვის ცხინვალშია დაგეგმილი. გიორგი ხაინდრავას თქმით, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების განცხადება, რომ ჯავის რაიონი კონფლიქტის ზონაში არ შედის და იქ წვრთნების ჩატარების რომელიმე მხარესთან შეთანხმება საჭირო არ იყო, სრული აბსურდია.

„საქართველოს წინა ხელისუფლების მხრიდან სრულიად დავიწყებული იყო ის დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც, შერეული სამშვიდობო ძალები და ეუთოს წარმომადგენლები ვალდებული არიან, გააკონტროლონ არა მხოლოდ უშუალოდ ის ადგილები, რომლებიც კონფლიქტის ზონად არის მიჩნეული, არამედ მთლიანად სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორია," - აღნიშნავს ხაინდრავა.

ამასთან, ქართულმა მხარემ ცოტა ხნის წინათ ვლადიკავკაზში, შერეული საკონტროლო კომისიის ბოლო სხდომაზე კონფლიქტის ზონის ფარგლების გადასინჯვის საკითხიც დასვა, თუმცა როგორც სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, ამ და სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის საკითხების გადასაწყვეტად კომისიის უფლებამოსილება საკმარისი არ არის. „სწორედ ამიტომ, ქართული მხარე ინტენსიურად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის - ევროკავშირთანაც," - დასძინა ხაინდრავამ. **მედია-ნიუსი**




# საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნის წინააღმდეგია

### პარლამენტმა და მთავრობამ საგადასახადო კოდექსის 180-მდე მუხლი შეათანხმა

*საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე კომიტეტში ახალ "საგადასახადო კოდექსთან" დაკავშირებით მიმდინარე კონსულტაციებით კმაყოფილია. როგორც გოცირიძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, ადმინისტრაციულ ნაწილთან დაკავშირებით კონსულტაციებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩაიარა. გუშინ პარლამენტმა 180-მდე მუხლი "ჩაიარა" და შეათანხმა.*

თამარ ივანიძე

მისი თქმით, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა შეთანხმება საგადასახადო ომბუდსმენის საკითხებთან დაკავშირებით. **"კომიტეტს მიაჩნია, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის არსებობა საჭირო არ არის, რადგან, გადამხდელთა საჩივრების განხილვისას, ომბუდსმენმა შეიძლება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქცია შეასრულოს,"** - განაცხადა გოცირიძემ.

კომიტეტის პოზიციის მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრო ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას მხარს უჭერს, რადგან უფლებების დამცველის არსებობა თავად მეწარმეებმა მოითხოვეს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სამუშაო სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა გაიზიარა კომიტეტის წინადადება, რომ კოდექსში ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს საგადასახადო დეპარტამენტის ვალდებულება - გადამხდელისთვის საგადასახადოს წერილობითი შეტყობინება გასათვალისწინებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტს დეპარტამენტის თავმჯდომარის ხელმოწერა დაერთვის.

ამასთანავე, შეიცვალა კანონპროექტის პირვანდელ ვარიანტში არსებული ნორმა, რომელიც საგადასახადო ინსპექტორს ეკონომიკური სუბიექტის ქონების დაყადაღების უფლებას ანიჭებდა. ცვლილების თანახმად, ინსპექტორს შეუძლია დააყადაღოს მხოლოდ იმ ღირებულების ქონება, რა ოდენობის გადასახადსაც ედავება საგადასახადო დეპარტამენტი ეკონომიკურ სუბიექტს. ამასთანავე, საგადასახადოს თანამშრომელს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაყადაღებული ქონების გაყიდვა ეკრძალება. **"საგადასახადო ორგანო სასამართლო დავის დასრულებამდე მეწარმეს სადავო თანხას ავტომატურ რეჟიმში ველარ ჩამოაჭრის. ამასთან, მეწარმე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაიბრუნებს ბიუჯეტში წინასწარ გადახდილ თანხებს. ფინანსთა სამინისტრო ვალდებული იქნება, წინასწარ გადახდილი თანხის უკან დასაბრუნებლად ყველა რესურსი გამოიყენოს,"** - განაცხადა საკითხის კომენტირებისას რომან გოცირიძემ.

გარდა ამისა, მინისტრმა გაითვალისწინა საპარლამენტო კომიტეტის წევრთა და ექსპერტთა რეკომენდაცია - დავალიანების მქონე საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ საწარმოს ქონების გაყიდვიდან ამონაგები თანხა დავალიანების გასასტუმრებლად არასაკმარისია, მაშინ ქონებრივი პასუხისმგებლობა საწარმოს აქციონერებს აღარ დაეკისრებათ, რასაც კანონპროექტის პირვანდელი ვარიანტი ითვალისწინებდა.

კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა საპარლამენტო კომიტეტში, ფინანსთა მინისტრთან ერთად, შაბათამდე გასტანს და პრემიერ-მინისტრთან შეთანხმების შემდეგ პარლამენტი მეორე მოსმენით მომავალ სამშაბათს განიხილავს.




## გსეკი სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს ზრდის

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია გუშინდელი დღიდან, 2 დეკემბრიდან, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რაიონებისთვის სომხეთიდან დენის იმპორტს, პიკის საათებში 51 მგვ-დან, 63.5 მგვ-მდე ზრდის.

ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება განსაკუთრებით ცივი ზამთრის გამო მიიღეს. გაერთიანებული ენერგოკომპანია, 51 მგვ. ოდენობის ელექტროენერგიის იმპორტს 16 ოქტომბრიდან ახორციელებს. აღნიშნული დენი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რაიონებს ხმარდება.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, რუსთავისა და გარდაბნისთვის ენერგომომარაგების გაუმჯობესების მიზნით, აფინანსებს მიწოდების ქსელის კონფიგურაციის შეცვლას, რის შემდეგაც რუსთავისა და გარდაბნის ელექტრომომარაგება მოხდება სომხეთიდან.

**"თუ ყველაფერი დაგეგმილის მიხედვით განხორციელდა, აღნიშნული ქალაქების ენერგომომარაგება დეკემბრის შუა რიცხვებიდან გახდება შესაძლებელი,"** - განაცხადა ენერგოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით კი, გაერთიანებული ენერგოკომპანია თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან, გადამცემი ხაზის "დარიალის" ტექნიკური გაუმჯობესების სამუშაოების დაფინანსების მიზნით, რათა აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთის ნაწილს ამ ხაზით მიეწოდოს იმპორტირებული ელექტროენერგია.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ასევე მუშაობს ტექნიკურ სქემაზე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება სომხეთიდან შემოტანილი დენის მიწოდება შიდა ქართლის რეგიონის გარკვეული ნაწილისათვის (ხაშური და სურამი). თუმცა, ჯერჯერობით გარკვეული არ არის, რამდენად ეფექტურად იმუშავებს ეს სქემა, ვინაიდან ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა შიდა ქართლის რომელიმე რაიონი დენს სომხეთიდან მიიღებს.

საქართველოს გაერთიანებული ენერგოკომპანია განაგრძობს რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს პიკის საათებში 100 მგვ. ოდენობით. დენი გადამცემი ხაზის "კავკასიონის" საშუალებით შემოდის.

ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის დინ უაითის თქმით, კომპანიის სტრატეგიის არსი მარტივია. **"ჩვენ ვცდილობთ იმ რეგიონებში, სადაც უკეთ იხდიან, ენერგომომარაგება გავაუმჯობესოთ,"** - განაცხადა დინ უაითმა. მისი თქმით, წელს პირველად იმპორტირებული დენი ენერგოკომპანიის შიდა რესურსებით ფინანსდება.

*24 საათი*

**"ბასნეტ" კონსორციუმს ესაჭიროება 2 ექსპერტი, რომლებიც დახმარებას გასწევენ ევროკავშირის "ტასის"-ის პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელებაში. პროექტის სახელწოდებაა "პოლიტიკური კონსულტაცია სოციალური დაზღვევის/სოციალური დახმარების რეფორმისა და ჯანდაცვის დაფინანსების საკითხებზე".**

ექსპერტები პასუხისმგებლები იქნებიან ანალიზის ჩატარებაზე პროექტის მიზნებისა და კრიტერიუმების თანახმად.

*სამუშაოს აღწერა:*

ერთ-ერთი უფროსი ექსპერტის საქმიანობა უკავშირდება სოციალური დაზღვევის/სოციალური დახმარების რეფორმას. Mმის ფუნქციას შეადგენს საქართველოს სოციალური დაზღვევის/სოციალური დახმარების სისტემასთან დაკავშირებული ეკონომიკური, ფინანსური და სოციო-დემოგრაფიული მონაცემების დადგენა, შეგროვება და ანალიზი. იგი აგრეთვე ჩაატარებს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის, კერძოდ კი ფონდის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის, ფინანსური და ადმინისტრაციული პროცესების ანალიზს.

მეორე უფროსი ექსპერტის საქმიანობა უკავშირდება სოციალური დაზღვევის/სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის დაფინანსების სფეროს კანონმდებლობასა და სამართლებრივ აქტებს. იგი დახმარებას გაუწევს სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე უცხოელ ექსპერტს იმ სადაზღვევო და სხვა სახელმწიფო უწყებების სტრუქტურის აღწერისა და ანალიზის საქმეში, რომლებიც საქართველოს სოციალური დაზღვევის/სოციალური დახმარების სისტემების მართვაში მონაწილეობენ. მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული იქნება მიმდინარე რეფორმასთან. სხვასთან ერთად, ის იმუშავებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საგადასახადო კოდექსის რეფორმის ზეგავლენა ჯანდაცვის სფეროში თანხების მოძრაობაზე.

*კვალიფიკაცია:*

სოციალური დაზღვევის/სოციალური დახმარების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი ექსპერტი

**საჭირო კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები**

1) ექსპერტი უნდა იყოს ეკონომისტი ან სოციოლოგი
2) ტექნიკური ხასიათის უნარ-ჩვევები
■ ექსპერტი უნდა იცნობდეს საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის/სოციალური დაზღვევის/სოციალური დახმარების სისტემას
■ ექსპერტი უნდა იცნობდეს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე რეფორმას
■ მას უნდა შეეძლოს რაოდენობრივი და ეკონომიკური ანალიზის ჩატარება
■ მას უნდა შეეძლოს ანგარიშების წარდგენა ჩატარებული საქმიანობის შესახებ
3) ექსპერტი ნამუშევარი უნდა იყოს უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებში
4) მას უნდა ჰქონდეს საკუთარი პროფესიით მუშაობის გამოცდილება (5 წელზე მეტი)
5) ენების ცოდნა: ექსპერტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ქართულ და ინგლისურ ენებს (წერითი და ზეპირი მეტყველება)

სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი ექსპერტი

**საჭირო კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები**

1) ექსპერტი უნდა იყოს იურისტი
2) ტექნიკური ხასიათის უნარ-ჩვევები
■ ექსპერტი უნდა იცნობდეს საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის/სოციალური დაზღვევის/სოციალური დახმარების სისტემას
■ ექსპერტი უნდა იცნობდეს საქართველოს კანონმდებლობას
■ მას უნდა შეეძლოს სამართლებრივ ჩარჩოსთან დაკავშირებით წინასწარი სამუშაოს ჩატარება
■ მას უნდა შეეძლოს ანგარიშების წარდგენა ჩატარებული საქმიანობის შესახებ
3) ექსპერტი ნამუშევარი უნდა იყოს უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებში
4) მას უნდა ჰქონდეს საკუთარი პროფესიით მუშაობის გამოცდილება (5 წელზე მეტი)
5) ენების ცოდნა: ექსპერტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ქართულ და ინგლისურ ენებს (წერითი და ზეპირი მეტყველება)

ორივე ექსპერტთან გაფორმდება 2 თვიანი კონტრაქტი 2005 წლის 7 თებერვლიდან. შესაძლოა კონტრაქტი გახანგრძლივდეს ერთი თვით.

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმეს (CV) ნაბეჭდი ვარიანტი და თანმხლები წერილი, რომელშიც უნდა მითითებული იყოს თანამდებობა, რომლის დაკავებაც სურს კანდიდატს და მისი კვალიფიკაცია. დოკუმენტები ინგლისურ ენაზე უნდა იყოს შედგენილი. მათი წარდგენის საბოლოო ვადაა 31 დეკემბერი, პარასკევი, 17.00 საათი. რეზიუმე გაიგზავნება მხოლოდ და მხოლოდ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე:

Ms Stefania Sommacal
Basnet /Normisma
Reference: Georgia /Police Advice/ Social Insurance/Local expert
Email: Sommacals@nomisma.it

**BASNET Consortium**

**INTENDS TO RECRUIT 2 EXPERTS TO ASSIST THE EU TACIS FUNDED PROJECT**

**"Policy Advice on Reform of the Social Insurance/Assistance and Health Care Financing Sectors"**

The recruited experts will be responsible for preparing analysis according to the defined project objectives and criteria.

*Scope of requested work:*

One senior expert specialised in social insurance/social assistance reform who will be responsible for the identification, the collection and the analysis of the economic, financial and socio-demographic data concerning the social insurance system and/or the social assistance system in Georgia. She/he will also analyse the financial and administrative processes of the Social Insurance State United Fund particularly the health department.

One senior lawyer/legal expert specialised in Georgian legislation and regulations in the field of social insurance security and health financing who will assist an international legal expert in the description, the analysis of the organisation of the social security institutions and other national institutions involved in the organisation and/or the management the social insurance and social assistance systems in Georgia.

She/He will particularly focus on the ongoing reform process, including the impact of reform of the Tax Code on the health care financial flows.

*Required qualifications:*

Local Expert I: Social insurance/social assistance specialist

**Qualifications and skills**

1) Economist or Sociologist
2) Technical skills
■ Familiarity with health insurance/social insurance/ social assistance systems in Georgia
■ Familiarity with the reform process(es) in Georgia and in other countries
■ Familiarity with quantitative & economic analysis
■ Inserting data, primary treatment of data and assessment of results
■ Reporting on activities
3) Previous experience of working in international donors funded projects (in years)
4) More than 5years of professional experience
5) Language skills: Excellent command of English and Georgian (speaking and writing skills)

Local expert II: Legal expert

**Qualifications and skills**

1) Graduated lawyer
2) Technical skills
■ Familiarity with social security system/health insurance system/social assistance system in Georgia
■ Familiarity with Georgian legal framework
■ Primary treatment of the existing and on-going legal framework
n Reporting on activities
3) Previous experience of working in international donor funded projects
4) More than 5 years of professional experience
5) Excellent command of English and Georgian (speaking and writing)

The two experts will be contracted for a period of 2 months (with an optional additional month) starting from February 7th, 2005.

The **closing date** for submitting a hard copy Curriculum Vitae and cover letter indicating interest and qualifications in English is **December 31st, Friday, 17.00 hrs**. CVs should be addressed exclusively by e-mail to :

Ms Stefania Sommacal
Basnet /Normisma
Reference: Georgia /Police Advice/ Social Insurance/Local expert
Email: S

# კამპანია ანანის წინააღმდეგ?

ნინო გომართელი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დისკრედიტაციის მიზნით წამოწყებული კამპანიის ფარგლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს.

გენერალურ მდივანს პროგრამის "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" ფარგლებში მაქინაციებში სდებენ ბრალს, თუმცა, თავად ანანი ბრალდებებს უარყოფს და თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გუშინ გაერო-ს პროგრამის "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ", საფინანსო დოკუმენტაციის სრულად და ღიად წარდგენა მოითხოვა, მაგრამ არაფერი უთქვამს იმის შესახებ, უნდა დატოვოს თუ არა კოფი ანანმა თანამდებობა.

"მე ველოდები ფაქტების კეთილსინდისიერ და სრულ წარმოჩენას. თავად ამ ორგანიზაციისათვისაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს, აჩვენოს სრული და ღია ინფორმაცია იმის შესახებ, რაც ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა," – განაცხადა მან.

თავად გაერო-სა და კოფი ანანის წინააღმდეგ კამპანია კი კვირის დასაწყისში, პირველად მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა იკისრეს, როდესაც ამერიკულ და ბრიტანულ გაზეთებში კოფი ანანის ვაჟზე – კოჯოზე, პუბლიკაციები გაჩნდა.

ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რომ გენერალური მდივნის ვაჟი ქრთამს იღებდა შვეიცარიული კომპანია "Cotecna Inspection"–საგან, რომლის საქმიანობაც, გაერო-ს პროგრამის, "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ", ფარგლებში, ერაყში ჰუმანიტარული ტვირთის ჩატანა იყო.

ამის საპასუხოდ, გაერო-ს პრესსამსახურმა ფორმალურად დაადასტურა, რომ კოჯო ანანი 1998 წლიდან ამ კომპანიის თანამშრომელი იყო და ოთხი წლის განმავლობაში, ფიქტიურ მუშაობაში, ყოველთვიურად 2,5 ათასი აშშ დოლარს ღებულობდა. როგორც გაირკვა, კომპანია Cotecna Inspection-ი,



გენერალურ მდივანს პროგრამის "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" ფარგლებში მაქინაციებში სდებენ ბრალს.

კოფი ანანის ვაჟს "აჯილდოებდა" გენერალური მდივნის პირობის სანაცვლოდ, რომ იგი პროგრამაში "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ", არ ჩართავდა სხვა კონკურენტ კომპანიებს.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ, მისი შვილის გარშემო ატეხილ სკანდალს თავად გაერო-ს გენერალური მდივანიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ "ძალიან გაოცებული და იმედგაცრუებულია" იმის გამო, რომ მისი ვაჟი შვეიცარიული ფირმისაგან ფულს იღებდა.

"მე მიმაჩნდა, რომ ეს ყველაფერი 1998 წელს დასრულდა," – განაცხადა მან.

ამ ფაქტს კი მალევე მოყვა კოფი ანანის გადადგომის მოთხოვნა, რაც სენატორმა ნორმ ქოულმანმა გააჟღერა, რომელიც პროგრამაში "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ", კორუფციის საკითხებს იძიებს.

იგი ირწმუნება, რომ კოფი ანანმა პასუხი უნდა აგოს ერაყის ყოფილი პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის რეჟიმის გამდიდრების გამო, რომელმაც გაერო-ს დაუდევრობის გამო, ნავთობით უკანონო ვაჭრობით, 21 მილიონ აშშ დოლარზე მეტი დააგროვა.

გავლენიანი სენატორის მოსაზრებას მისი რესპუბლიკელი კოლეგებიც იზიარებენ. სენატორ ჯორჯ ალენის განცხადებით, გაერო-ს საქმიანობაში დარღვევები აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული, "წინააღმდეგ შემთხვევაში, კოფი ანანის ორგანიზაციის რეპუტაცია კიდევ უფრო შეილახება".

ამასთან, გაერო-ს შეიარაღების ყოფილმა ინსპექტორმა ჩარლზ დუელფერმა, რომელმაც დეტალურად დაათვალიერა ერაყი ოქტომბერში, განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინმა 2 მილიონი აშშ დოლარის მოგება ნახა "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" პროგრამის განხორციელებისას.

თუმცაღა, გაერო-ს გენერალურ მდივანს დამცველებიც გამოუჩნდნენ. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ადამ ერელიმ კოფი ანანი მისი დამსახურებების გამო შეაქო კიდეც. ამას კი თან დაერთო გაერო-ს ათასობით თანამშრომლისა და აფრიკული ერების კოფი ანანის გარშემო შემოკრება.

სამი დღის წინ წამოწყებული კამპანიის მეშვეობით, 3 ათასმა თანამშრომელმა მოაწერა ხელი წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ ბრალდებათა უმეტესობა გამოიწვია "ფაქტების სრულმა არცოდნამ".

"დღეს, ისე როგორც არასდროს, ჩვენ მხარს ვუჭერთ გაერო-ს გენერალურ მდივანს და მის დაბალანსებულ და კეთილსინდისიერ მიდგომას," – ნათქვამია წერილში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიტიკას ამ ორგანიზაციის პრესცენტრის ხელმძღვანელი ფრედ ეკჰარდიც გამოეხმაურა.

"რამდენიმე ამერიკელი კონგრესმენი მნიშვნელოვან ძალას არ წარმოადგენს," – თქვა მან.

გენერალური მდივნის დასაცავი განცხადება გააკეთა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც.

"იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ყველა ბრალდება გაერო-ს როლის შემცირების მცდელობით არის განპირობებული," – აღნიშნა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ იური ფეოდოროვმა. თუმცა, რუსეთის ფედერაციის პოზიცია გაკვირვებას არც უნდა იწვევდეს, რადგან იმ დროს, როდესაც დაიწყო "სურსათი ნავთობის სანაცვლოდ" პროგრამის გამოძიება, კრემლის მაღალჩინოსნების და პარტიების სახელებმა გაიჟღერა, რომლებიც თითქოსდა აღნიშნულ მაქინაციებში მონაწილეობდნენ.

კოფი ანანი კი, რა თქმა უნდა, მაქინაციებში მის მონაწილეობაზე ბრალდებებს უარყოფს, გამორიცხავს თანამდებობის დატოვებას და აცხადებს, რომ გაერო-ს რეფორმირებაზე ზრუნვას იწყებს, რისი მიზანიც არის, გამარტივდეს ამ ორგანიზაციის ჩარევა "არშემდგარი" სახელმწიფოების შიდაპოლიტიკურ საქმეებში".

როგორც ჩანს, კოფი ანანზე "თავდასხმა" იმით არის განპირობებული, რომ შეერთებული შტატების ინტერესში სწორედ აღნიშნული რეფორმები არ შედის, რომელიც გაერო-ს ვაშინგტონის გავლენიდან გაათავისუფლებს.

# ბელორუსში "ვარდები" და "ნარინჯისფერი" თანაბრად აშინებთ

ხათუნა გაბიევი

უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა ძილი ბევრს დაუფრთხო, მათ შორის ბელორუსის პრეზიდენტს, ევროპის უკანასკნელ დიქტატორად წოდებულ ალექსანდრ ლუკაშენკოსაც. როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციური ტალღა საკუთარი ძალების რწმენას ფსევდოდემოკრატიულ "თავდაჯერებულ" მმართველებსაც ურყევს. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ბელორუსის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ახლადდანიშნული, ყოფილი გენერალური პროკურორის ვიქტორ შეიმანის განცხადება. როგორც პრესის წარმომადგენლებთან საუბარში შეიმანმა აღნიშნა, ლუკაშენკომ მას პირდაპირ დაუსახა ამოცანად "უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით ბელორუსში ხელისუფლების სისტემის მართვისა და სტაბილურობის განმტკიცება". სახელისუფლებო ვერტიკალის გაძლიერების გეგმები ლუკაშენკოს არც ნოემბერში პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას დაუმალავს.

მართალია, ბელორუსში საპრეზიდენტო არჩევნები ორ წელიწადში იქნება, მაგრამ საქართველოს "ვარდების რევოლუციისა" და უკრაინის "ნარინჯისფერი" დღეების მაგალითი უსაფრთხოების გარანტიებს ნამდვილად ვერ მისცემს ბატონობის მოსურნე ბელორუს მმართველს. ამიტომ, წინასწარ თადარიგის დაჭერა და მომავალში ქვეყანაში ყოველგვარი დემოკრატიული მოძრაობის ჩანასახშივე ჩაკვლა უკვე სანახევროდ მიღწეული მიზანი იქნება. უსაფრთხოებისათვის გატარებული ღონისძიებები კი სახელმწიფო აპარატის მუშაობის, სამედიცინო სფეროსა და საბინაო-კომუნალური სისტემის გადახედვას ითვალისწინებს. მეზობელ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებით ფრიად შეფიქრიანებულ ლუკაშენკოს მხედველობიდან არც საგზაო მოძრაობისა და ბავშვთა უფლებების საკითხები გამორჩენია.

ექსპერტთა შეფასებით, შეიმანის დანიშვნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე ლუკაშენკომ ერთგული შემსრულებელი შეიძინა, რომელიც მზადაა, უყოყმანოდ შეასრულოს ნებისმიერი ბრძანება, რასაც შეიმანისვე სიტყვებიც ადასტურებს: "სახელმწიფოს მეთაურის ადმინისტრაცია რესპუბლიკის პოლიტიკურ შტაბს წარმოადგენს, ჩვენ კი პრეზიდენტის ერთი გუნდი ვართ და ერთად მუშაობა გვმართებს, ყოველგვარი პიროვნული დაინტერესების გარეშე, სახელმწიფოსათვის". ექსპერტები შეფასებისას, ყოფილი გენერალური პროკურორის გარდა, ქვეყნის ეკონომიკურ სფეროსაც შეეხნენ, სადაც, მათი თქმით, ასევე მოსალოდნელია კონტროლის გამკაცრება.



სახელისუფლებო ვერტიკალის გაძლიერების გეგმები ლუკაშენკოს არც ნოემბერში პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას დაუმალავს.

# ბოსნიაში პოზიციებს აშშ ევროპას უთმობს

ბოსნია-ჰერცეგოვინაში მშვიდობის უზრუნველყოფაზე კონტროლის უფლებამოსილება ნატო-მ უკვე ევროკავშირს გადააბარა. ამ მოვლენის აღსანიშნავად გამართულ ცერემონიალზე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ სამშვიდობო ოპერაციებზე კონტროლის შეცვლა რესპუბლიკის ომის შემდგომი განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისია. ბოსნია-ჰერცეგოვინაში მშვიდობას ევროკავშირის წევრი-ქვეყნებიდან დაახლოებით 7 000 სამხედრო მოსამსახურე დაიცავს. საჯარისო კონტინგენტის 80 პროცენტი უბრალოდ სახელოებზე არშიებს შეიცვლის. კონტინგენტმა მიიღო სახელწოდება "Eufor" (European Union Force) – ევროკავშირის ძალები. ნატო შეინარჩუნებს მხოლოდ მცირე სამხედრო ბაზას, მისი ფუნქციებში კი მხოლოდ სამხედრო რეფორმების სფეროში მიმდინარე საკითხების მონიტორინგი და სამხედრო დანაშაულში ეჭვმიტანილთა საქმის ძიება შევა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ არაა დაკავებული ომის წლებში ბოსნიელი სერბების რესპუბლიკის ხელმძღვანელი რადოვან კარაჯიჩი და ბოსნიელი სერბების არმიის ხელმძღვანელი რატკო მლადიჩი. რესპუბლიკაში, სადაც 9 წლის წინ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მშვიდობის უზრუნველყოფას მონიტორინგს 30-ზე მეტი ქვეყანა გაუწევს. "Eufor"-ის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ ასევე ის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი – თურქეთი და კანადა.

"პროგრესის წარმოდგენა, რომელიც დღეს სახეზეა, 90-იანი წლების დასაწისში შეუძლებელი იყო," - განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა. მისი განცხადებით, ომის შემდეგ უმთავრესი მონაპოვარია, რომ ხალხს აღარ უწევს შიშის ქვეშ ცხოვრება, ფუნქციონირებს მრავალი სახელმწიფო ინსტიტუტი და დაცულია ადამიანთა უფლებები. თუმცა, ცხადია, იდეალური პირობების ილუზია არავის აქვს, რასაც "Eufor"-ის მისიის ხელმძღვანელის, გენერალ-მაიორ დევიდ ლიკის სიტყვებიც ადასტურებს: "ბოსნიას ჯერ კიდევ ომისშემდგომი რეანიმაციის პერიოდი აქვს. დაპირისპირების მიზეზები საზოგადოებებში, რის გამოც ომი დაიწყო, ჯერ კიდევ რჩება. "Eufor"-ის ბოსნიაში ყოფნის მიზეზი მისი სტაბილურობის დაცვა და პროგრესის ხელშეწყობაა, რათა ევროპული ქვეყნების სტანდარტებს მიუახლოვდეს და მათთან ინტეგრაცია შეძლოს." გენერალ-მაიორის განწყობას იზიარებს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ჯეფ ჰუნიც. მისი თქმით, ევროკავშირი უნდა დაეხმაროს ბოსნიას, "დაიკავოს თავისი ადგილი საერთაშორისო საზოგადოებაში".

ევროკავშირი და ნატო იმედოვნებენ, რომ სამშვიდობო კონტროლის გადაბარება უმტკივნეულოდ მოხდება. ბალკანეთში აშშ-ს სამშვიდობოების ევროპულით ჩანაცვლება საერთოევროპულ თავდაცვის პოლიტიკაში მიმდინარე პროგრესზე მეტყველებს. გარდა ამისა, ევროკავშირი ბალკანეთში სამოქალაქო სფეროში სხვა ომისშემდგომ პროექტებშიც მონაწილეობს. ამდენად, ევროპული ძალისხმევის კონსოლიდაცია ნელ-ნელა რეალური ხდება. **24 საათი**

# არიელ შარონი მთავრობის გადასარჩენად იბრძვის

*ისრაელის პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს თავაუღებელი გარჯა უწევს კოალიციის მცირე წევრების თავმოყრით თავისი მთავრობის გადასარჩენად.*

მინისტრები, რომლებმაც ოთხშაბათს, პარლამენტში მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ყოველწლიურ ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს, შარონმა პარტია "შინუი"-დან დაითხოვა.

პრემიერ-მინისტრი, რომლის პარტიასაც საკანონმდებლო ორგანოში 120-დან 40 ადგილი უჭირავს, საკუთარი კოალიციისთვის ლეიბორისტული პარტიის მარცხენა ფრთის შემოერთებას აპირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ღაზადან გამოსვლის გეგმები დაიმსხვრეს.

"შინუი"-ს სეკულარულმა პარტიამ ბიუჯეტს მხარი იმის გამო არ დაუჭირა, რომ მასში რელიგიური ჯგუფებისათვის სუბსიდიები იყო გათვალისწინებული.

არიელ შარონმა "შინუი"-ს მინისტრებს დათხოვნის წერილები ერთი საათის განმავლობაში მიმდინარე კენჭისყრის პროცესის მსვლელობისას გადასცა.

"ჩვენ შარონთან ძალიან მეგობრული საუბარი გვქონდა, მან მთავრობიდან ჩვენი წასვლის გამო წუხილი გამოთქვა, რასაც ჩვენც დავეთანხმეთ," – განაცხადა "შინუის" ლიდერმა, იუსტიციის მინისტრმა ტომი ლაპიდმა.

ვინაიდან პრემიერ-მინისტრი ახლა არასრულ მთავრობას მეთაურობს ლეიბორისტების შემოერთებისათვის, მას "ლიკუდ"-ის მხრიდან დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუწევს.

თუმცა, ბიუჯეტში რელიგიური სუბსიდიების შეთავაზების სანაცვლოდ მას ასევე შეუძლია, უმცირესობაში მყოფი რელიგიური პარტია შემოერთების მომგებიანობაში დაარწმუნოს.

როგორც ჩანს, ლეიბორისტული პარტიის ლიდერს შიმონ პერესს მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის სტატუსით შეერთება სურს. თუმცა, ზოგიერთი პოლიტიკოსი შესაძლოა, უკმაყოფილოც დარჩეს ფინანსთა მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს პოლიტიკური კურსის გამო. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ბარაქი კი, სავარაუდოდ, კოალიციაში შესვლის წინააღმდეგი იქნება.

თუ ლეიბორისტები შეერთებას დათანხმდებიან, ეს ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას გამორიცხავს.

ამასთან, ეს იმის მანიშნებელიც იქნება, რომ არიელ შარონის კოალიციაში მთავარი პარტნიორი ღაზას სექტორიდან მენაშენეების გამოყვანის მისეული გეგმის მომხრე აღმოჩნდება.

ისრაელი, შარონის გეგმის შესაბამისად, ღაზას სექტორიდან ოთხივე დასახლების მცხოვრებლებისა და სამხედრო ძალის გამოყვანას გეგმავს. თუმცა, ისარელი ღაზას როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო საზღვრების კონტროლს გააგრძელებს.

# შვედი მინისტრის მკვლელი შეშლილი არ არის

შვედეთის სამეფოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ანა ლინდის მკვლელი, სერბი ემიგრანტი მიხაილ მიხაილოვიჩი სამუდამო პატიმრობის სასჯელს ციხეში მოიხდის.

ანა ლინდი 2003 წლის 11 სექტემბერს სტოკჰოლმში მოკლეს. ერთ-ერთ უნივერმაღში მიხაილოვიჩმა მინისტრს დანით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მკვლელმა თავიდანვე აღიარა დანაშაული, თუმცა აცხადებდა, რომ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მომენტში ჩაიდინა. მისი თქმით, დანაშაულის ჩადენის მომენტში იგი შინაგანი ხმის კარნახით მოქმედებდა და რომ ეს ხმა მაცხოვარს ეკუთვნოდა.

თავდაპირველად, სტოკჰოლმის საოლქო სასამართლომ მიხაილოვიჩს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა 2004 წლის ივლისში, სააპელაციო სასამართლომ მკვლელი შეურაცხადად ცნო და იძულებით სამკურნალოდ საავადმყოფოში გადაგზავნა.

ბრალდების მხარემ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და თავდაპირველი განაჩენის აღდგენა მოითხოვა. შვედეთის უზენაესი სასამართლოს გუშინდელ ვერდიქტს საფუძვლად დაედო მედიკოსთა დასკვნა, რომლის მიხედვითაც მიხაილოვიჩის ფსიქიკური მდგომარეობა სავსებით ნორმალურია იმისათვის, რომ სასჯელი ციხეში მოიხადოს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შვედეთში დამკვიდრებული ტრადიციით, სამუდამო პატიმრობა სულაც არ ნიშნავს სიცოცხლის ბოლომდე ციხეში ყოფნას. ჩვეულებრივ, ასეთი მსჯავრდებულები მხოლოდ 15 წლიანი თავისუფლების აღკვეთით ისჯებიან. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## ორი სიტყვით

**კუბა.** კუბა აპირებს, ვაშინგტონის "აგრესიულ და რეაქციულ პოლიტიკას" საერთოეროვნული სამხედრო მანევრები დაუპირისპიროს. როგორც კუბის თავდაცვის სამინისტროს მიერ საჯაროდ გამოქვეყნებულ ნოტაშია აღნიშნული, 13-დან 19 დეკემბრამდე დაგეგმილ სწავლებებში მონაწილეობას მილიონობით ადამიანი მიიღებს. სამხედრო მანევრების "ბასტიონი-2004"-ის უმთავრეს მიზანს უცხოელი აგრესორის ინტერვენციის შემთხვევაში "სამამულო ომის" დოქტრინის დახვეწა წარმოადგენს. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ არმიის ქვედანაყოფებისა და რეზერვისტების გარდა, სწავლებებში რიგითი მოქალაქეებიც მიიღებენ მონაწილეობას. კუბის სამხედრო დოქტრინა ქვეყნის გარედან შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში "სამამულო ომის" გამოცხადებას ითვალისწინებს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**რუმინეთი.** საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციონერი კანდიდატის, ბუქარესტის მერის ტრაიან ბასესკუს განცხადებით, იგი მზადაა, დაეთანხმოს ცენტრალური საარჩევნო ბიუროს შედეგებს. "თუ სახელმწიფო ინსტანციები არჩევნებს შემდგარად ცნობენ, მე დავეთანხმები მათ გადაწყვეტილებას და მონაწილეობას მივიღებ მეორე ტურშიც," - აღნიშნა ბასესკუმ. ცენტრალური საარჩევნო ბიუროს მიერ გამოცხადებული შედეგებით კი საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გამარჯვება მმართველი მემარცხენე-ცენტრისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა, პრემიერ-მინისტრმა ადრიან ნასტასემ მოიპოვა. მან ხმათა 40.49 პროცენტი აიღო, მისმა ოპონენტმა, მემარჯვენე-ცენტრისტული ალიანსის "სამართლიანობა და სიმართლე"-ს კანდიდატმა ბასესკუმ კი ოფიციალურად გამოცხადებული შედეგებით, ხმათა მხოლოდ 33.92 პროცენტის მოპოვება შეძლო. შედეგების გამოცხადების შემდეგ ბასესკუს პროტესტი არჩევნების მსვლელობისას დაფიქსირებული გაყალბების შესახებ ცენტრალურმა საარჩევნო ბიურომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, ხოლო ნასტასემ ბასესკუ "უკრაინული სცენარის" რუმინეთში გადაღების მცდელობაში დაადანაშაულა და მისი ქმედება "ქვეყნის დესტაბილიზაციის ცდად" შეაფასა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**მოლდოვა.** დნესტრისპირეთი ხუთმხრივი მოლაპარაკებების ფორმატის შეცვლისა და მასში ახალი მონაწილეების ჩართვის წინააღმდეგია. მოლდოვის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ანდრეი სტრატანის წინადადებაზე, გაფართოებულ იქნეს ხუთმხრივი ფორმატი მოლაპარაკებებში ევროკავშირის, რუმინეთისა და აშშ-ს ჩართვით, თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერმა იგორ სმირნოვმა განაცხადა, რომ ასეთი ნაბიჯი მას მიზანშეუწონლად მიაჩნია, რადგან ეს არ შეუწყობს ხელს შეთანხმების მიღწევას. მოლაპარაკებების ფორმატის გაფართოებას ოფიციალური კიშინიოვი მოლდოვის სტაბილურობისა და უსაფრთხოების დეკლარაციაზე ხელის მოწერის შეთავაზებით შეეცადა. თუმცა, რუსეთის ელჩი მოლდოვაში ნიკოლაი რიაბოვი მიიჩნევს, რომ შეთანხმებას მხოლოდ კიშინიოვმა და ტირასპოლმა უნდა მიაღწიონ, რომლებიც უკვე რამდენიმე თვეა, მოლაპარაკებებს აღარ აწარმოებენ. მან ასევე აღნიშნა, რომ მოლდოვის მიერ შეთავაზებულ დეკლარაციას რუსეთის მხარე არ განიხილავს, რადგან ევროკავშირისა და აშშ-ს დახმარებით მომზადებულ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში მოსკოვის წინადადებები არაა გათვალისწინებული. **იტარ-ტასი**

# თქვენს გვერდით გვიგულეთ, ძმებო, უკრაინელებო!

*საქართველოში უკრაინული ოპოზიციისადმი მხარდამჭერი აქციები გრძელდება. "წვიმის მუსიკოსების" გარდა, კიევში გამოსული ახალგაზრდობის მიმართ სოლიდარობა ქართველმა სტუდენტებმაც გამოხატეს.*

თამარ ჭაჭანიძე

"ჩვენ ბევრნი ვართ, ჩვენ ვერ მოგვერევიან"! - ისმოდა გუშინ უკრაინულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსის წინ. აქ შეკრებილი დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის, ასევე, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტების ნაწილი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისადმი საკუთარ პოზიციას გამოხატავდა. სტუდენტებმა შეადგინეს მიმართვა, რომელიც საქართველოში უკრაინისა და სხვა ქვეყნების საელჩოებს გაეგზავნება. მიმართვაში ნათქვამია: **"ჩვენ - საქართველოს სტუდენტები, სრულიად ვიზიარებთ და ვეთანხმებით მოძმე უკრაინელი ახალგაზრდების მიერ დემოკრატიისა და ხალხის არჩევანის დაცვისთვის განხორციელებულ ქმედებებს".**

სტუდენტები იმედს გამოთქვამენ, რომ უკრაინელი ხალხი შეძლებს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას და რევოლუციის ექსპორტი საქართველოდან უკრაინაში წარმატებით განხორციელდება.

# Polish Medical Mission

*საქართველოში პოლონეთის სამედიცინო მისია იმყოფება. კრაკოველი ექიმები, რომელთა ქველმოქმედებასაც პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს, საქართველოში 11 დეკემბრამდე დარჩებიან.*

თამარ ჭაჭანიძე

პოლონეთის სამედიცინო მისია ოთხი ექიმისგან შედგება. ეს ბრიგადა, ძირითადად, კონფლიქტის ზონებში, მიწისძვრისა და სხვა სტიქიური მოვლენებისგან დაზარალებულ რეგიონებში მოგზაურობს და სამედიცინო დახმარებას უწევს ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობას. ზოგადი გასინჯვის გარდა, ექიმები კარდიოგრამისა და ექოსკოპიის აპარატების დახმარებით ამოწმებენ ავადმყოფებს და, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელ მედიკამენტებს ურიგებენ. ექიმებს პოლონეთის საელჩოსთან ერთად გრიგოლ ფერაძის სახელობის საქართველოს პოლონელ ექიმთა კავშირი მასპინძლობს.

პოლონელმა ექიმებმა რუსთავიდან დაიწყეს - გასინჯეს რუსთავის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის ბავშვები. ამ ბავშვთა სახლში 57 ბავშვია. შემოწმების შედეგად პოლონელმა ექიმებმა საჭიროდ მიიჩნიეს, რომ 16 ბავშვს კონსულტაცია გაევლო თბილისის ფტიზიატრიის ინსტიტუტში ბატონ თენგიზ გვასალიასთან, რომელმაც ყველა აუცილებელი პროცედურა ჩაუტარა ბავშვებს ტუბერკულოზის რისკის დასადგენად. პოლონელმა მედიკოსებმა რუსთავშივე დაიწყეს სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ბავშვების გასინჯვაც, რომელთა რიცხვი ოთხასს აჭარბებს. პოლონეთის სამედიცინო მისიას, თბილისისა და რუსთავის გარდა, დაგეგმილი აქვს ვიზიტები საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ექიმები 11 დეკემბრამდე მსგავს ღონისძიებებს ჩაატარებენ ლაგოდეხში, თელავში, პანკისში, ბორჯომსა და ახალციხეშიც.

# ყველაზე საჭირო პროგრამა

*"ჯანდაცვის სფეროში დაავადებასთან ბრძოლის იმუნიზაციაზე ეფექტური მეთოდი და საშუალება არ არსებობს. ამიტომაც, ყველა ქვეყანაში, განვითარების დონისა და ეკონომიკური შესაძლებლობების მიუხედავად, იმუნიზაცია, განსაკუთრებით ბავშვთა, პრიორიტეტია", - ამბობს საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე.*

ნანა ყაველაშვილი

გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას ესწრებოდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, იუნისეფის, იუსაიდისა და ვიშნევსკაია-როსტროპოვიჩის ფონდის წარმომადგენლები; ასევე, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სხვა ადამიანები. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოში იმუნიზაციის სფეროში არსებულ პრობლემებსა და მდგომარეობაზე, სამომავლო პერსპექტივებსა და შედეგებზე. აღმოჩნდა, რომ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის სწორად, დროულად და ეფექტურად განხორციელებული ღონისძიებების წყალობით, დღეისათვის საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა, დაახლოებით, ისეთივეა, როგორიც განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენთან სახელმწიფოცა და მოსახლეობაც ჯანდაცვაზე, თურმე, ათჯერ უფრო ნაკლებ თანხას ხარჯავს, ვიდრე, მაგალითად, დაახლოებით, ჩვენნაირი განვითარების სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სადაც მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალზე ცუდია.

**"თუ ქვეყანაში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორდება, მაშინ ახლო მომავალში სიტუაცია ჩვენთანაც გაუარესდება",** - ამბობს საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე. მისი თქმით, მდგომარეობას ართულებს ის ფაქტიც, რომ ექიმთა ერთი ნაწილი კვლავ საბჭოთა პერიოდში რუსულ მედიაში აცრების საწინააღმდეგოდ გაჩაღებული კამპანიით გამოწვეული განწყობის ტყვეობაშია და აცრებს ზედმეტად მიიჩნევს.

**"ამ კამპანიის შედეგად, აცრების უგულებელყოფისა და ქვეყანაში ვაქცინების დეფიციტის გამო, საქართველოში 1990-91 წლებში - პოლიომელიტის ეპიდაფეთქებამ, 1994-97 წლებში კი დიფტერიის ეპიდემიამ ასობით ადამიანი დაააავადა და ათობით მათგანის დაღუპვა გამოიწვია. იმუნიზაციაში ჩადებულ თითოეულ ლარს ოცდაათმაგი შედეგი მოაქვს",** - ამბობს პაატა იმნაძე.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა 1994 წლიდან მოქმედებს. საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, როცა იმუნიზაცია სავალდებულო, მაგრამ განსაზღვრული და გეგმიური იყო, დღეს ის საყოველთაოა. თუმცა, მოსახლეობის მცირე ნაწილი, აცრების მოწინააღმდეგე ექიმების გავლენისა და უკუჩვენებების შიშის გამო, მაინც იმუნიზაციის გარეშე რჩება.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პაატა იმნაძის თქმით, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში ვაქცინების დეფიციტი არ ყოფილა, ის ვაქცინები კი, რომელიც შემოდის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებულ და გაეროსათვის შესასყიდად რეკომენდებულ ვაქცინათა ჩამონათვალშია რეგისტრირებული.

# 3 დეკემბერი - ინვალიდთა საერთაშორისო დღე

## ომბუდსმენი ინვალიდობის სფეროში - შუამავალი ხელისუფლებასთან

ლელა მარგიანი

*11 წლის წინათ, 1993 წელს გაერო-მ მიიღო დადგენილება "თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად". ამის შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიქმნა ინსტიტუტი, რომელიც იცავს ადამიანებს, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის უნარშეზღუდვა. შვედეთში სპეციალური ინსტიტუტი, "ომბუდსმენი ინვალიდობის სფეროში", დადგენილების მიღების მეორე წელსვე შეიქმნა, ხოლო საქართველოში, მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ დაიწყეს ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაზე ფიქრი. ჩვენთან ინსტიტუტის შექმნის ინიციატორია ქალაქ ზუგდიდში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია "ინვალიდ ქალთა და ინვალიდ დედათა ასოციაცია", რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი მადონა ხარებავა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინონ ინვალიდობის ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციის მაგალითები.*

**მადონა ხარებავა:** "ვფიქრობთ, საქართველოში აუცილებლად უნდა არსებობდეს ინვალიდობის სფეროში ომბუდსმენის ინსტიტუტი. ამის თაობაზე უკვე გვქონდა შეხვედრა საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი პროექტი მიმდინარეობს "ევროკომისიის" ფინანსური მხარდაჭერით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას.

შეხვედრაზე დაწვრილებით განვიხილეთ ორი საკითხი: დისკრიმინაცია ინვალიდობის სფეროში და ომბუდსმენის ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა; ასევე, შევეხეთ ტერმინოლოგიის საკითხს. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ, ინვალიდობის პრობლემაზე მომუშავე ორგანიზაციებს, აბსოლუტურად მიუღებლად მიგვაჩნია ტერმინი "ინვალიდი"; ასევე, არ მოგვწონს ტერმინი "უნარშეზღუდული ადამიანი", რადგან იგი ხაზს უსვამს არა პიროვნებას, არამედ მის განსხვავებულ ნიშან-თვისებას - შეზღუდულ შესაძლებლობებს. ამიტომ, ჩვენთვის უფრო მისაღები იქნებოდა ტერმინი - "პირი შეზღუდული შესაძლებლობებით", რადგან ასეთი განსაზღვრისას აქცენტი კეთდება პირველ რიგში პიროვნებაზე და შემდეგ მის განმასხვავებელ თვისებაზე. უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ ევროპაში - იქ, სადაც ყველაზე მაღალ დონეზეა ეს ურთიერთობები, ხმარობენ ტერმინს "ადამიანები განსხვავებული შესაძლებლობებით".

**- რამდენად იცნობთ მსოფლიო გამოცდილებას ამ საკითხთან დაკავშირებით**

- ჩვენ შევისწავლეთ ოთხი ევროპული ქვეყნის - ინგლისის, შვედეთის, შვეიცარიისა და ნორვეგიის გამოცდილება. ინტერნეტით დავუკავშირდით ამ ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებს, საიდანაც დიდი ინფორმაცია მოგვაწოდეს, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ პირდაპირ კოპირებას და საქართველოში ინსტიტუტის ასე დამკვიდრებას. მაქსიმალურად შევეცდებით, ყველაფერი ქართულ სინამდვილეს შევუსაბამოთ.

როდესაც გაერომ 1993 წელს მიიღო დადგენილება "თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად", შვედეთში უკვე ერთი წლის შემდეგ, 1994 წელს შეიქმნა ინსტიტუტი "ომბუდსმენი ინვალიდობის სფეროში", რომლის ფუნქციებია საგანმანათლებლო მუშაობა. მეორე საკითხია მონიტორინგის ჩატარება კანონებზე, რათა არ დარჩეს უყურადღებოდ არც ერთი კანონი და დროულად შევიდეს ცვლილებები კანონში ინვალიდების ინტერესების გათვალისწინებით. შვედეთში ინვალიდებს აქვთ ომბუდსმენთან უშუალო ურთიერთობის საშუალებაც; ხდება განცხადებების, შენიშვნების განხილვა; საჭიროების შემთხვევაში, საქმე სასამართლომდეც მიდის. შეიძლება ითქვას, რომ შვედეთში ომბუდსმენი ინვალიდობაში არის შუამავალი სახელმწიფოსა და ამ სპეციფიკურ ჯგუფს შორის. ის, უშუალოდ, უწყობს ხელს ამ ხალხის ინტეგრაციას საზოგადოებაში; აკვირდება, ხომ არ ხდება საზოგადოების ან სახელმწიფოს მხრიდან ამ ადამიანების დისკრიმინაცია.

ინგლისის მოდელი ცოტა სხვაგვარია. იქ არსებობს 12-15 წევრისგან შემდგარი კომიტეტი, რომლელშიც კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტი ან ინვალიდია, ან მჭიდრო შეხება აქვს ამ პრობლემასთან. ეს კომიტეტიც იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც შვედეთის ომბუდსმენი. ეს არის სისტემა, რომელიც სახელმწიფოს აწვდის სტრატეგიულ გეგმას ამ ადამიანებთან მიმართებაში.

**- უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, როგორ მოდელს აირჩევთ თქვენ?**

- ჯერჯერობით, ჩვენ ვმუშაობთ კონცეფციაზე. შეხვედრა გვქონდა სახალხო დამცველთან. ბატონ სოზარს გავაცანით ჩვენი შეხედულებები. პრინციპში, იგი მომხრეა ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა, მაგრამ ამ ეტაპზე ფინანსური უზრუნველყოფა, ალბათ, გაჭირდება. ამავე დროს გასათვალისწინებელია ინსტიტუტის ხელმისაწვდომობა. ყველა ინვალიდი აღნიშნავს ამას. თუ ამ ინსტიტუტის აპარატში იმუშავებს მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელიც იქნება თბილისში, რეგიონებში მაცხოვრებელი ინვალიდები მას ხმას ვერ მიაწვდენენ.

ვფიქრობთ, წარმომადგენლები უნდა იყვნენ რეგიონებში, რათა უშუალო კავშირი ჰქონდეთ ადგილობრივ მცხოვრებ ინვალიდებთან. იმის დასადასტურებლად, რომ ეს აუცილებელია, რამდენიმე მაგალითის მოყვანაც საკმარისია. ზუგდიდის ერთ-ერთ კოლეჯში არ მიიღეს მოზარდი, რომელიც 11 წლის ასაკში ნაღმზე აფეთქების შედეგად გახდა უსინათლო და დაკარგა მარჯვენა ხელის მტევანი. **"ჩვენ აქ მახინჯ ბავშვებს არ ვღებულობთ",** - იყო პასუხი.

ჩხოროწყუში მასწავლებელმა სკოლაში არ მიიღო ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობებით და მშობელს უთხრა, - სხვა ბავშვებმა ამ მახინჯს როგორ უყურონო.

ჩვენი რეგიონის ერთ-ერთ სკოლაში მშობლებმა პროტესტი გამოთქვეს იმის გამო, რომ სკოლაში, სადაც მათი ბავშვები სწავლობდნენ, გაიხსნა ინტეგრირებული კლასიც, რაც გულისხმობს ინვალიდი და ჯანმრთელი ბავშვების ერთად სწავლებას. მათ დირექტორს მოსთხოვეს ამ ბავშვების სკოლიდან გაყვანა; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ დირექციას, რომ თავად გადაიყვანდნენ შვილებს სხვა სკოლაში.

ვფიქრობ, ეს მაგალითებიც საკმარისია იმის სათქმელად, რაც სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინონ ინვალიდობის ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

# კავშირი ადამიანებისათვის

*საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემებით, დღეს ასი ახალშობილი ბავშვიდან შვიდი გონებაშეზღუდული იბადება. არაზუსტი მონაცემებით, ჩვენთან შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების ზრდასრულ ადამიანთა რაოდენობა 20 000-მდეა. აქედან 3000 თბილისში ცხოვრობს.*

ნინო ბერელიძე

სახალხო დამცველის ოფისში მოეწყო შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე მოწიფული ასაკის პირთა დასაქმების პროგრამის პრეზენტაცია, რომელიც წარმოადგინა არასამთავრობო ორგანიზაციამ - "კავშირი ადამიანებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვენ". პრეზენტაციას დაესწრნენ "განათლებისა" და "ჯანდაცვის" სამინისტროების, სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და განათლების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები. შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრეს გონებაშეზღუდული ადამიანების საზოგადოებასთან შრომით ინტეგრაციაზე.

"ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს საზოგადოებაში გონებაშეზღუდული ადამიანების მიმართ. მათ ადამიანებადაც ვერ აღვიქვამთ და ხშირად უმთავრესი გვავიწყდება – არც ერთი ჩვენგანი არ არის სრულყოფილი;

გვავიწყდება მთავარი, როგორც ყველას - ამ ადამიანებს აქვთ შრომის უფლება. ამას ემსახურება პროექტის იდეა. პირველ ეტაპზე საჭიროა, დავასაქმოთ ისინი და მათ მიერ შეიქმნას პროდუქცია, რომელსაც საზოგადოება მოიხმარს. სოციალური თერაპიის სახლში დღეს 40 ასეთი ადამიანია დასაქმებული, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულები კულტურულ, სპორტულ და შრომით საქმიანობაში. ცენტრში არსებობს სტამბა-საამკინძაო, სადაც მოსწავლეებისათვის რამდენიმე თვეში 14 ათასი რვეული დაამზადეს. ეს პროდუქცია არაფრით ჩამოუვარდება იმ რვეულების ხარისხს, რომელიც ჩვენს ბაზარზე რეალიზდება. ეს სამუშაო მათთვის განსაკუთრებული სიამოვნებაა; სიხარულით აკეთებენ კეთილ საქმეს ბავშვებისათვის; გრძნობენ, რომ საჭირო არიან.

კარგი იქნება, ანალოგიური სტამბა-საამკინძაოები მოეწყოს საშუალო სკოლების ბაზაზე. პირველ ეტაპზე შერჩეულია თბილისის ათი სკოლა, სადაც ოც-ოცი გონებაშეზღუდული ადამიანი იმუშავებს. მსგავსი სტამბები იქნება რეგიონებშიც, რაც მომავლის საქმეა.

ამ წამოწყებას მეორე მხარეც აქვს - შეიცვლება საზოგადოების დამოკიდებულება; სკოლის მოსწავლეები მიეჩვევიან ამ ადამიანებს და ნახავენ მათი შრომის შედეგს. ამისათვის საჭიროა, მხარში ამოგვიდგნენ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია შრომის გზით. მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო - ნუ წავართმევთ ამ ადამიანებს შრომის უფლებას და ამ გზით მოვახდინოთ მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში", - აცხადებს კავშირის თავმჯდომარე მარინა ბულია.

მისი თქმით, პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა 20 000 ამერიკული დოლარი თითოეულ სკოლაზე. დისკუსიის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს პრობლემა ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადაიჭრას. ამ საქმეში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა. ფონდის წარმომადგენლის დევი ტაბიძის განცხადებით, პროგრამა დასახვეწია და საჭიროა, შეიქმნას პილოტური პროექტი, სულ ცოტა, ოთხმოცი ადამიანისთვის; ხსენებულ პროექტში რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანებიც უნდა მოიაზრებოდნენ.


ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" ინტეგრაციის პროგრამა აცხადებს კონკურსს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის**

**კონკურსის მიზანია:**

- ქართულ საზოგადოებასა და დეპორტირებულ მესხებს შორის ნდობის ხარისხის გაზრდა;
- რეპატრირებულ მესხთა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის საკითხების კვლევა;

**კონკურსში მონაწილეობა:**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ რეგისტრირებულ არასამთავრობო, არამომგებიან ორგანიზაციებსა და ორგანზიაციათა კოალიციებს.

**კონკურსის პირობები**

პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 6000 აშშ დოლარს. ამ თანხის ზევით პროექტისთვის საჭირო ნებისმიერი ხარჯები უნდა დაიფაროს სხვა დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით.

o თუ კონკურსზე წარმოდგენილ პროექტს მიღებული აქვს (ან შეიძლება მიიღოს) თანადაფინანსება სხვა წყაროდან, პროექტს უნდა დაერთოს შესაბამისი დამადასტურებელი საბუთი.

o თუ პროექტით გათვალისწინებულია სამუშაო შეხვედრების, საჯარო განხილვების, სემინარების და ტრენინგების ჩატარება, საჭიროა დაკონკრეტდეს თემატიკა და მიზან- ჯგუფი;

o პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის გრანტის მოსაპოვებელი განაცხადის ფორმის მიხედვით. აუცილებელი პირობაა პროექტის კონკრეტულობა და შედეგზე ორიენტირება. გარდა განაცხადის ფორმით გათვალისწინებული ინფორმაციისა, იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

o პროექტის დირექტორის, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრებისა და მონაწილეების ბიოგრაფიები, პროექტის განხორციელებისას მათი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მათი პროექტში მონაწილეობის შესახებ თანხმობის წერილები.

o თუ პროექტით განსაზღვრულია ექსპერტის მოწვევა, საჭიროა მიეთითოს მათი ვინაობა, პროფესიული გამოცდილება, ასევე პროექტს უნდა ახლდეს მათი თანხმობის წერილი.

**კონკურსის ვადები**

საკონკურსო განაცხადის შემოტანის **ბოლო ვადაა 2004 წლის20 დეკემბერი 16.00 საათი**

კონსულტაციები გაიმართება ფონდის ოფისში 6 და 13 დეკემბერს 16.00 საათზე.



**ს.ს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის"** ქვემო ქართლის ფილიალი აცხადებს ტენდერს ქ. ბოლნისში ელექტროენერგიის მრიცხველების დამონტაჟებაზე.

სატენდერო მასალების გასაცნობად დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ფილიალის ოფისს 2004 წლის 7 დეკემბრამდე.

**მისამართი: რუსთავი, რუსთაველის ქ. N28**

**ტელეფონი:** 877 71 70 99

893 55 88 69

# 2 მილიონი თუ ღირსეული მართლმსაჯულება

### ფინანსთა სამინისტრო სასამართლოების დაფინანსების თემას სრულ ბოიკოტს უცხადებს

თამარ კაციტაძე

*"იაფი მართლმსაჯულება ქვეყანას მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანს," - განაცხადა გუშინ იუსტიციის საბჭოში თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი გოგიაშვილმა. თუმცა, ამ ფრაზას მოსამართლეები უკვე წლების განმავლობაში იმეორებენ და დასახმარებლად ყოველთვის ქვეყნის პრეზიდენტს უხმობენ. მაგრამ, როგორც ჩანს, მათი დღემდე არავის ესმის.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*იუსტიციის საბჭო მოსამართლეების ხელფასის 100 ლარით გაზრდას ითხოვს.*

მიმდინარე წელიც ქართველმა მოსამართლეებმა ხელფასის გაზრდის მოლოდინში გაატარეს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის შემდეგ ხელფასები თითქმის ყველა სახელისუფლებო სტრუქტურას გაეზარდა, მოსამართლეებისთვის ჯამაგირის მომატება არავის გახსენებია. თუმცა, ანაზღაურების გაზრდას ვინ ჩიოდა, საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ მართლმსაჯულების წარმომადგენლებს საშიშროებაც კი დაემუქრათ, კუთვნილი ხელფასი სრული სახით ვერ მიეღოთ. ასე გაიარა მიმდინარე წელმა. როგორც ჩანს, მოსამართლეებს უკეთესის იმედი არც მომავალში აქვთ.

დღეს იუსტიციის საბჭო მომავალი წლისთვის მოსამართლეთა ხელფასის მზადებას, უფრო სწორად, მისთვის ბრძოლას იწყებს.

საერთო სასამართლოების 2005 წლის ბიუჯეტის პროექტი უკვე მზად არის, რომელშიც მოსამართლეთა ხელფასები დღევანდელი მდგომარეობით არის გათვალისწინებული, ხოლო სასამართლო მოხელეების მინიმალური ხელფასი 115 ლარით (შესაბამისი 15-პროცენტიანი ზრდით).

**"ბიუჯეტის პროექტით, საერთო სასამართლოების ხელფასი ჯამში 6 316 256 ლარია, რაც არანაირად არ არის საკმარისი, მით უმეტეს, როცა საუბარია სასამართლო სისტემის რეფორმაზე,"** - განაცხადა იუსტიციის საბჭოს მდივანმა პალიკო კუბლაშვილმა საერთო სასამართლოების ბიუჯეტის განხილვის მიზნით გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც საბჭოსა და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრების გარდა, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებიც უნდა დასწრებოდნენ. მაგრამ, როგორც თავად საბჭოს მდივანმა აღნიშნა, **"ფინანსთა სამინისტრო სასამართლოების დაფინანსების თემას სრულ ბოიკოტს უცხადებს."** ამიტომ იმ პრეტენზიების მოსმენა, რომლებიც სასამართლო ხელისუფლებაშია დაგროვილი და რომელთა გამოსწორებაც, ჯერჯერობით, კვლავ აღმასრულებელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, ფინანსისტების ნაცვლად, მასმედიას მოუწია.

**"მოსამართლეების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხის დარეგულირება უმნიშვნელოვანესია, როგორც თავად მართლმსაჯულების წარმომადგენლებისთვის, ასევე საზოგადოებისთვისაც, მაგრამ წლების განმავლობაში საშველი ვერ დაადგა "მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის შესახებ" კანონის ამოქმედებას, რომელიც მოსამართლის ხელფასის ოდენობის 25 პროცენტით ზრდას ითვალისწინებს,"** - ამბობს პალიკო კუბლაშვილი, რომლის სურვილიც არის, მომავალი წლიდან მოსამართლეებს ხელფასები, მინიმალურად, 100 ლარით მაინც გაეზარდოთ.

ქართული მართლმსაჯულებისთვის 100-ლარიანი "წყალობა" კი, ჯამში დაახლოებით 2 მილიონ 115 ათას ლარს შეადგენს, რომლის გაღებაც ფინანსთა სამინისტროს ძალიან უჭირს.

**"იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეებს ხელფასები არ გაეზრდებათ, არ არის გამორიცხული, რომ სისტემა პროფესიონალმა კადრებმა დატოვონ. დღეს მოსამართლეობა პრესტიჟულად აღარ ითვლება, ჩვეულებრივ მებაჟესაც კი მოსამართლეზე მეტი ხელფასი აქვს. რომ არაფერი ვთქვათ ცოტა ხნის წინ სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ხელოვნურად აგორებულ შავ პიარზე, რის გამოც ულირსი თანამშრომლების გვერდით ღირსეული მოსამართლეების სახელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. პროფესიონალი კადრების გარეშე დარჩენილი მართლმსაჯულება კი ქვეყანას ნგრევამდე მიიყვანს,"** - აღნიშნა მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარემ, საოლქო სასამართლოს მოსამართლემ მზია თოდუამ.

შეხვედრაზე მყოფი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟუაშვილი კი მოსამართლეების დაფინანსების პრობლემას იმაში ხედავს, რომ სასამართლო ხელისუფლება დღემდე აღმასრულებელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რაც, სხვათა შორის, ანტიკონსტიტუციურია.

**"საერთო სასამართლოების ბიუჯეტს ფინანსთა სამინისტრო არ უნდა განსაზღვრავდეს. პროექტი იუსტიციის საბჭოში მომზადების შემდეგ პრეზიდენტს უნდა წარედგინოს, რაზეც შემდეგ პარლამენტი იმსჯელებს,"** - ასეთია ლევან ბეჟუაშვილის პოზიცია, რომელსაც შეხვედრის ყველა წევრი ეთანხმება. ამიტომ, უახლოეს მომავალში დაიგეგმა შესაბამისი კანონის მომზადებაც, რომლის დამტკიცების შემდეგაც მოსამართლეების ბედს პრეზიდენტი განსაზღვრავს და არა ფინანსთა მინისტრი.

თუმცა, ეს მომავლის საქმეა. წინ კი, იუსტიციის საბჭოს, მოსამართლეებთან ერთად, 2 მილიონი ლარისთვის ბრძოლა ელის, რაშიც პრეზიდენტის დახმარების იმედი აქვთ, პრეზიდენტის, რომელმაც ნამდვილად კარგად იცის, ქვეყნის აღმშენებლობისთვის რას ნიშნავს სრულფასოვანი სასამართლო ხელისუფლება.

# უცხოელი ლექტორი საცხოვრებელ ბინაში მოკლეს

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოში უცხოელი მოქალაქის განზრახ მკვლელობის ფაქტი არ დაფიქსირებულა. გუშინ კი ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე სწორედ ინგლისელი ნაიჯელ ლამბერტ ოკენდენის განზრახ მკვლელობის ფაქტზე აღიძრა.

დიდი ბრიტანეთის მოქალაქის, 27 წლის ნაიჯელ ლამბერტ ოკენდენის გვამი ხილიანის ქუჩის N29-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინეს.

ოკენდენი საქართველოში რამდენიმე თვის წინ ჩამოვიდა და იგი დოლიძის ქუჩაზე მდებარე კერძო უმაღლეს სასწავლებელში ინგლისურ ენას ასწავლიდა.

გუშინ დილით, ინგლისელი ლექტორის ბინაში მეზობელი ქალი მივიდა, რომელიც დამლაგებლად მუშაობდა. მეზობელ ქალს უცხოელის კარები ღია დახვდა, გვამიც პირველად სწორედ მან ნახა, რის შემდეგაც სამართალდამცველებს დაუკავშირდა.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის მამუკა გვარამიას განცხადებით, ოკენდენს ცეცხლსასროლი იარაღიდან ზურგის არეში ერთი ტყვია აქვს ნასროლი, რაც გარდაცვალების მიზეზიც გახდა. პროკურორის თქმით, მკვლელობა, სავარაუდოდ, დილის 10.00 საათზე მოხდა. ბინის პირველადი დათვალიერებით ძარცვის კვალი არ აღმოჩნდა, რადგან სახლში ნივთები და ფული ხელუხლებელი იყო. თუმცა, გამოძიება სხვა ვერსიებთან ერთად ამ მიმართულებითაც მუშაობს. კონკრეტულად, რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება, ამ ეტაპზე უცნობია.

ჯერჯერობით, პროკურორი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ გვამზე ჩატარებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და გვამში ნაპოვნია ტყვიის გულა. ჩვენი ინფორმაციით, მკვლელობა, სავარაუდოდ, „მაკაროვის" სისტემის იარაღიდან განხორციელდა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ნივთმტკიცებები და დაკითხულები არიან სავარაუდო მოწმეებიც. მოწმეებში ვინ მოიაზრებიან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურორი არ ასახელებს. მამუკა გვარამია ამ ეტაპზე არც იმას ამბობს, გაიგეს თუ არა მეზობლებმა სროლის ხმა, ან საეჭვო პირი ხომ არ შენიშნეს.

ერთი სიტყვით, გამოძიება დაწყებულია, როგორც პროკურორი ვარაუდობს, შესაძლოა, დანაშაულს უახლოეს მომავალში აეხადოს ფარდა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები 1993 წელს თენგიზ ასანიძესთან ერთად დაკავებული სამი პირის: ჯინჭარაძის, ჯაბუასა და ოსიავას პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, დეპუტატები საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შესვლას გეგმავენ და საქმის თავიდან გადახედვას ითხოვენ. უმაღლესი საბჭოს წევრების განცხადებით, მაშინ, როცა თენგიზ ასანიძე გათავისუფლებულია და მან უკანონო პატიმრობისთვის საკმაოდ დიდი კომპენსაციაც მიიღო, მასთან ერთად დაკავებული პირების პატიმრობაში დატოვება ეჭვს იწვევს. აჭარის უმაღლესი საბჭო უახლოეს დღეებში საქართველოს პარლამენტში ჯინჭარაძის, ჯაბუას და ოსიავას გათავისუფლების მოთხოვნით შუამდგომლობას შეიტანს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ტვირთის საბაჟო დათვალიერებისას, ერთ-ერთ ყუთში ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს. კვიპროსიდან ფოთის პორტის გავლით გამოგზავნილი პირადი ნივთებით დატვირთული კონტეინერის მიმღები მოქალაქე გიორგი ჭუმბურიძეა. ფაქტის შესახებ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ეცნობა, რომელმაც საქმეზე მოკვლევა უკვე დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ტვირთის სრული დათვალიერება ჯერ არ დასრულებულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დაადგინეს ბათუმში მცხოვრებნი, 24 წლის არჩილ ფეტიძე და 41 წლის გიორგი ცქიტიშვილი, რომლებმაც ინტერნეტ-კაფეში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს დაცვის თანამშრომელს, ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში მცხოვრებ ზვიად ცივაძეს და ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში ორჯერ გაისროლეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილებისა და პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მოქმედი, ადამიანისა და ავტომანქანების ყაჩაღურად გატაცებაში ეჭვმიტანილი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, თავდაცვის სამინისტროს მოქმედი ოფიცერი, 32 წლის კაპიტანი ზურაბ თურმანიძე, რომელმაც 24 ივნისს დროებით დაქირავებულ ბინაში, ამჟამად დაკავებულ გოგა და ალიკა ზარანდიებთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით აიყვანა 24 წლის ლევან მექვაბიშვილი. მძევალს ხელ-ფეხი შეუკრეს და პირი აუკრეს სკოჩით, ჩაკეტეს იმავე ბინაში ერთი დღის განმავლობაში, რის შემდეგაც გაიტაცეს მისი კუთვნილი ავტომანქანა „მერსედესი". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ ქუთაისში, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა შპს "ინტერნეტ-კაფე" დააყაჩაღეს, საიდანაც 20 პერსონალური კომპიუტერი გაიტაცეს. ნიღბიანი თავდამსხმელები, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული, ინტერნეტ-კაფეში დარაჯის მიერ მოტყუებით გაღებული კარებიდან შეიჭრნენ. ქუთაისის პოლიციის ცნობით, არსებობს ოპერატიული ინფორმაცია, რაც უახლოეს დღეებში საქმის გახსნის იმედს იძლევა. **ინტერ-პრესი**

# გახდება თუ არა ასლან აბაშიძე მკვლელობაში ბრალდებული

*აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის კაბინეტში 14 წლის წინ მომხდარი მკვლელობის გამოძიება არ უნდა შემწყდარიყო – დარწმუნებული არიან თავად მოკლულის, უზენაესი საბჭოს დეპუტატის ნოდარ იმნაძის ოჯახის წევრები, კერძოდ, მისი ქალიშვილი ნატო იმნაძე, და სასამართლო წესით, საქმის ხელახლა გამოძიების დაწყებას ითხოვს.*

გავრცელებული ხმების თანახმად, აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ნოდარ იმნაძე საკუთარ კაბინეტში თავად ასლან აბაშიძემ მოკლა. თუმცა, გასაკვირი არ არის, რომ გამოძიება დასაწყისშივე ტენდენციურად წარიმართა და აჭარის სამართალდამცველ სტრუქტურებში შექმნილი ვერსიის თანახმად, ნოდარ იმნაძე, რომელიც შეიარაღებული შეუვარდა ასლან აბაშიძეს კაბინეტში, აუცილებელი მოგერიების საჭიროებიდან გამომდინარე, გააუვნებელყვეს.

მოკლულის ოჯახის წევრები წლების მანძილზე ცდილობდნენ, სხვადასხვა ინსტანციაში გაერკვიათ, როგორ წარიმართა გამოძიება და რა ბედი ეწია ნოდარ იმნაძის მკვლელობის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, თუმცა, მათ ძიებას შედეგი არ მოჰყოლია.

**"ამ ხნის მანძილზე დარწმუნებული ვიყავით, რომ საქმის გამოძიება შეჩერებული იყო. პროკურატურაში შეტანილ არც ერთ ჩვენს წერილსა თუ განცხადებაზე პასუხი არ მიგვიღია – თქვენ მხარედ არ ხართ ცნობილიო, გვეუბნებოდნენ. მხოლოდ ახლა, რევოლუციის შემდეგ მოგვეცა შესაძლებლობა, გავცნობოდით დოკუმენტს – 1991 წლით დათარიღებულ დადგენილებას, რომლის თანახმადაც, ნოდარ იმნაძის მკვლელობის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია,"** - ამბობს ნოდარ იმნაძის ქალიშვილი ნატო იმნაძე, რომელსაც, ამ დადგენილების გაცნობამ საშუალება მისცა, სასამართლოს წესით სამართლიანობის აღდგენა ეცადა. იმნაძის სარჩელის განხილვა გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში დაიწყო და მეტად საინტერესო, ასევე საკმაოდ ძველი დოკუმენტის ამოტივტივების გამო გადაიდო.

**"1996 წელს მორიგი განცხადებით მივმართე პროკურატურას. ამ განცხადებაზე პასუხი, ტრადიციისამებრ, ჩემამდე არ მოსულა. თუმცა, ახლა უკვე პროკურატურამ გვაცნობა, რომ იმ განცხადებაზე შემდეგი პასუხი გაუციათ და მეტად საინტერესოც. პროკურატურის პასუხის შინაარსი ასეთი გახლავთ: საქმის შესწავლის შედეგად, მოვითხოვთ, გაუქმდეს დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ და განახლდეს ძიება. ანუ, ფაქტობრივად, ის, რასაც ჩვენ ახლა ვითხოვთ, პროკურატურას 1996 წელს გადაუწყვეტია, უბრალოდ, ეს გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩა, მეტიც, ეს ქაღალდი საქმიდან დაკარგულია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნატო იმნაძემ. გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ პროკურატურიდან ეს დოკუმენტი გამოითხოვა, რამაც პროცესის 10 დეკემბრამდე გადადება გამოიწვია.

ნატო იმნაძე კი საკითხს ასე სვამს: როდესაც ზემდგომი ინსტანციის მოთხოვნა გამოძიებამ არ შეასრულა და საქმის ძიება არ განაახლა, რატომ არავინ დასაჯა ურჩები?

**"იმიტომ, რომ მსგავსი დადგენილებების ჩუმად წერით ყველა ფულს აკეთებდა – ასლან აბაშიძეს წველიდნენ, რეალურად საქმის გაკეთება კი არავის უფრიქრია,"** - ასკვნის იმნაძე. მას უკვე იმედს ულვივებს ის ფაქტი, რომ საგამოძიებო ორგანოებმა მხარედ სცნეს და საქმის გაცნობის საშუალება მისცეს. მისივე თქმით: **"სასამართლომ ჩემი მოთხოვნა რომ არც დააკმაყოფილოს, ანუ საქმის ხელახალი ძიება არ დაიწყოს და მხოლოდ საქმის შეწყვეტის დადგენილება გაუქმდეს, ტენდენციური გამოძიების შედეგად შექმნილი ტომებიც კი იძლევა მასალას იმისთვის, რომ ასლან აბაშიძე მკვლელობაში ბრალდებულად გამოცხადდეს."**

ნატო იმნაძე ვერ ხედავს ხელისშემშლელ ფაქტორებს იმისათვის, რომ სასამართლომ უსამართლო გადაწყვეტილება გამოიტანოს და კიდევ ერთხელ და, ალბათ, საბოლოოდ ააცილოს ასლან აბაშიძეს მკვლელობაში ბრალდებულის სტატუსის მინიჭება.

სხვათა შორის, სასამართლოს მხრიდან იმნაძის სარჩელის დაკმაყოფილება თითქმის გარდაუვალს გახდის ასლან აბაშიძის მკვლელობაში ბრალდებულად და, შესაბამისად, მასზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებას. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აჭარის ყოფილმა ლიდერმა გარკვეული დროის წინ მოსკოვი დატოვა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაბარგდა, სადაც მონახულა კიდეც იგი მისმა ადვოკატმა შალვა შავგულიძემ.

ფაქტია, რომ გადაწყვეტილება, რომლის გამოტანაც მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს იმნაძის სარჩელზე მოუწევს, ინდიკატორად გამოდგება იმისა, რამდენად ყოვლისმომცველია ასლან აბაშიძისთვის აჭარის დატოვების სანაცვლოდ დაპირებული ხელშეუხებლობა და რამდენად აქვს დღეს საქართველოს ხელისუფლებას ნება, პოლიტიკური ნიშნით შეთითხნილ სისხლის სამართლის საქმეებსა და გადაწყვეტილებებზე სამართლიანობა აღადგინოს.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელექსი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# მტკიცედ სდგებით!

საქართველოს ეკლესიაში არსებული ვითარების შესახებ პოლემიკამ, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს ძალიან გამძაფრდა, შეუძლებელია, გულგრილი დატოვოს ჩვენი ერისა და ეკლესიის რომელიმე გულშემატკივარი.

განსაკუთრებით საყურადღებოა სასულიერო აკადემიის სტუდენტთა ერთი ჯგუფის მიერ "24 საათში" გამოქვეყნებული წერილი, რომელმაც დიამეტრულად განსხვავებული შეფასება მიიღო სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში.

სასულიერო აკადემიის სტუდენტთა წერილი ეხება საქართველოს ეკლესიაში დღესდღეობით არსებულ მთელ რიგ პრობლემებს, ანუ, სტატიის ავტორთა სიტყვით - საქართველოს ეკლესიის კრიზისულ მდგომარეობას.

თუ დავუშვებთ, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სანახევროდ მაინც მართალია, პუბლიკაციის ავტორთა შეშფოთებასა და გულისტკივილს, უეჭველად, თანაგრძნობა უნდა გამოეწვია. თანაგრძნობა, რასაკვირველია, ჩვენი ერისა და ეკლესიის მოყვარეთა მხრივ. ნაკლოვანებების მხილება, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, მისი (ნაკლოვანების) აღმოფხვრის გარანტია თუ არა, მნიშვნელოვანი სტიმული მაინც არის. თუ ადამიანი გონიერია, მხილებას (თუნდაც იგი ბოროტგანწყობილი ოპონენტისგან მომდინარეობდეს) თავის სასიკეთოდ გამოიყენებს; მოიხმარს მთელ თავის ძალას, და მოიკვეთს ნაკლოვანებას. ასეცაა ნათქვამი: "გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა-გულსა ჰგმირდესო."

მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: ეკლესიის კომპეტენტური პირები, მათ შორის სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელობა, არ უარყოფს სტუდენტთა წერილში მოყვანილი ფაქტების სისწორეს, მაგრამ მაინც, გაუგებარი ლოგიკით, სტუდენტთა საქციელი მათ მიერ შეფასდა "ეკლესიის მტრობად". ნაცვლად იმისა, რომ ეკლესიური წესიერებისა და ზნეობრიობის ქომაგი სტუდენტების ინიციატივისადმი მხარდაჭერა გამოეცხადებინათ, ეკლესიის მტრებად შერაცხეს ისინი და რეპრესიები დაიწყეს მათ მიმართ.

ერთადერთი ბრალდება, რაც პუბლიკაციის ავტორებს წაუყენეს, ისაა, რომ მათ თურმე ეკლესიის "შიდა საქმეები", იერარქების დაუკითხავად, "გარეთ" გაიტანეს.

ეს ბრალდება ჩვენთვის სრულიად გაუგებარია; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ "ეკლესიის გარე" სამყაროდ მოვიხსენიებით ჩვენ, ქართველი მორწმუნე საზოგადოება, რომელიც ჩვენი ქვეყნის საერთო მოსახლეობის 83%-ს შევადგენთ (როგორც ჩანს, ისინი "ეკლესიად" გულისხმობენ მხოლოდ იერარქიას). აშკარაა, აქ საქმე გვაქვს ეკლესიოლოგიურ ნონსენსთან: თუ ჩვენ, ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთ, ეკლესიის საქმე არ გვეხება, ე.ი. მოკვეთილი ვართ ეკლესიის "შიდა საქმეებისაგან", მაშ ჩვენ ეკლესიის წევრებიც აღარ ვყოფილვართ!

რა უფლების ძალით აყენებთ, ბატონებო, "ეკლესის გარეთ" ქართველ მორწმუნე საზოგადოებას?

მეორეც, თუ წერილში მოყვანილი ფაქტები სრული სიმართლეა (ე.ი. სამღვდელოების დიდი ნაწილი სულიერად, მორალურად და ინტელექტუალურად უმწეოა; საეკლესიო სწავლებაში ანტიმართლმადიდებლურ, ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ იდეებს ამკვიდრებს და კორუფციაშიც არის ჩაფლული), მაშინ რა გამართლება ექნებოდა, ასეთ იერარქიასთან შეეთანხმებინათ სტუდენტებს ეკლესიის სავალალო მდგომარეობის ამსახველი წერილი; გაეთვალისწინებინათ იმათი რჩევები და რეკომენდაციები, ვისაც არაფერი გაუკეთებია ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად? რა გამოვიდოდა აქედან სასიკეთო?

სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელობა ამკვიდრებს ჩვენთვის მიუღებელ თვალსაზრისს, თითქოს ეკლესია (რომელიც მათი ლოგიკით, იერარქიას უიგივდება), სხვა არაფერია, თუ არა ბანდიტური საკრებულო, სადაც მის წევრთა მანკიერებანი გასაიდუმლოებულია; ხოლო ვინც მათ გაამხელს, ბანდის წევრთა რისხვას დაიმსახურებს და მტრად იქნება გამოცხადებული.

როგორ შეიძლება, ქრისტეს ეკლესია მანკიერებათა მიმჩქმალავ ბუნაგად იქნეს შერაცხული? პირიქით, ეკლესია ხომ სულის სამკურნალოა; მკურნალობა კი სნეულების გამოვლენის გარეშე ვერ მოხერხდება!

თუკი სამღვდელო პირს საპატრიარქოში არსებული პრობლემები აწუხებს, შეუძლებელია, იქ გამეფებული განუკითხაობის მიჩუმათების მომხრე იყოს.

სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელობა კი დაბეჯითებით გვარწმუნებს, საპატრიარქოს თანამშრომელთა და სამღვდელოების წარმომადგენელთა კორუმპირებულობისა თუ პროფესიული მოუმზადებლობის შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებულად უნდა დარჩეს საეკლესიო იერარქიაში; ეკლესიის მთელ სავსებას მასთან არაფერი ესაქმებაო!

რა არის ეს, თუ არა ბანდიტურქურდული მენტალიტეტის დემონსტრირება?

შესაძლოა, შემოგვედავონ: მართალია, წერილში ტყუილი არაფერი წერებულა, მაგრამ სტუდენტთა კომპეტენციაში არ შედის ეკლესიის გლობალური საკითხებიო.

ამ აზრს ნაწილობრივ ჩვენც გავიზიარებთ: წერილში დაფიქსირებულ მტკივნეულ საკითხთა აღძვრა უფრო უპრიანი იქნებოდა უმაღლესი სამღვდელოების და არა სტუდენტების მხრივ. სტუდენტებს კი არა, პირველად მათ უნდა დაერისხებინათ ზარები ეკლესიის წევრთა სნეულების გამოსავლენად და სამკურნალოდ. თუკი მან, ვისაც ეს ევალება, არ გამოავლინა სენი და თვითკმაყოფილებას მისცა თავი, სენი თავისთავად ვერ განიკურნება.

იერარქიამ კი წლების განმავლობაში პირში წყალი ჩაიგუბა და "ეკლესიის საქმე გარეთ არ გამოიტანა". მათ სწორედ ის გაუკეთეს დედა ეკლესიას, რასაც უბოროტესი მტერიც კი ვერ გაუკეთებდა. სწორედ მათმა უმოქმედობამ (უკეთეს შემთხვევაში), ანდა "საეკლესიო" კორუფციაში ჩართვამ აიძულა წრფელ სტუდენტთა ერთი ჯგუფი, შეესრულებინა თავისი ქრისტიანული მოვალეობა. ამისთვის ისინი შერისხვას კი არა, მადლობას იმსახურებდნენ.

აკადემიის ხელმძღვანელობამ, როგორც ვიცით, "შეუნდო" წერილის ავტორებს.

საკითხავია, რა შეუნდო? - სიმართლის თქმა? გამოდის, სიმართლის თქმა ცოდვა ყოფილა!

თუ წერილში მოყვანილი რომელიმე ფაქტი მცდარია, რატომ ვერავინ გაბედა მისი უარყოფა? ხოლო თუ მართალია, "შესანდობელი" რა სჭირთ ჩვენს საყვარელ თანამოძმეთ?

ჭეშმარიტების გამოთქმა თუ ცოდვად მიიჩნია, - ამაზე უარესი რა უნდა ქნას სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელობამ?

რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ სტუდენტებმა თავიანთ კომპეტენციას გადააჭარბეს, ამის შესახებ ვიტყვით:

წმინდა წერილში კორუფციის მხილების არაერთი შემთხვევაა აღწერილი; ასეთია, მაგალითად, სიმონ გრძნეულის მცდელობა, ფულით ეყიდა სამღვდელო ხარისხი (საქმე 8.9-25), ასევე ანანიასა და საფირას სიცრუე (საქმე 5.1-10). ეს ის შემთხვევებია, როცა პეტრე მოციქულმა ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ამხილა "სიცრუესა ზედა შეთქმულნი".

განა მოციქულმა არ იცოდა ქრისტეს მცნება - როცა შეგცოდავს ძმა, ჯერ ერთი-ერთზე ამხილე, შემდეგ-ერთი-ორი მოწმის თანდასწრებით; და მხოლოდ ამის შემდეგ, რაც მათსასაც არას შეისმენს, უკვე საჯაროდ ამხილეო? (მათე 18.15-17) - ეს მცნება მოციქულმა კარგად იცოდა, მაგრამ საჯარო მხილება არც სიმონ მოგვთან დააყოვნა, არც ანანიასთან და საფირასთან; ორივე შემთხვევაში ქრისტეს მოციქულთა თავმა შეგონების მეთოდს გვერდი აუარა.

რატომ? ნუთუ ქრისტეს მცნების დაცვა არ მოისურვა?

საქმე ისაა, რომ სულიწმინდის შთაგონებით პეტრე მოციქული მიხვდა, ანანიასა და საფირაზე არ გასჭრიდა არც ერთი-ერთზე შეგონება, არც ორი-სამი მოწმის თანდასწრებით მხილება. ამიტომაც ბრძენმა მოძღვარმა "სულიწმიდის განმცდელი" ცოლ-ქმარი ერთბაშად ამხილა მთელი კრებულის წინაშე.

ამით პეტრე მოციქულმა მოგვცა მაგალითი კორუფციაში ჩაფლული ადამიანის დაუყოვნებელი მხილებისა.

არც ის ბრალდებაა საფუძვლიანი, რომ, რაკი სტუდენტებს იერარქიული ხარისხი არ აქვთ, თითქოს ამის გამო მათ უფროსის კრიტიკის უფლება არ ჰქონდეთ. ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია მრავალი შემთხვევა იმისა, რომ იერარქიულად ქვემდგომ პირთ გაბედულად უმხილებიათ ზემდგომნი, რისთვისაც მათ იმჟამად რისხვა კი დაუმსახურებიათ, მაგრამ საბოლოოდ ეკლესიის მიერ წმიდათა შორის იქნენ შერაცხულნი.

ჩვენ აღტაცებულნი ვართ სასულიერო აკადემიის 23 სტუდენტის მამაცობით, რადგან ისინი არ შეუშინდნენ იმ საფრთხეს, რაც მათ იერარქიის მხრივ ელოდათ. ჩვენ, მათი თანამორწმუნენი, ვუსურვებთ, კვლავაც შეუდრეკელად მდგარიყვნენ ჭეშმარიტების აღიარების გზაზე, და თუ ამისთვის მსხვერპლი შეიქმნებიან, ეს იქნება დიდი სირცხვილი ჩვენი საზოგადოების და შავბნელი ფურცელი ჩვენი სამშობლოს მომავლის წინაშე.

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტები:

**ვანო გოლიაძე**
**გიორგი ქევხიშვილი**
**ემილ მიმინოშვილი**
**ქიშვარდ გამზარდია**
**გიორგი კალანდაძე**
**სოფიო გაბრიაძე**
**მელანო შინჯიაშვილი**
**მაია გოგაძე**
**ივლიტა ლობჯანიძე**
**ავთო კოტია**
**ზურაბ ნებიერიძე**
**პავლე ჭიოკაძე**
**დავით ლომიძე**
**სანდრო ინწკირველი**
**ნატო სოლოღაშვილი**
**მერაბ სამყურაშვილი**
**ვახტანგ ხვედელიძე**
**ინგა გიაშვილი**

# გელათის 900 წლის იუბილესათვის

მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

ბატონო პრეზიდენტო!
თქვენო უწმიდესობავ!

სულ მალე, 2006 წელს, სრულდება 900 წელი გელათის სამონასტრო და სამეცნიერო კომპლექსის დაარსებიდან. დღევანდელი ქართველობა საქართველოს კულტურის ისტორიის მეორე ასეთ დიდ და მნიშვნელოვან თარიღს ვერ მოესწრება. მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალი სწორედ გელათის მონასტერში, ქართული კულტურის ამ დიდ სავანეში, დაიწყო. გელათის იუბილე ღირსეულად უნდა აღინიშნოს, რაც დიდ ძალისხმევასა და სახსრებს მოითხოვს, დრო კი ცოტა რჩება - საიუბილეო თარიღს წელიწადიღა გვაშორებს. ეს ისტორიული ღონისძიებაა და მას სათავეში საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნდა ჩაუდგნენ. შესაქმნელია სამთავრობო საიუბილეო კომისია, რომლის შემადგენლობაში ცნობილი მეცნიერები და სახელმწიფო მოღვაწეები უნდა შევიდნენ.

გამოსაცემია მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი ფილოსოფოსების იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის შრომები ქართულ და ინგლისურ ენებზე (საამისოდ მოსაწვევია უცხოელი მეცნიერებიც), ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები გელათისა და გელათში მოღვაწე ჩვენი დიდი წინაპრების შესახებ და ა.შ.

გელათის მონასტრის მობიბინე ბალახით მოსილი ეზო ლამაზი კია, მაგრამ ეს "დავიწყების ბალახი" ("трава забвения") გახლავთ - ის მალავს ჩვენი დიდი და საამაყო მეფეების დავით აღმაშენებლის, დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარისა და სხვათა საძვალეებს. ამიტომაა, რომ როცა გელათის მონასტრის ეზოში ვდგავართ, გვეუფლება ბუნების მშვენიერების საამური გრძნობა, მაგრამ არ აგვიტანს ის მძაფრი განცდა, რაც დიდ წინაპართა ნეკროპოლის ხილვისას უნდა გვეუფლებოდეს.

გაგრძელდეს ასე? - მაგრამ ამ კითხვას აწ უკვე დამოუკიდებელმა ქართველმა ხალხმა უნდა გასცეს პასუხი.

დღემდე თვით მეცნიერულ წრეებშიც კი გავრცელებულია გადმოცემა, თითქოს დავით აღმაშენებლის საძვალედ მიჩნეულ აკლდამაში, სადაც მთელი საქართველო მოწიწებით იყრის მუხლს, ჩვენი სათაყვანებელი მეფე აღარ მარხია, იგი თითქოს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში საკუთრივ ტაძარში იქნა გადასვენებული. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ქართველი ერი ამ ლეგენდის ამარა ხომ არ უნდა დარჩეს! მან ხომ უნდა იცოდეს, სად უმარხია თავისი მხსნელი და სათაყვანებელი მეფე თვითონ ამ მეფის მიერვე თავის საძვალედ აღშენებულ გელათში! საამისოდ კი ჩვენ, - გამოვუტყდეთ საკუთარ თავს! - ჩვენი ბედოვლათობის გამო არა და არ მოვიცალეთ. ასეთ დაუდევრობას შთამომავლობა არ გვაპატიებს! როგორ არ უნდა მოგვაგონდეს აქ ქართველი პოეტის სიტყვები: "სირცხვილი იმ გუთნისდედას, თავის მამის საფლავს ხნავდეს!"

მთელი მსოფლიოს წინაშე მოგვაქვს თავი გელათის მოზაიკური მხატვრობით, მაგრამ რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ ამ მსოფლიომ იცოდეს მისი ადგილი საკაცობრიო კულტურის ისტორიაში? შევუდარეთ იგი სხვა მოზაიკებს, ვთქვათ, აია სოფიას მოზაიკას? - არა! აკაკი ბაქრაძემ გელათის აკადემია სწორედ იმიტომ დატოვა, რომ საამისოდ შესაქმნელ მეცნიერულ ჯგუფში ჩასართავად უცხოელ სპეციალისტთა მოწვევა ვერ მოვახერხეთ, - გაირკვა, რომ აკადემია გვქონდა, მაგრამ კვლევების ჩასატარებელი საჭირო თანხა - არა. "ბლეფი აკადემია დაგვიარსებიაო!" - გაბრაზდა იგი და წავიდა. მართალიც იყო.

კაპიტალური რემონტი და რესტავრაცია სჭირდება სამონასტრო კომპლექსის ყველა ნაგებობას. თვით "განჯის კარსაც" კი ჩვენ თვალწინ ჟანგი ჭამს, მალე მის წარწერებს ველარავინ ამოიკითხავს. მისი კონსერვირება გადაუდებელი საქმეა. თავად აკადემიის შენობაც აღსადგენია. მის რესტავრაციას ბევრიც არ უნდა, - შენობის ძირითადი კონტურები შემონახულია.

მეცნიერების თანამედროვე დონეზე აღჭურვა და გამართვა ესაჭიროება აკადემიის ახალ, დღევანდელ კორპუსს, რომელიც ქუთაისში მდებარეობს.

გელათის მეცნიერებათა აკადემიამ ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად უკვე დაიწყო მზადება. ჩვენ შევუდექით 900 წლის წინათ გელათში შექმნილი მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალურ ქართულ მეცნიერულ ძეგლთა აკადემიური ტექსტების მომზადებას. ზოგი მათგანი, დღევანდელი დუხჭირი პირობების მიუხედავად, გამოვეცით კიდეც, წინასწარ კი, ფართო საზოგადოებრიობის ინტერესი რომ დაგვეკმაყოფილებინა, მოვამზადეთ და ამ დღეებში დასაბეჭდად გადავეცით მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი გელათის შესახებ სამ ენაზე - ქართულად, რუსულად და ინგლისურად (სამ წიგნად). მაგრამ ყველაფერი ეს ზღვაში წვეთია და გვინდა, ჩვენი ეს წამოწყებანი ჰგავდეს თოვლის იმ მცირე ფთილას, რომელსაც უფლის ნებით მთის ფერდობზე ჩიტი ააგორებს ხოლმე, რათა მერე იგი უზარმაზარ ზვავად იქცეს.

ჩვენ ჩვენსას ვცდილობთ, მაგრამ ჩვენი გულისხმევა ამ დიდ და ეროვნულ საქმეს არ ეყოფა. ახლა სიტყვა ჩვენს კოლეგებს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას და ხელისუფლებას ეკუთვნის.

*ღრმა პატივისცემით,*
*აკადემიკოსი მაგალი თოდუა*
*გელათის მეცნიერებათა*
*აკადემიის პრეზიდენტი*

# ურესურსებოდ მაღალხარისხოვანი განათლება ფუჭი ოცნებაა

*განათლების სისტემის გარდაქმნის აუცილებლობაზე აღარავინ დავობს. აშკარაა, რომ, როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლების სისტემაში ნეგატიური მოვლენები განვითარდა და გამოსწორებას საჭიროებს. მაგრამ რეფორმის განხორციელება უშედეგო იქნება აუცილებელი რესურსების გარეშე, რომელსაც რეფორმატორები ხშირად გვერდს უვლიან.*

განათლების თანამედროვე სისტემები აგებულია ადამიანური კაპიტალის თეორიაზე, რომლის თანახმადაც, განათლების პოტენციალი პირდაპირპროპორციულია განათლებაზე დანახარჯებისა. რაც არ უნდა დიდი სურვილი გვქონდეს, რესურსების ფაქტორის ანგარიშგაუწევლად რეალური წარმატების მიღწევა ძნელია და თუ მაინც ამას შევეცდებით, როგორც ამჟამად ხდება, მივიღებთ ფალსიფიცირებულ ცოდნას და გამალებულ "დიპლომიზაციის" პროცესს. ამიტომ საქმე უფრო რთულია, ვიდრე განათლების კანონების ენობრივი გადმოქართულებით გატაცებულ მავანთ და მავანთ ჰგონიათ. აშკარად ჩანს, რომ ისინი არცთუ კარგად იცნობენ განათლების ეკონომიკის პრინციპებს. ამიტომაცაა ხშირად ბუნდოვანი განათლების ნორმატიულ აქტებში რესურსული უზრუნველყოფა. სურვილი კი ევროპული დონის განათლებისა დიდია და ამოცანაც ის არის, როგორ მოვარგოთ იგი ჩვენს რეალურ შესაძლებლობებს. სამწუხაროა ისიც, რომ საქართველოს განათლების სისტემის მოდერნიზაციის მეცნიერულად დამუშავებული კონცეფცია, რომელიც რესურსების ფაქტორს გაითვალისწინებდა, არ არსებობს.

პათეტიკური განცხადებები, რასაც განათლების პრიორიტეტულობის შესახებ მაღალი ჩინოვნიკობა ხშირად აკეთებს, არ დასტურდება რეალური ქმედებით. ობიექტურად შექმნილ უმძიმეს რესურსულ რეალობას კიდევ უფრო მეტად სუბიექტური ფაქტორიც ამძიმებს. საქმე ეხება არა მხოლოდ სახელმწიფოს ხელში არსებული სახსრების, მართლაცდა, ნაკლებობას, არამედ ამ სახსრების განაწილების არასწორად ჩამოყალიბებულ პროპორციებს.

მსოფლიოს განვითარებული, თუ ჩვენსავით გალატაკებული ქვეყნების პრაქტიკა ასეთია: განათლებაზე სახელმწიფოს მხრიდან იხარჯება ქვეყნის ერთობლივი შიგა პროდუქტის დაახლოებით 5%-ი; ზოგან ცოტა მეტი (სადაც განათლება პრიორიტეტულია), ზოგან - ოდნავ ნაკლები. ჩვენში კი, სადაც 2005 წელს 10 მლრდ ლარზე მეტი ერთობლივი პროდუქტი უნდა ვაწარმოოთ, აღნიშნული პროპორციის მიხედვით განათლებაზე სახელმწიფოს 500 მლნ ლარი მაინც უნდა გამოეყო. სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების თავმოყრის ცნობილი სიძნელეებიც რომ გავითვალისწინოთ, მაინც განათლებაზე ვხარჯავთ (ადგილობრივი ბიუჯეტების გათვალისწინებით) შესაძლებელზე ორჯერ უფრო ნაკლებს. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, აქედან 2005 წელს მეცნიერებასა და განათლებაზე ერთობლივად უნდა დაიხარჯოს მხოლოდ 66 მლნ ლარი.

1990 წელს, როცა მანეთი ჯერ კიდევ მყარი იყო, საქართველოში განათლებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან თითქმის ერთი მილიარდი მანეთი დაიხარჯა. ამჟამად გათვალისწინებული სახსრები კი 5-ჯერ ნაკლებია.

ევროკავშირის ქვეყნებში (ევროპა - 25) უმაღლეს განათლებაზე სახელმწიფოს მხრიდან იხარჯება ერთობლივი პროდუქტის 1,1%-ზე მეტი. ამ პროპორციას თუ ჩვენში უხეშად გადმოვიტანთ, საქართველოში სახელმწიფოს უმაღლეს განათლებაზე მომავალი წლის ბიუჯეტში 110 მლნ ლარი მაინც უნდა გამოეყო. სინამდვილეში კი ეს თანხა 20 მლნ-ს ფარგლებშია.

ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოდ ერთ სტუდენტზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა 8 ათას აშშ დოლარს უდრის, მათ შორის შვეიცარიაში 17 ათას დოლარს, ხოლო ყველაზე მცირეა იგი ლიტვაში და უტოლდება 3335 დოლარს. ჩვენში კი იგი არ აღემატება 170 დოლარს, ანუ ევროკავშირს ამ მაჩვენებლით 50-ჯერ ჩამოვრჩებით. ამის შემდეგ რამდენად რეალურია უმაღლესი განათლების ხარისხის ევროპულ დონემდე ზრდა?

განათლებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება ჩანს ჩვენში საშუალო სკოლის მასწავლებლისა და უმაღლესი სკოლის პროფესურის დისკრიმინაციული ხელფასიდანაც. უმაღლეს სასწავლებელში მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე წოდებით პროფესორის თვიური სახელფასო განაკვეთი 78 ლარია, დოცენტისა - 53 ლარი. მაშინ როცა, საერთოდ, საქართველოში დაქირავებულთა საშუალო ხელფასი ორჯერ მეტია. მსოფლიო მასშტაბით მიახლოებულ ანალოგსაც ვერ მოძებნით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორი რომ მოიწვიოთ სხვა დაწესებულებიდან ლექციების წასაკითხად (ვთქვათ, მეცნიერებათა აკადემიიდან), მას ერთსაათიან ლექციაში დაქვითვის შემდეგ დარჩება მხოლოდ 94 თეთრი, ხოლო დოცენტს - 64 თეთრი. ორმოცდაათი ცენტი რომ შესთავაზო პროფესორს მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილ ბურუნდიში ან ტანზანიაში ერთსაათიან ლექციაში, შეურაცხყოფისათვის პასუხს მოგთხოვთ. ჩვენ? ჩვენ ღირსება არა გვაქვს? ან ვინ დააწესა ეს აბსურდული ნორმატივი? ასე ვაპირებთ დასავლეთს დავეწიოთ სწავლების ხარისხით, რაც ყველა "რეფორმატორს" პირზე აკერია? ვის ვეწევით? აშშ-ს და ინგლისს, სადაც საშუალო სკოლის მასწავლებელი თვეში 3500 დოლარს იღებს, ხოლო ოთხწლიანი კოლეჯის პროფესორი - ორჯერ მეტს? ადამიანური პოტენციალის განვითარების რეიტინგის მიხედვით ჩვენი მომდევნო ჩინეთია, სადაც საშუალო სკოლის მასწავლებლის ხელფასი 300 აშშ დოლარს აღემატება, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის პროფესორისა - 1000 დოლარს; ასევეა თურქეთი, სადაც საშუალო სკოლის მასწავლებელი თვიურად 750 აშშ დოლარს ღებულობს? განა თურქეთს ეკონომიკურად ოცჯერ ჩამოვრჩებით, რომ ჩვენში სკოლის მასწავლებლის ხელფასი ოცჯერ ნაკლები იყოს? მაშ რაშია საქმე? რაში ჩანს ჩვენში განათლების პრიორიტეტულობა? ვინ აკეთებს ამის ანალიზს?

მეზობელ რუსეთშიც არაა მასწავლებელი და პროფესორი ხელფასით გალაღებული. ამიტომაც გადაინაცვლა მაღალკვალიფიციურმა პროფესურამ დასავლეთის უნივერსიტეტებში. მაგრამ, ჩემი აზრით, მათ პრობლემა მეტ-ნაკლებად ესმით. ამიტომაც თავის დროს განათლების კანონშიც ასახეს იგი: საშუალო განათლების სფეროში პედაგოგის მინიმალური სახელფასო განაკვეთი არ უნდა ყოფილიყო ნაკლები ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასზე, ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა საშუალო ხელფასი ორჯერ მეტი მაინც უნდა ყოფილიყო მრეწველობის მუშაკთა საშუალო ხელფასზე. ამას ემატება ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია საჭირო ლიტერატურისა და პერიოდულ გამოცემათა შესაძენად სახელფასო განაკვეთის 10%-ის ოდენობით.

სიღარიბე მარტო ჩვენში არაა, მაგრამ ხელფასების პოლიტიკის გარეშე არც ერთი სახელმწიფო არ ცხოვრობს. გამონაკლისი - მხოლოდ საქართველოა, სადაც ხელფასების პოლიტიკაში ქაოსი და თვითნებობაა გაბატონებული. ამას კი ინტელექტისა და კვალიფიკაციის განადგურება გარდაუვლად მოჰყვება. უფრო ცუდი ისაა, რომ ვისაც ხელფასების დიფერენციაციის რეგულირება უშუალოდ ევალებათ, მათ ამის თაობაზე, რბილად რომ ვთქვათ, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ (მაგრამ არა თავისი მიზეზით). თავის დროს მხოლოდ სუბიექტური მოტივებით იყო გამოწვეული ჯანდაცვის სამინისტროზე შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიკერება. ამან მრავალმხრივი უარყოფითი შედეგი გამოიღო, რომლის განხილვის ადგილი ამჯერად არ არის. ერთი რამ ცხადია, ჩვენს საზოგადოებაში უნდა აღდგეს პედაგოგის პროფესიის პრესტიჟი, რაც დისკრიმინაციული შრომის ანაზღაურების პირობებში შეუძლებელია.

მეორე მხრივ, ქართველი ხალხის გენეტიკური ნიჭისა და განათლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვის შემხედვარეს მიჩნდება რწმენა, რომ პრობლემა დაძლევადია. ამ რწმენას მიძლიერებს საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია, ვისაც მიაჩნია, რომ განათლების მაღალი პოტენციალი ის ნათელი რგოლია, რომლის ამოწევითაც უნდა დავძრათ ადგილიდან საქართველოს ლაფში ჩაფლული ურემი.

***მირიან ტუხაშვილი***
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის ეკონომიკის კათედრის გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

გამარჯვებული - დამარცხებულ ტელევიზიაში

ნინია კაკაბაძის სვეტი



B3

ჰინგისი ბრუნდება



B5

ვარსკვლავების თანადგომა



B8

# ინგლისელების მოგზაურობა საქართველოში

ინგლისელი და-ძმა, მერი და ლუის მაინერცაგენები მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდნენ. მერი 22 წლისა იყო, ლუისი კი - 24 წლის, როდესაც არარატის დალაშქვრის რომანტიკული და იმ დროისთვის ალბათ, ცოტა გიჟური იდეა მოუვიდათ. 1911 წლის აგვისტოში ისინი სამოგზაუროდ წავიდნენ და 10 წლის განმავლობაში მოგზაურობდნენ მარშრუტით - ბალკანეთი, რუსეთი, კავკასია.

მერისა და ლუისის შთამომავალმა, ნიკოლას მაინერცაგენმა, რომელიც დღემდე უფრთხილდება წინაპრების დატოვებულ "ქართულ მემკვიდრეობას," ლონდონიდან მოგვაწოდა ამ მოგზაურობის ამსახველი უნიკალური დღიურები და ფოტომასალა, რომელსაც და-ძმა თავად იღებდა. ამ კოლექციაში ინახება მოგზაურობიდან ჩამოტანილი ან მოგვიანებით, ნიკოლასის მიერ შეძენილი ქართული ყოფის ნივთები, უძველესი სახარება, წიგნი საქართველოს მეფეებსა და დიდგვაროვნებზე და სხვა.

დღიურებში, როლმელსაც ამჯერად არ გთავაზობთ, ავტორები დოკუმენტურად ასახავენ იმჟამინდელ ყოფას თუ პოლიტიკურ ვითარებას, ქართველთა განწყობებსა და ჩვევებს. ეს ისტორული მასალა ჩვენთვის ბევრი რამით არის საინტერესო.

დღეს გთავაზობთ მხოლოდ ფოტოებს, რომელიც საქართველოში პირველად ქვეყნდება.





ლუისი



და მერი









B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 თვალსაზრისი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ანსამბლები: "უნივერსიტეტი" და "ქართული ხმები"
დას: 18:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**კინომსახიობთა თეატრი**
რევაზ გაბრიაძე
"ჩვენი პატარა ქალაქი"
(თორნთონ უაილდერის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით)
სამ მოქმედებად
დამდგმელი რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი
რეჟისორი: ზაზა მიქაშავიძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გიორგი თავაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ივანოვი"
(ჩეხოვის მიხედვით)
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
პატრიკ ზიუსკინდი
"კონტრაბასი"
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
პაზოლინის ფილმების ჩვენება
"ათას ერთი ღამის ყვავილი"
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ალექსანდრე"
დას: 11:30; 18:30; 22:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

**ამირანი**
"ალექსანდრე"
დას: 12:00; 19:00; 22:15 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

## გამოფენები

**ქარვასლა**
ბაბი ბადალოვის ნამუშევართა გამოფენა და წიგნის პრეზენტაცია
გახსნა: 16:00 სთ.

**ჰობი**
თეონა თავართქილაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ქართული რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

**ლიტერატურული საღამო**
**კაფე "გოეთე"**
თბილისის გოეთეს ინსტიტუტი გიწვევთ
ული როტფუსის წიგნის - "ლეილა იცინის
მისი თავგადასავალი. დასაწყისი და დასასრული" პრეზენტაციაზე.
(ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
მუსიკალური გაფორმება: დეა რუსიშვილი (ჩელო, სახელმწიფო ოპერის სიმფონიური ორკესტრი)
დას: 17:30 სთ.

## კლუბები

**ბერლინი**
(ელბაქიძის 14)
კომპანია "შედოუქეთი" წარმოადგენს:
დი-ჯეები: ქეში და ედგარ სებისი
ბილეთების ფასი: 10 ლარი
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# მან ააღორძინა. დანარჩენი მომავლის საქმეა

### გაორებული სახეები და ფერწერა ლითონზე



იური ლობოდინის ფოტო

*გუშინ სურათების ეროვნულ გალერეაში გაიხსნა ირაკლი ოჩიაურის პერსონალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია მისი ფერწერა, გრაფიკა და, რა თქმა უნდა, ლითონზე პლასტიკა.*

სოფო კილასონია

ძნელია იმსჯელო, მით უმეტეს, წერილობით, როცა აზრებსა და ფიქრებს ემოციები და შთაბეჭდილებები სჭარბობს, როცა უკომენტაროდ მოგწონს და შესცქერი ყოველ ნამუშევარს, რომელშიც ტრადიცია, ოსტატობა, გემოვნება ერთმანეთს კვეთს და ერთ ექსპოზიციაში წარმოგვიდგება. გინდა, უბრალოდ, მადლობა თქვა, რომ ის არსებობს და ქმნის.

გუშინ სურათების ეროვნულ გალერეაში გაიხსნა ირაკლი ოჩიაურის პერსონალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია მისი ფერწერა, გრაფიკა და, რა თქმა უნდა, ლითონზე პლასტიკა. გალერეაში შესულ დამთვალიერებელს ერთ მხარეს ელის ფერწერული ნამუშევრები, ხოლო მეორე მხარეს - ლითონზე ჭედურობით შესრულებული კომპოზიციები. შესასვლელის პირდაპირ დაკიდებული "წმინდა ნინო" კი როგორც ერთის, ისე მეორის, ყველა მახასიათებელს საფუძველშივე უსვამს ხაზს: ეროვნული, სადა და მონუმენტური. ყოველგვარ ზედმეტობას მოკლებული ეროვნული ხასიათი და სიმარტივის გამომრიცხავი სისადავე - ესაა ის, რაც ყოველ ნამუშევარში იოლად იკითხება.

ირაკლი ოჩიაურის ტონალური ფერწერა წმინდა კოლორიტულ ამოცანებს ემსახურება, თუმცა, არც ხაზის სინატიფე იკარგება სადმე.

მარჯვენა "ფერწერულ" დარბაზს ქალების ნაირფეროვანი პორტრეტები და მათი შიშველი სილუეტები ავსებენ. თემათა სიმრავლის მიუხედავად, ყოველ ნახატს თავისი კოლორიტული გამა აქვს. ზეთით შესრულებულ ნამუშევრებს პასტელი ცვლის, მარაოებითა და უზადო ნაკვთებით თავმომწონე ქალბატონებს კი - გაორებული სახეები. პორტრეტებსა და უცნაური ფორმის დოქების ნატურმორტებს შორის რამდენიმე პანო გამოირჩევა. ალისფერ ზვირთებთან მებრძოლი "ცეცხლთაყვანისმცემელნი", სილურჯეში გაშლილი "თეთრი და შავი გედები", ცენტრში კი, ცხოვრებაზე ჩაფიქრებული, დაღონებული "ჰომოსაპიენსი".

მას შემდეგ, რაც ირაკლი ოჩიაურის ქანდაკებების (ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, მარინე ყუბანეიშვილი...) ფოტოებს გადავხედავთ, მხატვრის ლითონით ნაჭედ ფანტაზიებს უნდა ვეზიაროთ. აქ ერთიანობაშია წარმოდგენილი ყველაზე ადრეული და შედარებით ახალი ნამუშევრები. თუმცა, სანამ რამეს ვიტყოდეთ, ის უნდა მოვიგონოთ, რომ სწორედ ამ ნაწარმოებებით დაიწყო ქართული ჭედურობის აღორძინებაცა და განვითარებაც.

ორ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც ოჩიაურის გამოფენა არ უნახავთ თბილისელებს, თუმცა, ისტორია ოცი წლის წინ არ დაწყებულა. ზუსტად 50 წლის წინათ ახალგაზრდა მოქანდაკემ თითბრის ფირფიტაზე შესრულებული საკუთარი პედაგოგის იაკობ ნიკოლაძის პორტრეტით თანამედროვე ჭედური ხელოვნების დაბადებას ჩაუყარა საფუძველი. მან გაბედა ის, რისთვისაც მის მასწავლებელს ცხოვრება არ ეყო. როცა ახალგაზრდა მოქანდაკეს ლითონის სიბრტყიდან იაკობ ნიკოლაძემ შეხედა, იგრძნო, რომ ლითონის დაჯაბვნა შეიძლებოდა. "ეს ახალი ჭედურობის გამარჯვება იყო".

სწორედ ირაკლი ოჩიაურმა წამოიწყო ის, რასაც შემდგომში უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა.

არცთუ შორეულ წარსულში ჭედური მინიატიურები თუ სურათები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მეტიც, არ იყო ოჯახი, რომელშიც კედლებზე არ ჰქონოდათ გამოფენილი ამგვარი კოლექციები. მერე თანდათან ამ მიმდინარეობისადმი ინტერესი საგრძნობლად შემცირდა. დღევანდელი ახალგაზრდებისთვის კი ის ძალიან უცხო და ძველია. რამ გამოიწვია თანამედროვე ჭედურობის ერთგვარი ნიველირება, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, იმან, რომ მისი მოდურობის ხანაში ერთმანეთში აირია ჭეშმარიტი და ტირაჟირებული ხელოვნების ნიმუშები.

ტიციანისა და გალაკტიონის პორტრეტებით იწყება ზოგან პირობითი, ზოგან სიმბოლური, საერთოდ კი, მონუმენტური ხასიათის მქონე ლოთონზე ამოძრავებული კომპოზიციები.

"მედეა", "თიბვა", "ხარი", "ცხენები", "მოხუცი აჭარლები", "ავტოპორტრეტი"... ეს ის ნიმუშებია, რომლებიც მხატვარს ცეცხლითა და სხვადასხვა მჟავათი დაუმუშავებია და ზედაპირის ნაირფეროვნება მიუღია. მწვანე, ოქროსფერი, მეწამული მუქი შავი ფონიდან იკვეთება და არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ქმნის. ფერთა ასეთი მონაცვლეობა ნამდვილი ფერწერაა ლითონზე, რასაც მრავალი პორტრეტი და მოცეკვავეთა და შიშველ ფიგურათა დინამიკური სილუეტები ემატება.

"როდესაც პირველად წარმოვადგინე ჭედური ნამუშევარი (1953 წელი, "იაკობ ნიკოლაძის" პორტრეტი) არ მჯეროდა, თუ ამისგან რამე გამოვიდოდა. არც სხვებს მიუქცევიათ მაინცდამაინც დიდი ყურადღება. ათი-თორმეტი წელი დასჭირდა იმას, რომ დაენახათ, რაზე ვმუშაობდი. შემდეგ ბევრი მიმდევარი გამომიჩნდა, ეს დარგი პოპულარულიც გახდა, თუმცა, დღეს უკვე აღარავინ ახსენებს მას. არ ვიცი, მომავალში რა იქნება. თუ მოთხოვნა იქნება, შესაძლოა, ეს საქმე აღორძინდეს კიდეც", - სევდანარევი ღიმილით გვითხრა უკვე 80 წლის მოქანდაკემ, რომელიც ჭედურობისადმი საერთო უინტერესობის გამო ბოლო დროს გრაფიკასა და ფერწერაში მუშაობს. თუ ლითონზე პლასტიკა თანამედროვე ხელოვნებისთვის ისევ აქტუალური გახდება, მას იმდენი აქვს შექმნილი, თანაც, ისეთი ღირებული და მნიშვნელოვანი, რომ მისი შემოქმედება, არა როგორც სიახლე და წამოწყება, არამედ როგორც უკვე მყარი საფუძველი, ამ დარგის ხელახალი აღორძინება-განვითარების წინაპირობად, ერთგვარ გარანტად უნდა იქცეს.

წინ კიდევ ათი დღეა, რათა იხილოთ ერთობ სავსე და საინტერესო ექსპოზიცია - გამოფენა, რომელიც უნდა ნახოს ყველამ, ირაკლი ოჩიაურის ნიჭისა და ოსტატობის დამფასებელმა. და არა მხოლოდ მათ... გამოფენა საინტერესო იქნება მათთვისაც, ვისაც ნამდვილი ეროვნული ხელოვნებისა აღარ სწამს და მას ფსევდონაციონალურ სახეებთან, სტილიზებულ მოტივებთან აიგივებს.

# გობელენის ტაჯ-მაჰალი და სადედოფლო ყელსაბამები გალერეა "ჰობიში"



იური ლობოდინის ფოტო

ნია ნუცუბიძე

უნივერსიტეტის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, პროფესიით მხატვარ-დეკორატორის თეონა თავართქილაძის პერსონალური გამოფენა, რომელიც გალერეა "ჰობიში" გაიხსნა, რიგით პირველია; შემოქმედს აქამდე არც ჯგუფურ გამოფენებში მიუღია მონაწილეობა. საგამოფენო დარბაზში შესვლისთანავე მიხვდებით, რომ ავტორს, უდავოდ, დახვეწილი გემოვნება აქვს. ნათელ ფერთა გამა, თემატური მრავალფეროვნება, კომპოზიციები, აბსტრაქციები - ეს ყველაფერი ქმნის ერთ მთლიანობას, რასაც თეონა თავართქილაძის გობელენების, ბატიკისა და ყელსაბამების გამოფენა-გაყიდვა ჰქვია.

მხატვრის ნამუშევრები მისივე ესკიზებითა და კომპოზიციებით არის შექმნილი. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს გობელენები "ძველი ეგვიპტე", "ვარდები", "მედეა და არგონავტები", "ამურები ღრუბლებზე". განსაკუთრებით გამოვყოფდი "ტაჯ-მაჰალს", რომლის ანარეკლი ტექნიკურად საკმაოდ რთული შესასრულებელია.

თეონას თქმით, გობელენი "ვარდები" საჩუქრად გადაეცემა საქართველოს პირველ ლედის, ქალბატონ სანდრა რულოვსს. რაც შეეხება ყელსაბამებს, რომლებსაც მსოფლიოში ცნობილი ქალების მედეას, ნეფერტიტის, პენელოპას, სემირამიდას, კლეოპატრას, ანჟელიკასა და სხვათა სახელები ჰქვია, ქარვით, ბისერით, მარგალიტითა და აქატით არის შესრულებული და ნამდვილად სადედოფლო სამკაულებია.

*მოკლედ*

## საქართველოში ეროვნული მუზეუმი იქმნება

ახალ წლამდე საქართველოს ექნება ახალი, ეროვნული მუზეუმი, რომელშიც ქვეყანაში არსებული ყველა მუზეუმი გაერთიანდება. უახლოეს დღეებში საქართველოს მთავრობა პრეზიდენტს გაუგზავნის სახელმწიფო უწყებებიდან მიღებულ ექსპერტების დასკვნას, რომლებიც მხარს უჭერენ ეროვნული მუზეუმის შექმნის იდეას. ეროვნული მუზეუმის პროექტს პრეზიდენტი 15 დეკემბრამდე დაამტკიცებს, რის შემდეგაც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის გიორგი გაბაშვილის წარდგენით დაინიშნება ეროვნული მუზეუმის დირექტორი. ამ თანამდებობაზე, სავარაუდოდ, სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს წარადგენენ. ***მედია-ნიუსი***

## პროტესტი რასისტებს

კაიროს საერთაშორისო კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ისრაელის მოქალაქე პალესტინელი რეჟისორების ფილმების ჩვენება აკრძალა. რიგით 28-ე ფესტივალზე ასევე არ აჩვენებენ ფრანგი რეჟისორის როჟე ვადიმის ნამუშევარს ბრიჯიტ ბარდოს მონაწილეობით, რეჟისორის ანტიარაბული და რასისტული გამონათქვამების საპროტესტოდ. კინოფესტივალში, რომელიც 10 დეკემბრამდე გრძელდება, 49 ქვეყნის კინემატოგრაფისტი მონაწილეობს. დაგეგმილია 180 არასაკონკურსო ფილმის ჩვენება; სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებულებს კი "ოქროს პირამიდით" დააჯილდოებენ.

# ხარკი

## ქართველები ამერიკაში

ლია თოფურია
ვაშინგტონი



ბათუ სიხარულიძის ნამუშევარი.

პატარა, ძველებური ავეჯით გაწყობილი ბინაა. კედლებს ქართველ მხატვართა ნამუშევრები ამშვენებს. უზადო ქართულით მოსაუბრე, სტუმართმოყვარე დიასახლისი მეგზურობას მიწევს. ნამდვილი თბილისია - ძველი, მყუდრო, მონატრებული თბილისი. მხოლოდ ფანჯრიდან გადახედვისას მახსენდება, რომ ვაშინგტონში ვართ, არლინგტონ ბულვარზე. ქალბატონი ნანა მარანელი ამ ბინაში ახლახან დასახლდა (ქალიშვილი, სიძე და შვილიშვილები ბოსტონში გადავიდნენ საცხოვრებლად), თუმცა 10 წელზე მეტია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. საქართველოში დაიბადა. ჯერ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლობდა, შემდეგ მოსკოვში - მორის ტორეზის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში. მუშაობდა სამხატვრო აკადემიაში სწავლულ მდივნად. ქალიშვილი ხატავდა, ნანა მარანელსაც მუდამ აინტერესებდა, იზიდავდა ხელოვნება. ცოტა ხანში მან უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. იგი იყო ფილოლოგი, რომელიც წერდა ხელოვნებაზე. წერდა საინტერესოდ, ყველასათვის გასაგებად... დაიწყო "პერესტროიკა". მოსკოვში კულტურის ფონდს სათავეში რაისა გორბაჩოვა ჩაუდგა. კულტურის ფონდის საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელმა თენგიზ ბუაჩიძემ ქალბატონი ნანა ფონდში სახვითი ხელოვნების განყოფილების დირექტორად მიიწვია...

იმ ბობოქარ წლებში ბევრი საინტერესო რამ მოხდა.

ჯერ იყო და, 1987 წელს კინაღამ დაიჭირეს - ჯერ კიდევ საბჭოთა ქვეყანაში, თბილისში ისეთი კაპიტალისტური ღონისძიება მოაწყო, როგორიც მხატვართა ნამუშევრების აუქციონი იყო. გადაარჩინა იმან, რომ ცოტა ხანში გორბაჩოვამ მოსკოვში ასეთივე აუქციონი მოაწყო. სწორედ ამის შემდეგ იყო, საქართველოში ჩამოსულმა ჯორჯ სოროსმა რომ ჰკითხა: აუქციონის ორგანიზება საიდან იცოდიო... შემდეგ მან ქალბატონი ნანა ამერიკაში სამთვიანი სტაჟირებისათვის მიიწვია. "ამერიკაში ყოფნის ერთი საინტერესო ეპიზოდი უნდა გავიხსენო, - ამბობს მასპინძელი, - სოროსმა როკფელერის ფონდში მის აღმასრულებელ დირექტორთან 20-წუთიანი შეხვედრა მომიწყო. თან მითხრა: თუ შეძლებ მის დაინტერესებას იმდენად, რომ კიდევ შეგხვდეს თუნდაც 20 წუთით, საქართველოში ნამდვილად გავხსნი სოროსის ფონდს, მეცოდინება, რომ იქ კარგი დირექტორი მეყოლებაო. დანიშნულ დღეს, ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი შეხვედრის (რომლის დროსაც, ცხადია, საუბარი ქართულ კულტურას შეეხებოდა) 20 წუთი უკვე უიმედოდ იწურებოდა, როდესაც საუბარი მოსკოვში ჩატარებული "სოთბის" აუქციონს შეეხო. აუქციონის კატალოგის პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ნამუშევარი, რომელიც აუქციონზე ყველაზე ძვირად გაიყიდა. მე უკვე დასაკარგი არაფერი მქონდა და, ვინაიდან ამ საკითხზე ჩემი აზრით დაინტერესდა, მეც ვუპასუხე: სოთბის აუქციონმა ამით შესანიშნავი რუსული სახვითი ხელოვნება დაასამარა, ვინაიდან ახლა ყველა ახალგაზრდა ჩათვლის, რომ სწორედ ასე უნდა ხატოსმეთქი. ჩემი მოსაუბრე ჩაფიქრდა: ჩემი მეგობარიც ასე ფიქრობს და სტატიასაც ამზადებს, აუცილებლად უნდა შეგახვედროთო. მოკლედ, შაბათ დღეს 1,5-საათიან ლანჩზე შევხვდით..."

მალე საქართველოში სოროსის ფონდი დაარსდა, რომლის პირველი დირექტორი ქალბატონი ნანა იყო, თუმცა, მხოლოდ რამდენიმე თვით. 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით სოროსის ფონდმა არსებობა შეწყვიტა, თუმცა კულტურის ფონდმა შემდეგ, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს კულტურის ფონდმა, გააგრძელა მუშაობა. კულტურის ფონდის ეგიდით მოეწყო გამოფენები საფრანგეთში, ინგლისში, ჰოლანდიაში, ავსტრიასა და რუსეთში. პარიზში თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების აუქციონი - 10 მხატვრის 100 ნამუშევარი. ქართული სახვითი ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების რუკაზე იკავებს თავის ადგილს, არა როგორც საბჭოური ან რუსული... თბილისში, კულტურის ფონდში აუქციონებმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა. მაგალითად, აღმოჩენილ იქნა შუხაევის დაკარგული ნამუშევრები, რომელთაც მუზეუმში დაიდეს ბინა.

შემდეგ იყო მუშაობა თემო გოცაძესთან მხატვრის სახლში (პირველი გალერეა, პირველი "არტ აუქციონი"). გალერეის შექმნისას მის გარშემო შემოიკრიბნენ მხატვრები: ლევან ლაღიძე, გია გუგუშვილი, გია ბუღაძე, ირაკლი სუთიძე, მერაბ აბრამიშვილი, გელა მანჯავიძე, გია იაშვილი, შალვა მატუაშვილი... ყველაზე უფროსი ირაკლი ფარჯიანი იყო, ყველაზე უმცროსი - მიშიკო მახარაძე. აქ მოხდა "80-იანელების" პირველი ნათლობა; ავსტრიასა და საფრანგეთში პირველად დაიბეჭდა ქართველი მხატვრების რამდენიმე კატალოგი და კალენდარი, რაშიც ქალბატონ ნანას ბატონმა ლეოპოლდ ბაუსბეკმა აღმოუჩინა დახმარება, მან ნანა მარანელის პირველი გალერეა ავეჯითაც კი მოამარაგა (იგი მაშინ სასტუმრო "მეტეხს" აშენებდა)...

"ყველა ამ სამუშაოს ორგანიზებაში ძალიან დამეხმარა ვაშინგტონსა და ნიუ იორკში გავლილი სტაჟირება, - ამბობს ქალბატონი ნანა, - ქართველი მხატვრების ნამუშევრები იყიდებოდა როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში. ამ პირველი გალერეისა და კულტურის ფონდში ჩატარებული აუქციონების დამსახურებაა, რომ სურათის ყიდვის მოთხოვნილება თბილისში ისევ გაჩნდა. ქალბატონ ნანას მიერ შერჩეული სურათები დღესაც ბევრი თბილისელის სახლს ამშვენებს. გამოფენები კვლავ იმართებოდა საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, ინგლისში... მაგრამ იმ წლების დაინტერესება აღმოსავლეთ ევროპის - რკინის ფარდის მიღმა არსებული ხელოვნების მიმართ უფრო პოლიტიკური იყო. 90-იანი წლების ბოლოს ინტერესი მინელდა, ბევრი გალერეა დაიხურა. შემდეგში მრავალი საგამოფენო დარბაზი გაიხსნა, მაგრამ იმ წლების საქართველოში ნანა მარანელი უდავოდ პიონერი იყო... სწორედ ამ დროს ამერიკელმა ბიზნესმენებმა შესთავაზეს სამუშაო ტელეკომუნიკაციების დარგში, 6 წლის განმავლობაში იყო "პაბლიკ კომპანიის" პრეზიდენტი. "მხოლოდ უოლსტრიტზე მუშაობისას მივხვდი, როგორი გულუბრყვილოები და გამოუცდელები ვიყავით, როდესაც ბიზნესის ერთ-ერთი ურთულესი დარგი "არტბიზნესი" პირველებმა დავიწყეთ, თუმცა ეს ჩემთვის ბიზნესი არასოდეს ყოფილა..."

შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტში, შულცის სახელობის საერთაშორისო ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. "მე ამერიკელებს ქართულ ენას და კულტურას ვასწავლი, ვკითხულობ ლექციებს საქართველოს ხელოვნების შესახებ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ ამ უცხო ქვეყანაში ვაკეთებ იმას, რაც ყველაზე ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, ორივე ქვეყნისთვის ძალიან საჭირო საქმეს ვაკეთებ. თითქოს ჩემს ქვეყანას ხარკს ვუხდი... ჩემი სტუდენტებისთვის სრულიად მოულოდნელია, რომ ერი, რომელიც რუკაზეც კი ძლივს ჩანს, ამხელა ისტორიის, კულტურის და ხელოვნების მატარებელია."

ქალიშვილი ეკა მარანელი მხატვარია, ბოსტონის უნივერსიტეტში ფერწერას ასწავლის. მისი მეუღლე ბათუ სიხარულიძე, ნიჭიერი მოქანდაკე რომელმაც, სხვათა შორის, 10 წლის წინ, ამერიკაში ჩამოსვლისას არც ერთი სიტყვა ინგლისური არ იცოდა, ჯერ რიჩმონდში, ვირჯინიის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა პროფესორად, ახლა კი ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტის - ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორია (სხვათა შორის, ამ თანამდებობისთვის, თურმე, 87 ცნობილი ამერიკელი თუ უცხოელი მოქანდაკე-პროფესორი იბრძოდა). ახლახან ვაშინგტონში პერსონალური გამოფენა ჰქონდა, გამოფენილი იყო ბოლო 5 წლის ნამუშევრები. მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებში, მისი ნამუშევრები დაცულია ამერიკის მუზეუმებში და კერძო კოლექციებში.

ჰყავთ შვილები - 14 წლის გიორგი და 5 წლის ნანა სიხარულიძეები.

ოჯახში ცხოვრობს კიდევ ერთი წევრი - ბებია, ქალბატონი ნინო მარანელი, რომელსაც ფრიად მნიშვნელოვანი მისია აკისრია - იგი შვილთაშვილებს არ ავიწყებს ქართულ ენას და კულტურას, საკუთარ წარმომავლობას.

ასე ცხოვრობს და მოღვაწეობს ერთი ქართული ოჯახის ოთხი თაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში...

---

ნინია კაკაბაძის სვეტი

# გამარჯვებული - დამარცხებულ ტელევიზიაში



საჯარო, სახალხო, საზოგადოებრივი ტელევიზიის მოლოდინი, რომლის შექმნის პროცესი უსაზღვროდ გაიწელა, სისტემატურად საზოგადოების, მაყურებლის თუ ხალხის ყურადღების ცენტრშია. დამოკიდებულება რიგ შემთხვევაში სკეპტიკურია და რიგ შემთხვევაში საკმაოდ ოპტიმისტური. ოპტიმისტური დამოკიდებულება ამ პროექტის ავტორებს უჩნდებათ, ანუ მათ, ვისი ავტორიტეტიც ჯერ კიდევ შეულახავია. ასევე გასათვალისწინებელია დასავლური ქვეყნების ის გამოცდილება, რომელიც ამ საზოგადოებრივი ტელევიზიის პროექტში არის გამოყენებული. ეს ყველაფერი ის გახლავთ, რის გამოც საზოგადოების ნაწილი საკმაოდ ნათელ ფერებში ხედავს მომავალი საჯარო ტელევიზიის არსებობას, მაგრამ ბუნებრივია, ამასთან ერთად, მეტი თუ არა, ნაკლები მიზეზები არ არსებობს იმისათვის, რომ დამოკიდებულება სკეპტიკური იყოს. პირველ რიგში, ის გახლავთ კითხვის ნიშნის ქვეშ, თუ რამდენად შეასრულებს მომავალში საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭო თუ მისი თავმჯდომარე ყველა იმ პუნქტს, რომელიც ახლა მხოლოდ კანონის სახით არის თეთრზე შავად დაწერილი.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი საკითხი. დღეს, ჯერ კიდევ სახელმწიფო ტელევიზიას არავითარი შეზღუდვები არ გააჩნია და მისი თავისუფლება, ვფიქრობ, დღეს ყველაზე ნაკლებად არის შევიწროებული, მაგრამ სურათი ამგვარია; საინფორმაციო გამოშვებების შინაარსისა და ინტონაციის სახით, მგონი, კომუნისტურ ხანას არ ახსოვს ისეთი პათოსი, როგორიც დღეს არის. ყველაზე შემაძრწუნებელი ის არის, რომ ამ სიტყვებს, ამ ინტონაციით ისინი გადმოგვცემენ, ვინც ერთი წლის წინ პრაქტიკულად ომის დასაწყისს პროვოცირებდა საკუთარ ქვეყანაში საკუთარი გამოსვლებით. აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან ეს ყველაფერი დღეს ხდება და ლაპარაკი კი მაინც ხვალინდელ დღეზე გვაქვს. თავს უფლებას მივცემ და ამ საკითხს მომავლისთვის გადავდებ, ვინაიდან მე პირადად, და ეს ჩემი მოკრძალებული აზრია, ნაკლებად ვარ დარწმუნებული დღევანდელი სახელმწიფო და მომავალში - საჯარო ტელევიზიის ნათელ მომავალში.

დღეისათვის კი სულ რამდენიმე დღის წინ განვითარებულ მოვლენებზე მოგახსენებთ. იმ ყველაფერის შინაარსი, რასაც ტელევიზიის დღევანდელი "ბორდი" ამბობს, ჩემთვის სრულიად მისაღებია. მომავალში, უკვე საზოგადოებრივი ტელევიზიის ეკრანზე თუ ეკრანს მიღმა აღარ უნდა იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას ისინი, ვინც ხალხში უკვე, გარკვეულწილად, უნდობლობით სარგებლობენ და მათი სახეები პირდაპირი თუ ირიბი გაგებით ასოციაციურად წარსულ დროში გვაბრუნებს. ამ შემთხვევაში, ერთნაირად გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება მაყურებელიც, რომელიც ტელეეკრანთან ზის და წამყვანიც, რომელიც ამ ტელეყუთშია მოთავსებული. ყუთში მყოფს სხვაგვარად მუშაობა, აზროვნება და საუბარი გაუჭირდება, მას უკვე მენტალური პრობლემები აქვს და ხელისუფლების პირდაპირ სამსახურში ყოფნა მისთვის ისევე ორგანულია და ისევე კომფორტულად გრძნობს თავს, როგორც ჯერ არდაბადებული ბავშვი დედის მუცელში. მაყურებლისთვის კი, რომელიც მას ისევ, ოღონდ უკვე სხვა სახელწოდების ტელევიზიაში დაინახავს, განსხვავების აღქმა კიდევ უფრო რთული იქნება. მაგრამ, ყველაფერი ეს უნდა აღვნიშნო, რომ ძირითადად პოლიტიკური გადაცემების თუ საინფორმაციო გამოშვებების ჟურნალისტებს თუ წამყვანებს უფრო ეხებათ ვიდრე სხვადასხვა გასართობი თუ შემეცნებითი პროგრამების წამყვანებს, რედაქტორებს, რეჟისორებს, მემონტაჟეებს და ა.შ. თუკი მათი პროფესიონალური კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ის პუნქტი მათ ბიოგრაფიაში, რომ ისინი სახელმწიფო ტელევიზიაში მოღვაწეობდნენ, გადამწყვეტი არ უნდა იყოს. ამიტომ, ყოველ მათგანთან ერთნაირი მიზეზების დასახელება, იმის ასახსნელად, თუ რატომ არიან ისინი დათხოვილნი სამსახურიდან და რომ არც მომავალში აქვთ მუშაობის უფლება, მგონი, არც თუ ისე მართებული და რაც მთავარია, ეთიკურია. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რაც დასაწყისში მოგახსენეთ: მთლიანად ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ტელესახეები თუ მნიშვნელოვანი ფიგურები, ვინც წლების განმავლობაში მახინჯ იდეოლოგიას თესდა საზოგადოებაში და მათი მოღვაწეობა მთლიანად ტყუილზე იყო აგებული, მომავალ საზოგადოებრივ ტელევიზიაში არ უნდა მუშაობდეს.

ახლა რაც შეეხება სამომავლო გეგმებს. ერთი რამ მაკვირვებს. მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლობის კანონს პარლამენტი დაამტკიცებს, შემდეგ პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელთა სიას (პარლამენტი მათ აუცილებლად დაამტკიცებს) და შემდეგ ეს სამეურვეო საბჭო ახალ თავმჯდომარეს აირჩევს, ამის შემდეგ უნდა დაიწყოს შემოსული პროექტების შერჩევა, მათი დამტკიცება და წარმოებაში ჩაშვება. რამდენად საკვირველიც არ უნდა იყოს, ტენდერი უკვე დიდი ხანია გამოცხადებულია, მათგან რამდენიმე უკვე დაწუნებულიც არის თუ დამტკიცებულიც. სამუშაო პროცესი დღეისათვის უკვე მიმდინარეობს. ამ პროცესს დღევანდელი სამეურვეო საბჭო და ტელევიზიის თავმჯდომარე უძღვება. მაშინ რა საჭიროა ახალი საბჭოს შექმნა და ახალი თავმჯდომარის არჩევა, მე არ მესმის. თუკი მომავალი გადაცემების და თანამშრომლების ვინაობა დღეს გადაწყდა, მომავალმა ხელმძღვანელობამ რა უნდა გააკეთოს, ამაზე მე, პირადად, პასუხი არ გამაჩნია. ეს საკითხი კიდევ ერთი მიზეზია, რაც ოდნავ საეჭვო ბურუსში ხვევს საჯარო ტელევიზიის არსებობის პერსპექტივას.

დაბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი თანამშრომლების პრეტენზიული თუ განაწყენებული ტონი მიუღებელია, მაინც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ადამიანები დამარცხებულ მდგომარეობაში არიან და მათთან მუშტების მაგიდაზე რტყმევით საუბარი არ არის გამართლებული. ისევ აღვნიშნავ, რომ ეს ჩემი მოკრძალებული აზრია და განსაკუთრებით მაშინ არ არის მისაღები, როდესაც დღეისათვის დამარცხებულ ტელევიზიას გამარჯვებული თავმჯდომარე ჰყავს - ადამიანი, რომელიც ყველა მთავრობასთან, ყოველთვის, ყველა დროს საერთო ენას პოულობს და ყოველთვის ახერხებს იმას, რომ "უფროსების" გულის მოსაგებად თავისი ხელქვეითები დაჩაგროს. ამიტომ, ჯერ ტელევიზია დავამსგავსოთ ტელევიზიას, ალეკო ფარულავას (რომელიც რეკორდს ამყარებს პათეტიკური ტონით საუბარში) სამსახიობო ოსტატობას მოვაკლოთ მაყურებელი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კომკავშირლები, შემდეგ მოქალაქეები და ახლა, ალბათ, ნაციონალები, თავმჯდომარეობის პოსტიდან უკვე ჩამოვაცილოთ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ტელევიზიას და შემდეგ სუფთა ხელებით დავიწყოთ ახალი სახლის შენება.

---

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:
შეავსე ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
2 მისამართი
3 საკონტაქტო ტელეფონის ნომრები
4 დაბადების თარიღი
5 სკოლა
6 კლასი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი

ფეხბურთი

# ზიდანი "ბარსელონას" დაღლას ელის

## "ოქროს ბურთს რონალდინიო იმსახურებს"

*ზინედინ ზიდანმა უკვე მოიშუშა ტრავმა და ნელ-ნელა ვარჯიშს იწყებს. სავარაუდოდ, "რომას" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩში, რომელიც მომავალ ოთხშაბათს გაიმართება, ზიდანი შეძლებს მოედანზე გასვლას. მერვედფინალში გასასვლელად "რეალს" ამ შეხვედრაში მხოლოდ მოგება სჭირდება. ზიდანსაც ამის იმედი აქვს.*



*ზიდანი მოედანს უბრუნდება.*

**- როგორ გრძნობ თავს?**

- კარგად. უკეთესად ვარ. დღეს უკვე ვირბინე კიდეც, თუმცა, ვარჯიში ნელ-ნელა უნდა გავანახლო. ხვალ ისევ სირბილით შემოვიფარგლები, ხოლო კვირის ბოლოს ბურთითაც დავიწყებ ვარჯიშს. იმედი მაქვს, კვირისთვის საბოლოოდ მოვმჯობინდები, რათა ოთხშაბათს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვიყო.

**- რას იტყვი იმ განცხადებების საპასუხოდ, რომელთა მიხედვითაც თქვენი თაობის წარმატებული ციკლი დასრულდა?**

- ამ კითხვაზე მუდამ ერთი და იგივე პასუხი მაქვს: მე ასე არ ვფიქრობ. ეს უსაფუძვლო განცხადებებია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამჟამად ჩვენ, მართლაც, არ ვთამაშობთ ისე, როგორც ორი წლის წინათ. ჩვენ არ ვთამაშობთ ისე, როგორც ამას თავად ველოდით. ეს არის ერთადერთი კომენტარი, რომლის გაკეთებაც შემიძლია. ციკლი ჯერ არ დასრულებულა, გუნდში მხოლოდ სამი ფეხბურთელია, რომელთა ასაკი 32 წელზე მეტია. არიან 28, 25 წლის ფეხბურთელები. ყველაზე მხცოვანი მე ვარ, მაგრამ ჩვენი ჩამოწერა ჯერ ადრეა *(იცინის)*.

**- მაშინ რა არის თქვენი ცუდად თამაშის მიზეზი?**

- ძნელი ასახსნელია. მიზეზი არ არსებობს. მწვრთნელის შეცვლას ჩვენზე არ უმოქმედია, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს. გარსია რემონის ხელმძღვანელობით თავს კარგად ვგრძნობთ. ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ არსებობს. ჩვენ ვერ ვახერხებთ ზედიზედ ორი ან სამი თამაშის კარგად ჩატარებას. სწორედ ამის გამო გვაკრიტიკებენ.

**- მაგრამ შენ ვერ უარყოფ, რომ კრიტიკა სავსებით ლოგიკურია, რადგან, მაგალითად, ბარსელონაში ნამდვილად ცუდად ითამაშეთ.**

- დიახ, ცხადია, ეს ძალიან ცუდი მატჩი იყო ჩვენთვის. მაგრამ ჩვენ ვეთამაშეთ გუნდს, რომელიც სასწაულებს ახდენდა მოედანზე. პირველი 20 წუთის განმავლობაში საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდით, მაგრამ ამის შემდეგ "ბარსელონამ" გვაჯობა. ეს იყო და ეს. ჩვენ წავაგეთ ეს მატჩი და არ არის საჭირო, ყოველდღე ამაზე ვილაპარაკოთ. ცხადია, რევანშის სურვილი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რაიმე მნიშვნელოვანს კიდევ გავაკეთებთ.

**- გარსია რემონი ამბობდა, რომ გარკვეულ მატჩებში თქვენ დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდით.**

- ყოველთვის ასე იყო. აქ შენ ყოველდღე ზეწოლის ქვეშ ხარ - ვარჯიშებზე, სტადიონზე. ჩვენ ხომ მადრიდის "რეალი" ვართ. მაგრამ, არ ვფიქრობ, რომ ეს ზეწოლა რამეში ხელს გვიშლის. საქმე ის არის, რომ ისე არ ვთამაშობთ, როგორც გვინდა. ყველაფერი ეს შარშანდელი სეზონის ბოლოს დაიწყო. ვფიქრობ, ამ რთული მდგომარეობიდან გამოსვლას მაინც შევძლებთ. ჯობს, ახლა ვითამაშოთ ასე, ვიდრე სეზონის ბოლოს, როგორც ეს შარშან მოხდა. ყველა პრობლემას გადავლახავთ და აუცილებლად დავეუფლებით ტიტულს.

**- ფიქრობ, რომ სეზონის ბოლოს წარმატებული "ბარსელონა" ჩავარდება, ისევე როგორც თქვენ დაგემართათ შარშანდელ სეზონში?**

- მოვლენების ასეთი განვითარება მოსალოდნელია, რადგან "ბარსა" მხოლოდ 13 თუ 14 ფეხბურთელით თამაშობს. სწორედ ამიტომაც არ უნდა ჩამოვრჩეთ ქულების დიდი რაოდენობით, რათა შემდეგ მათი დაღლილობით ვისარგებლოთ. თუმცა, ახლა ჩვენ შორის განსხვავება საგრძნობია, ამ მომენტისთვის ისინი უკეთ თამაშობენ.

**- თქვენ ანაწილებთ დატვირთვას, რათა, შარშანდელის მსგავსად, სეზონის მიწურულს არ გადაიღალოთ?**

- ახლა ჩვენ არ ვართ ისეთები, როგორიც გვინდა, რომ ვიყოთ. მაგრამ ყველაფერი შეიცვლება. თუ ვერც ერთ ტიტულს ვერ მოვიპოვებთ, მაშინ ცვლილებებზე მოგვიწევს ფიქრი. მაგრამ ახლა ჩვენ გვყავს ძლიერი გუნდი, რომელიც აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას. ჯერ სეზონი უნდა დავამთავროთ და დასკვნები მერე გამოვიტანოთ.

**- უკვე ფიქრობ "რომასთან" მომავალ მატჩზე?**

- ცარიელ სტადიონზე არასოდეს მითამაშია. ეს უცნაური მატჩი იქნება, რადგან მაყურებელი არ გვეყოლება. მაგრამ ჩვენთვის აუცილებელია შემდეგ ეტაპზე გასვლა. არა აქვს მნიშვნელობა, როგორ ვითამაშებთ, მთავარი შედეგია.

**- ის, რომ "რომას" უკვე აღარა აქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი, თქვენთვის უპირატესობაა?**

- მიუხედავად იმისა, რომ შედეგს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მათთვის ეს მნიშვნელოვანი მატჩი იქნება, რადგან მადრიდის "რეალს" ეთამაშებიან. ისინი ბევრად უფრო მშვიდად იქნებიან. ამიტომ ძალიან სერიოზულად მომზადება გვმართებს. 200 პროცენტით მზად უნდა ვიყოთ.

**- ვინ მიგაჩნია უფრო ძლიერ ფეხბურთელად: ტოტი, კასანო თუ მონტელა?**

- ვფიქრობ, კასანო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფრო ახალგაზრდაა. ტოტი და მონტელა დიდებული მოთამაშეები არიან.

**- "ლევანტესთან" უკანასკნელ მატჩში ბექჰემი მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა, ფიგუ კი - მარცხნივ. შენი დაბრუნების შემდეგ ასეთი სქემით თამაში აღარ იქნება შესაძლებელი. როგორ მოგეწონა ეს მატჩი?**

- პირველ ტაიმში ბევრი სირთულე შეგვხვდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ყველაფერი კარგად წავიდა. ულამაზესი გოლები გავიდა. ვნახოთ, რა იქნება, როდესაც მე დავბრუნდები. არ ვიცი, რომელ პოზიციაზე აღმოჩნდება ბექჰემი. მთავარია, კომფორტულად იგრძნოს თავი. ამას მწვრთნელი გადაწყვეტს.

**- შენი აზრით, ფიგუსთან კონტრაქტის გაგრძელება ლოგიკური იქნებოდა?**

- ეჭვგარეშეა, რომ ფიგუ ამას იმსახურებს. ის ნამდვილი პროფესიონალია და გულით თამაშობს ფეხბურთს.

**- "ოქროს ბურთს" რონალდინიოს გადასცემდი?**

- მე არ მყავს ფავორიტი, რომელსაც ამ პრემიას გადავცემდი. ბევრი ფეხბურთელი იმსახურებს მას. ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ "ოქროს ბურთს" რონალდინიოს გადასცემენ. ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

# ლიგის ფინალი 20 ევრო ღირს

*უეფას წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს თავისი გეგმები 2004-2005 წლების ჩემპიონთა ლიგის ფინალის გამართვის თაობაზე. მათი სიტყვით, ფინალურ მატჩზე მოხვედრა 20 ევრო ეღირება.*



*ათათურქის სახელობის ოლიმპიური სტადიონი ჩემპიონთა ლიგის ფინალს უმასპინძლებს.*

ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ფინალური მატჩი 25 მაისს სტამბულში გაიმართება. უეფამ უკვე გამოაქვეყნა ამ მატჩის ჩატარების გეგმები. შეგახსენებთ, რომ მატჩი გაიმართება "ათათურქის" სახელობის სტადიონზე, რომელიც სტამბულის "ბეშიქთაშის" საშინაო არენაა.

ვარაუდობენ, რომ ფინალურ მატჩს 69 ათასი გულშემატკივარი დაესწრება. მიუხედავად იმისა, რომ სტადიონს შეუძლია, უფრო მეტი გულშემატკივარი დაიტიოს, უსაფრთხოების მიზნით ორგანიზატორები შეეცადნენ, ნაკლები ბილეთი დაებეჭდათ.

უეფას წარმომადგენლებმა ისიც თქვეს, თუ როგორ აპირებენ ამ ბილეთების გავრცელებას. 20-20 ათასი ბილეთი ფინალის მონაწილე გუნდების გულშემატკივრებს დაურიგდებათ. თანაც, ვარაუდობენ, რომ ფინალისტები საკუთარ გულშემატკივრებს ბილეთებს თვითონ გაუნაწილებენ. დარჩენილი 29 ათასი ბილეთი კიდევ რამდენიმე ჯგუფად დაიყოფა. 14600 ბილეთი გადაეცემათ უეფას წარმომადგენლებს, ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს, კლუბებს, ლიგებს, ეროვნულ ასოციაციებს, კომერციულ პარტნიორებს და ოფიციალურ სტუმრებს.

დანარჩენი კი თავისუფლად გაიყიდება. ამდენად, მატჩზე დასწრება ყველა მსურველს შეეძლება. ამასთან, ბილეთები ორი მეთოდით გავრცელდება: თურქეთის ფეხბურთის ფედერაციისა და უეფას ოფიციალური საიტის მეშვეობით. აქ ბილეთების შეძენა 31 მარტიდან 15 აპრილამდე იქნება შესაძლებელი. იმის გათვალისწინებით, რომ სტადიონზე მოხვედრის მსურველი მოსალოდნელზე ბევრად მეტი იქნება, უეფამ მსურველები გააფრთხილა, რომ ბილეთები კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულებს შეხვდებათ.

ბილეთის ფასია 20-დან 150 ევრომდე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უსაფრთხოების საკითხებს. "ყველა, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებულია თურქულ ფეხბურთთან, ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს იმისთვის, რომ მატჩის მონაწილეებსა და მათ გულშემატკივრებს პრობლემები არ შეექმნათ, - განაცხადა უეფას ვიცე-პრეზიდენტმა სენეშ ერზიკმა, - ამასთან, ფინალის მზადებას დიდ ყურადღებას უთმობენ უეფა და ფიფა და თვითონ მუშაობენ იმაზე, რომ შესაძლო გაუგებრობები თავიდან აიცილონ", - განაცხადა უეფას თურქმა ჩინოვნიკმა.

ამას გარდა, წარმოადგინეს ემბლემა. ლოგოტიპი შეიმუშავეს თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ და უეფამ, რომელიც, მათი თქმით, "უნიკალურად გააკეთებენ ყველაფერს, რაც ფინალთან არის დაკავშირებული - ბილეთებით დაწყებული და ქუჩის აფიშებით დამთავრებული".

"ემბლემის დიზაინი მატჩს თავის სპეციფიკას დაუმატებს, - განაცხადა უეფას აღმასრულებელმა დირექტორმა ლარს-კრისტოფ ულსონმა, - ჩემპიონთა ლიგის ფინალი ყველა ევროპული კლუბისთვის განსაკუთრებული მოვლენაა და მე დარწმუნებული ვარ, მასპინძლები ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რათა ეს ღონისძიება უმაღლეს დონეზე ჩაატარონ".

# ფრისკის ფაქტორი



მსოფლიო აღიარება მარტო შვედ ფეხბურთელებს არ ხვდათ წილად. ეს პატივი, შესაბამისად, უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონსა და ლარს-კრისტოფ ოლსონსაც ერგოთ. შვედეთში დაიბადა აგრეთვე ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი ანდერს ფრისკი, რომელიც 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩს გაუძღვა. ფრისკი არა მარტო მსაჯი, არამედ ნამდვილი გულშემატკივარიცაა. უეფას ოფიციალურმა საიტმა შვედ არბიტრს სთხოვა, შვედურ ფეხბურთზე გაუზიაროს აზრი.

**- შვედი გულშემატკივრებისთვის ბოლო 50 წლის განმავლობაში რა უმნიშვნელოვანესი მოვლენები მოხდა?**

- ბუნებრივია, ჩემთვის და მამაჩემისთვის ასეთი მოვლენა იყო 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც შვედეთში გაიმართა. მე მაშინ დაბადებული არ ვიყავი, მაგრამ იმ თაობის ადამიანები დღემდე იხსენებენ იმ ფანტასტიკურ ტურნირს. უფრო ახალგაზრდებს ახსოვთ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, როდესაც შვედეთის ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. როცა იმ მატჩების ვიდეოჩანაწერებს ვუყურებ, ჟრუანტელი მივლის.

**- შვედეთმა შესანიშნავი ფეხბურთელების მთელი პლეადა გაზარდა. თქვენ ვის გამოყოფდით?**

- ახალგაზრდობაში ძალიან მომწონდა ტორბერნ ნილსონი, რომელმაც "გეტებორგს" 1982 წელს უეფას თასი მოაგებინა. ის მარტო მაღალი კლასის ფეხბურთელი კი არ იყო, ძლიერი ხასიათითაც გამოირჩეოდა.

**- სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით, რამდენად პოპულარულია შვედეთში ფეხბურთი?**

- ვაჟთა ფეხბურთი ქვეყანაში ნომერ პირველი სპორტია, ხოლო ქალთა ფეხბურთი - უაღრესად პოპულარული. ეს თამაში ახლაც სულ უფრო მეტ გულშემატკივარს იზიდავს.

**- რით ახსნით ქალთა ფეხბურთის წარმატებას?**

- კარგა ხანია, რაც შვედეთში ქალთა ფეხბურთს დიდი ყურადღება ექცევა. შვედეთის ფეხბურთის ასოციაციამ კი შეიმუშავა ქალთა ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი გეგმა. გოგონებს ადრეული ასაკიდან სპორტისადმი სიყვარულს უნერგავენ და შემდგომში ბევრი მათგანი ფეხბურთს ირჩევს.

**- ბავშვთა ფეხბურთში როგორ მიდის საქმე?**

- ამ კუთხით ერთი წუთითაც არ წყდება მუშაობა. ზამთარში ჩემი ვაჟები სხვადასხვა ტურნირში თამაშობენ - როგორც დახურულ დარბაზებში, ისე ღია ცის ქვეშ. შვედეთი ყოველთვის განთქმული იყო ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების მომზადებით. იმედი მაქვს, ამ ტრადიციას მომავალშიც შევინარჩუნებთ.

**- თქვენ არბიტრი ბრძანდებით და ფეხბურთელებს ყოველ კვირას ხედავთ საქმეში. ჰორიზონტზე ახალი ვარსკვლავები ხომ არ ჩანან?**

- ყოველ სეზონზე გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ჩნდება და ეს უაღრესად შთამბეჭდავია. მე ჩემს თანაშემწეებს ვეკითხები: "ვინ გაიტანა პირველი გოლი?". და ვიგებ, რომ იმ ბიჭმა, რომელიც ახლახან გადმოვიდა მესამე დივიზიონიდან! ასე რომ, ჩემი აზრით, გუნდების სკაუტები თავის მოვალეობას კარგად ასრულებენ.

**- ამაყობთ თუ არა იმით, რომ ფეხბურთში შვედეთს წარმოადგენთ?**

- დიახ, თანაც, ასევეა მოთამაშეების მიმართაც. ზოგიერთ მატჩში ისიც მინახავს, რომ გულშემატკივრებს მსაჯების პატივსაცემად დროშები აქვთ აღმართული. საზღვარგარეთ მოგზაურობისას კი ხშირად ვიცვამ ქურქს შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის სიმბოლიკით და შვედური გუნდების გამარჯვებებით ვხარობ.

**- შვედეთი შესანიშნავი საფეხბურთო ჩინოვნიკების სამშობლოც არის...**

- ვფიქრობ, შვედები წინასწარ დაგეგმვის საქმეში ბუნებრივი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. ჩვენ მუდმივად მომავლისკენ ვიყურებით, მაგრამ ამავე დროს არ ვჩქარობთ და ყოველ ნაბიჯს კარგად ვაანალიზებთ.

**- დაბოლოს, რას უსურვებდით შვედურ ფეხბურთს?**

- მინდა, შვედეთში კვლავ ჩატარდეს დიდი ტურნირი. ხოლო, როგორც გულშემატკივარი, ვოცნებობ, რომ შვედურმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგა მოიგოს.

ოლიმპიზმი

# ლონდონი, პარიზი, მადრიდი, მოსკოვი და ნიუ იორკი დაიტუქსნენ

*ლონდონი, პარიზი, მადრიდი, მოსკოვი და ნიუ იორკი. ეს ის ქალაქებია, რომლებსაც ერთმანეთთან ცივი ომი აქვთ გაჩაღებული. მათი მიზანია, მოიპოვონ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება. აქედან გამომდინარე, ამ პატივისთვის ერთმანეთს მტრად მოჰკიდებიან. თუმცა, ხანდახან ზედმეტიც მოსდით. ამის გამო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი) მათ გონიერებისკენ მოუწოდებს. ერთმანეთთან შუღლს, ჯობს, ენერგია მზადებაზე გადაიტანოთ, რადგან 2005 წლის ივლისამდე არც ისე დიდი დროაო.*



*ჟაკ როგემ კანდიდატი ქალაქები დატუქსა.*

გაისად სინგაპურში, სოკ-ის სესიაზე, ხუთი პრეტენდენტიდან ერთ-ერთს ხვდება 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივი.

"ამ კვირას საორგანიზაციო კომიტეტების წარმომადგენლებს შევხვდები, - ბი-ბი-სის-თან საუბარში აცხადებს სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი. - მე მათ ვთხოვ, კონცენტრაცია საკუთარ პროგრამებზე გადაიტანონ და შეწყვიტონ ჭორაობა იმაზე, თუ ვინ რას აკეთებს, შეყვიტონ კამათი და ერთმანეთის დადანაშაულება...

უკმაყოფილო ვარ ასეთი ატმოსფეროთი. ხუთეულს მოვუწოდებ, პატივი სცენ ერთმანეთს და პრობლემებს კონსტრუქციულად მიუდგნენ".

მიუხედავად იმისა, რომ სოკ-ის წესები მკაცრად არეგულირებს პრეტენდენტთა ქმედებებს, როგორც წესი, რაც ნაკლები დრო რჩება არჩევნებამდე, მით უფრო მატულობს კანდიდატ ქალაქებს შორის შუღლი.

სწორედ ამიტომ როგს განზრახული აქვს, დუბროვნიკში, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე, ამგვარ მტრობას ბოლო მოუღოს.

საინტერესოა, რომ შარშან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრისას ლონდონის კანდიდატურის პროპაგანდაში დაადანაშაულეს. ბლერს არ ჩამორჩა პარიზის მერი ბერტრან დელანო, რომელიც შანსს არ უშვებს ხელიდან, თავის გამოსვლებში ლონდონს არ უკბინოს. ლონდონის წარმომადგენლები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ესპანეთის დედაქალაქში, "რეალის" სტადიონზე, "სანტიაგო ბერნაბეუზე", ესპანეთისა და ინგლისის ამხანაგური მატჩის დროს მასპინძლებს მადრიდის კანდიდატურის სარეკლამო პლაკატები ჰქონდათ გადმოფენილი.

მადრიდელები, თავის მხრივ, პარიზელებს ადანაშაულებენ: საფრანგეთის დედაქალაქი საელჩოების მიერ მთელ მსოფლიოშია რეკლამირებულიო.

ბი-ბი-სის-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში როგი კორუფციასთან ბრძოლასაც შეეხო. საქმე ეხება ბულგარეთის ოლიმპიური მოძრაობის "ჩინოვნიკის" ივან სლავკოვის მექრთამეობას. ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინათ ბრიტანელი ბიზნესმენების სახელით ბი-ბი-სის ჟურნალისტები ბულგარელ მაღალჩინოსანს ეწვივნენ და სთხოვეს, როცა საჭირო იქნებოდა, ლონდონის კანდიდატურისთვის დაეჭირა მხარი. უფრო სწორად, ამ საქმეში იმ ხალხის მოძიებაში დაგვეხმარეთ, რომლებიც, ფულის სანაცვლოდ, ხმებს ლონდონის სასარგებლოდ გაანაწილებენო. იქვე ისიც დაამატეს, რა თქმა უნდა, ვალში არ დაგრჩებითო. სლავკოვმა უთხრა: მაგაზე როგორ გალაპარაკებთ, იმ ხალხსაც ვნახავ, ვინც თქვენ დაგიჭერთ მხარსო (ამის შესახებ თავის დროზე ჩვენც ვწერდით).

"სოლტ ლეიკ სიტისთან (2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები) დაკავშირებული სკანდალები, როგორც იქნა, დავიწყებას მიეცა და ახალი პრობლემების (სლავკოვთან დაკავშირებით) წინაშე დავდექით.

მაგრამ მაინც მჯერა ჩემი კოლეგების კეთილსინდისიერების, ჩვენს მიერ დაწესებული კანონების სამართლიანობის, ჩვენი ეთიკის კომისიისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გამჭვირვალობისა", - აცხადებს სოკ-ის ლიდერი.

როგს არც ადამიანთა უფლებები დარჩენია უყურადღებოდ. 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ფონზე, როგორც თავად აცხადებს, იგი ყურადღებით ადევნებს თვალს, თუ როგორაა დაცული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ადამიანთა უფლებები.

"მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იქნება ჩინეთი, რაც, უეჭველია, საკუთარ კვალს დატოვებს. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ, თუმცა, განსჯის საშუალება გვექნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თამაშები დაიწყება, - სოკ-ის პრეზიდენტს ჩინეთისადმი გამძაფრებული ყურადღების იმედი აქვს. - ჩვენი ღირებულებებისადმი თვალყურის დევნება სოკ-ის ვალდებულებაა. ჩვენ გარკვევით ვთქვით, რომ ჩინელ მეგობრებსა და ჩინეთის ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დაცვას ვთხოვთ. არ შეგვიძლია იმაზე მსჯელობა, თუ როგორ იცვლება სოციალური ვითარება. ამისთვის არსებობენ სხვა ორგანიზაციები, რომელთა რჩევა-დარიგებებსაც გავითვალისწინებთ".

ახლა რაც შეეხება ტურინის 2006 წლის XX ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. იმას, რომ იტალიელებმა მზადების ტემპს უნდა უმატონ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დახმარებისა თუ მხარდაჭერისთვის იტალიის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონისაც მიმართა: "საშიში არაფერია. თამაშები კარგი იქნება, მაგრამ არსებობს სხვაობა კარგსა და არაჩვეულებრივს შორის. ასე რომ..."

მოკლედ

## სისე კოშმარულ დღეებს იხსენებს

ლივერპულის ფრანგი თავდამსხმელი ჯიბრილ სისე ყავარჯნებით და თაბაშირში ჩასმული ფეხით წარდგა ჟურნალისტების წინაშე და მიმდინარე წლის ოქტომბერში მიღებული მძიმე ტრავმის შესახებ ესაუბრა. შეგახსენებთ, რომ "ბლექბერნთან" პრემიერლიგის მატჩში სისეს ბარძაყის ძვალი გაუტყდა. ტრავმა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ, თავად ფეხბურთელის თქმით, მას კარიერის დასრულება და ინვალიდად დარჩენაც კი ემუქრებოდა.

"საშინლად მძიმე ტრავმა მქონდა. ექიმებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ჩემთვის ფეხი შეენარჩუნებინათ. თავდაპირველად ძვლები არასწორად შეხორცდა და მათი ხელმეორედ დამტვრევა გახდა საჭირო", - ყვება სისე.

ფეხბურთელმა ჟურნალისტებს ისიც უამბო, თუ რამდენად მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყო ტრავმის შემდეგ. მას დეპრესია დაეწყო, თუმცა, შემდეგ მიხვდა, რომ ყველაფერი არც თუ ისე ცუდად იყო: "ქვეყანაზე ბევრად უფრო საშინელი რამ ხდება, ვიდრე ჩემი მოტეხილობაა. ზოგიერთ ადამიანს საჭმელი არა აქვს, ბავშვები შიმშილით იხოცებიან. ამ დროს მე ფეხის გამო ვწუწუნებ". ასე რომ, სისე შეეგუა იმ აზრს, რომ ტრავმის გამო დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვერ შეძლებს ფეხბურთის თამაშს და მოთმინებით ელის იმ დროს, როდესაც მწვანე მინდორზე დაბრუნდება. "ყველაზე მძიმე პირველი დღეები იყო. მეუბნებოდნენ, რომ ფეხის ამპუტაცია იქნებოდა საჭირო. საბედნიეროდ, ისინი შეცდნენ", - განაცხადა სისემ.

## ჯეიმს ბონდი და კურნიკოვა



ქალთა ჩოგბურთის უტიტულო, მაგრამ მაინც კაშკაშა ვარსკვლავი, რომელიც ამ ნომინაციაში ქება-დიდებას საკუთარ ფიზიკურ მონაცემებს უნდა უმადლოდეს, ეტყობა, მიხვდა, რომ კორტზე არაფერი ესაქმება და ტყუილუბრალოდ ჩოგნის ქნევას პროჟექტორებით გაბრდღვიალებულ გადასაღებ მოედანზე გასვლა სჯობს. საუბარია რუსული ჩოგბურთის აწ უკვე ყოფილ სექს სიმბოლოზე ანა კურნიკოვაზე.

რა ხანია, კურნიკოვა, როგორც ჩოგბურთელი, აღარ არსებობს. რა ხანია, წერტილი დაესვა მის სპორტულ კარიერასაც, მაგრამ ფაქტია, რომ სახელი თუ პოპულარობა მაინც ჩოგბურთმა მოუტანა. საკუთარი ფიზიკური მონაცემების წყალობითაა, რომ დღეს აღარავის უკვირს, როცა ანას მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალების გარეკანზე ხედავს, ისევე როგორც გასაკვირი არ არის, თუ კურნიკოვას გვარს პლანეტის ყველაზე მიმზიდველ ქალბატონთა ნუსხაში ამოიკითხავთ. ახლა ისლაა საინტერესო, როგორ წარიმართება მისი სამსახიობო კარიერა, რომელიც, რა თქმა უნდა, ჰოლივუდს უკავშირდება.

ისე, რომელი გოგო არ ოცნებობს ფილმში მოხვედრაზე, მით უფრო, ჰოლივუდის კინოში. ჰოდა, ანამაც გადაწყვიტა, მსახიობი გახდეს. თუმცა, კინემატოგრაფში ბედის ძიება ახლა დაიწყოო, ამასაც ვერ ვიტყვით. შეგახსენებთ, რომ კურნიკოვას დებიუტი შედგა ფილმში "მე, კვლავაც მე და ირენი" (ჯიმ ქერისთან ერთად). ამბობენ, ამ ფილმის გამოსვლის შემდეგ კურნიკოვათი არაერთი ცნობილი ამერიკელი პროდიუსერი დაინტერესდაო. შედეგიც აშკარაა: კურნიკოვას წინადადებით მიმართეს, ითამაშოს ბლოკბასტერ "ჯეიმს ბონდში". სადაც ჯეიმს ბონდია, იქ რომ რუსი ქალი არ გაურიონ, როგორ იქნება...

იმასაც ამბობენ, მომავალი ბონდიანას რეჟისორმა ახლახან ანა ბევერლი ჰილზის ერთ-ერთ მდიდრულ რესტორანში დაპატიჟაო. ალბათ, მომავალი როლის შამპანურით აღნიშვნა უნდოდათ.

ჩოგბურთი

# ჰინგისი ბრუნდება

სახელგანთქმულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა მარტინა ჰინგისმა გადაწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს ტაილანდის ტურნირში, რომელიც იანვარში გაიმართება. თუმცა, იმის თქმა, რომ ამით ჰინგისი დიდ ჩოგბურთს დაუბრუნდა, ჯერჯერობით ნაადრევია.



მარტინა ჰინგისის საჩოგბურთო კარიერა მეტისმეტად დინამიკური და შთამბეჭდავი იყო. უკვე 14 წლის ასაკში მან პირველად მიიღო მონაწილეობა WTA-ის სერიის ტურნირში, ხოლო დებიუტიდან ერთი წლის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ოცეულში დაიმკვიდრა ადგილი. 16 წლის ასაკში ჰინგისმა არა მარტო პირველი ტურნირი მოიგო თავის პროფესიულ კარიერაში (ეს ამბავი ფილდერშტადტის ტურნირზე მოხდა), არამედ ის გახდა უიმბლდონის ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული. წყვილთა თანრიგში მან ელენა სუკოვასთან ერთად მოიგო საჩოგბურთო სამყაროს ყველაზე პრესტიჟული ჯილდო.

შემდგომში უკვე დიდი გამარჯვებების ჯერიც დადგა. ჰინგისმა "დიდი სლემის" ხუთი ტურნირი მოიგო, ამასთან, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულიც გახდა. მარტინა ჩოგბურთიდან ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა. 2001 წელს მან უმძიმესი ტრავმა მიიღო - მარჯვენა ფეხზე მყესები გაუწყდა. ამის გამო ჩოგბურთელი გაურკვეველი დროით მწყობრიდან გამოვიდა. თანაც, მისთვის ფატალური სწორედ ფილდერშტადტის ტურნირი გახდა.

მარტინამ ერთი წელი ჩოგბურთის გარეშე გაატარა და გადაწყვიტა, კორტზე აღარ დაბრუნებულიყო. სამაგიეროდ, ახლა ჰინგისმა მოულოდნელად გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს ტაილანდის მესამე კატეგორიის ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 170 ათასი დოლარია. ამასთან, თავად ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ ის ამ შეჯიბრებაში მხოლოდ ქველმოქმედების მიზნით ითამაშებს. "მინდა, საზოგადოების ყურადღება მივაპყრო უპოვარ ადამიანებს. ასეთი კი უამრავია არა მხოლოდ ტაილანდში, არამედ მთელ მსოფლიოში", - განაცხადა ჰინგისმა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჰინგისი საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. კერძოდ, 2000 წელს, როცა მარტინა სპორტული ფორმის პიკზე იყო, ტურნირებს შორის შესვენების დროს ის სწორედ საქველმოქმედო შეჯიბრებებში მონაწილეობდა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოიჩინა მან თავი გაეროს ეგიდით გამართულ აქციებში სიღარიბისა და პოლიომიელიტის წინააღმდეგ.

თუმცა, ჰინგისის ასეთი მოულოდნელი დაბრუნება მაინც ეჭვს ბადებს. რისთვის უნდა მოენდომებინა ჰინგისს კორტზე დაბრუნება? ნუთუ საქმე მართლა მხოლოდ ქველმოქმედებაშია? ალბათ, ასეც არის. თუმცა, უნებურად მაინც ფიქრობ: ხომ არ სურს მარტინას, შეამოწმოს თავისი ახლანდელი ფიზიკური კონდიციები და ის, შეძლებს თუ არა უმაღლეს დონეზე წარმატებულ თამაშს? შეიძლება პეტაიას ტურნირი დიდ ჩოგბურთში დაბრუნებისკენ მიმართული პირველი ნაბიჯია. პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგის საუკეთესო ოცეული კი დღეს ასე გამოიყურება.

| | |
|---|---|
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4760 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 4546 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 4012 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3536 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3533 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1278 |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 3128 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 2884 |
| ვინუს უილიამსი (აშშ) | 2400 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2359 |
| ვერა ზვონარევა (რუსეთი) | 2299 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 2022 |
| ალისია მოლიკი (ავსტრალია) | 1970,75 |
| პეტი შნაიდერი (შვეიცარია) | 1638 |
| ელენა ბოვინა (რუსეთი) | 1598 |
| პაოლა სუარესი (არგენტინა) | 1535 |
| აი სუგიამა (იაპონია) | 1469 |
| მარიანა ასპრემი (ხორვატია) | 1451,75 |
| ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) | 1397 |
| სილვია ფარინა-ელია (იტალია) | 1334 |

TV-სპორტი

### პარასკევი. 3 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:30 NBA TV. სეზონი 1995-1996. "MILWAUKEE BUCKS" - "BOSTON CELTICS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - საფრანგეთის ჩემპიონატი.
"მარსელი" - "ნანტი"
14:00 ჩემპიონთა ლიგა. "ბარსელონა" - "სელტიკი"
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:35 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "ლევანტე"
18:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:40 თავისუფალი დარტყმა
18:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - ცსკა. პირდაპირი ტრანსლაცია
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 უკრაინის ჩემპიონატი. "კრივბასი" - "დინამო"
22:15 თავისუფალი დარტყმა
22:30 "2:1". ტოქ-შოუ
23:30 ჩემპიონთა ლიგა. "ვერდერი" - "ინტერი"
01:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:20 02:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV. "BOSTON CELTICS" - "TORONTO RAPTORS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 16:15, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. ვაჟები. სუპერგიგანტი
12:00 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი კორეაში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 "მოტოვებული კვირა"
15:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
16:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
17:00 "საფეხბურთო წრე"
18:00 ტაილანდური კრივი
19:15 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
19:45 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
20:30 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "ჰოკეი-პლუს"
22:00 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი კორეაში. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
10:30 ავტორბოლები
11:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი
13:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. სპრინტი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი
18:30 ბობსლეი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
20:00 ბობსლეი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი კანადაში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ბოულინგი. ტურნირი შოტლანდიაში. ფინალი
01:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ახალი ამბები
02:15 ექსტრემალური სპორტი. LG აქტიური სპორტი
03:15 ახალი ამბები

# ქართველ მეცნიერთა ნაშრომების ციტირების შესახებ

ირმა ონოფრიშვილი
ნიუ იორკის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრი
თენგიზ ბერიძე
აკადემიკოსი
ირინა ჭაფარიძე
სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მდივანი

ბოლო პერიოდში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მსოფლიოში სულ უფრო მკვიდრდება აზრი, რომ ფუნდამენტურ მეცნიერებათა სფეროს მეცნიერთა მოღვაწეობის რიცხობრივი შეფასება შესაძლებელია მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების ციტირების ანალიზის საფუძველზე. ყოველი მეცნიერი თავისი მოღვაწეობის მანძილზე განუწყვეტლივ "აფასებს" სხვა მეცნიერთა შრომებს, ახდენს რა მათ ციტირებას თავის შრომებში. მეცნიერთა მეტნაკლებად ზუსტი რეიტინგების დადგენა შესაძლებელია მათი ნაშრომების ციტირებათა რაოდენობის ანალიზის საფუძველზე. მეცნიერომეტრიის ამ ახალი მიდგომების ავტორი არის ამერიკელი იუჯინ გარფილდი, სპეციალობით ქიმიკოსი და ბიბლიოთეკათმცოდნე, ამერიკის სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის (ISI) დამფუძნებელი (1964 წ). 1990 წლიდან ამერიკის ინფორმაციის ინსტიტუტი ეკუთვნის კანადურ კომპანიას Thompson Scientific-ს.

გარფილდმა მეცნიერომეტრიაში შემოიტანა ორი მნიშვნელოვანი სიდიდე: მეცნიერის ციტირების ინდექსი და სამეცნიერო ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი. მეცნიერის ციტირების ინდექსი, მარტივად რომ ვთქვათ, არის რიცხვი, რომელიც უჩვენებს რამდენჯერ არის ციტირებული ამა თუ იმ მეცნიერის ნაშრომი მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო-პერიოდულ ლიტერატურაში. 80-იანი წლების დასაწყისში გარფილდმა აღმოაჩინა, რომ არსებობს პირდაპირი კორელაცია მეცნიერის ციტირების ინდექსის სიდიდესა და მისთვის სამეცნიერო ჯილდოების, გრანტებისა და წოდებების მინიჭებას შორის. ამჟამად, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ციტირების ინდექსი არაოფიციალურად გამოიყენება ერთ-ერთ კრიტერიუმად ამა თუ იმ მეცნიერის მიერ სამეცნიერო პოზიციების დაკავებისას.

მეორე სიდიდე - სამეცნიერო ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი ყოველ მოცემულ წელს არის შეფარდება, რომლის მრიცხველია ჟურნალის ციტირების მაჩვენებელი წინა ორი წლის განმავლობაში, ხოლო მნიშვნელი - ჟურნალში ამავე დროში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა. მაგალითად, 1998 წელს ყველაზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორი - 42.929 გააჩნდა ჟურნალს Annual Review of Immunology, ე.ი. წინა ორი წლის მანძილზე ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ყოველი სტატია ციტირებული იყო საშუალოდ 43-ჯერ. 2003 წელს რუსულენოვანი ჟურნალებიდან ლიდერობდნენ - Успехи Химии (იმპაქტ-ფაქტორი - 1.429) და Успехи Физическихс Наук ( იმპაქტ-ფაქტორი - 1.182). ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებია.

ამერიკის ინფორმაციის ინსტიტუტი თავდაპირველად ახდენს ამ გიგანტურ მონაცემთა ბაზის მოპოვებას (2004 წელს მისი მონაცემთა ბაზა მოიცავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამომავალი 8815 ჟურნალის სტატიებში ციტირებულ ნაშრომებს) და, შემდგომ, მის კომპიუტერულ დამუშავებას. ციტირებული ნაშრომების რიცხვი ყოველწლიურად რამდენიმე ათეულ მილიონს შეადგენს.

აღნიშნული 8815 ჟურნალის ბაზაზე შედგენილია ამერიკის ინფორმაციის ინსტიტუტის ძირითადი ე.წ. ISI Master Journal-ის ნუსხა. ამ ძირითად საჟურნალო სიაში რომელიმე ახალი ჟურნალის "მოხვედრა" საკმაოდ რთულია. ამას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინსტიტუტის ხელმძღვანელობა წყვეტს, ითვალისწინებს რა მრავალ ფაქტორს, რომელთა შორის, როგორც ჩანს, ძირითადი ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორია. Master Journal-ის სიაში მოსახვედრად საჭირო იმპაქტ-ფაქტორის რაიმე კონკრეტულ სიდიდეს ინსტუტუტი არ უთითებს, მაგრამ ეს ზღვრული სიდიდე, როგორც ჩანს, არანაკლებ 0.1-ს უნდა შეადგენდეს. ინსტიტუტის ყველა გათვლა ეყრდნობა ამ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ანალიზს.

ამ საჟურნალო სიაში ISI-ს 2002 წელს შეტანილი ჰქონდა რუსეთში გამოცემული 71 ჟურნალი. 2003 წელს ეს რიცხვი 107-მდე გაიზარდა. ეს ზრდა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანწილად განაპირობა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სწორმა პოლიტიკამ, რომლის მიხედვით აკადემიის საგამომცემლო ორგანიზაცია მათკ-მა დაიწყო ჟურნალების ინგლისურენოვანი ვერსიების გამოშვება.

როგორია ქართველ მეცნიერთა ციტირების ინდექსი? როგორია საქართველოში გამოცემული ჟურნალების იმპაქტ-ფაქტორი? რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამგვარი ანალიზი საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. წინამდებარე გამოკვლევის მიზანია ამ ხარვეზის ნაწილობრივი შევსება.

ასეთი გამოკვლევის ჩატარებისას ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა






სურ.1 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო გაყოფილებების წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების ჯამური ციტირება. ორდინატზე გადაზომილია ციტირების რაოდენობა.

1. მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება; 2. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება; 3. გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება; 4. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება; 5. ბიოლოგიის განყოფილება; 6. ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება; 7. სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება; 8. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; 9.ენისა და ლიტერატურის განყოფილება.




სურ.2 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებების ციტირება განყოფილების ერთ წევრზე გადაანგარიშებით. ორდინატზე გადაზომილია ციტირების რაოდენობა.

1. მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება; 2. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება; 3. გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება; 4. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება; 5. ბიოლოგიის განყოფილება; 6. ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება; 7.სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება; 8. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; 9. ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

არის, თუ ვისი ციტირების ინდექსის დადგენა გვსურს. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა მოგვეპოვებინა საქართველოში მოღვაწე ყველა მეცნიერის ციტირების ინდექსი. გამოკვლევის საწყის ეტაპზე შემოვიფარგლეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების იმ სიით, რომელიც გამოქვეყნებული იყო მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე (www.acnet.ge) 2004 წლის 1 იანვრისათვის. ამ სიაში 70 აკადემიკოსისა და 69 აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გვარია, მათგან რამდენიმე, სამწუხაროდ, ჩვენს შორის აღარ არის. მონაცემთა მოძიების დროს ძირითადად გამოყენებული იყო ვებ-გვერდზე მოცემული გვარების ტრანსკრიფციები. WEB of Science-ში ვირჩევდით Cited Reference Search-ს და შეგვყავდა თითოეული მეცნიერის გვარი ინიციალების გარეშე. ამ გზით შესაძლებელი იყო 500 ციტირების მიღება თითოეული გვარის მიხედვით. თუ ეს რიცხვი 500-ს აღემატებოდა, მაშინ გვართან ერთად დამატებით შეგვყავდა ინიციალებიც.

მოპოვებული შედეგები დავაჯგუფეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიხედვით. სურ.1-ზე მოცემულია აკადემიის წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების ციტირების ჯამური ინდექსების განაწილების დიაგრამა. პირველი ოთხი ადგილი ციტირების რაოდენობის მიხედვით საკმაო უპირატესობით უკავიათ: მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებას (7430 ციტირება), ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას (2921 ციტირება), ბიოლოგიის განყოფილებას (2039 ციტირება) და ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილებას (1867 ციტირება).

უნდა აღინიშნოს, რომ ენისა და ლიტერატურის განყოფილების წევრების ციტირების ინდექსის ჯამური რიცხვი (555) მნიშვნელოვანწილად განპირობებულია აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის შრომების ციტირების მაჩვენებლით. განყოფილების წევრთა ჯამური ციტირების რიცხვიდან 528 მისი ნაშრომების ციტირებაზე მოდის.

სურ.1 მოყვანილ სიდიდეებში არ არის გათვალისწინებული, რომ სამეცნიერო განყოფილებების წევრთა რიცხვი არათანაბარია. ეს ნაკლი გამორიცხულია სურ.2-ში, სადაც მოყვანილი ციტირების ინდექსები გადაანგარიშებულია განყოფილების ერთ წევრზე. ამ შემთხვევაშიც განაწილების ზოგადი სურათი იგივე რჩება. პირველ ოთხ ადგილზე იგივე განყოფილებები არიან, მაგრამ შეცვლილია ურთიერთშეფარდება, რადგან ფიზიკისა და მათემატიკის განყოფილების წევრთა რიცხვი სხვა განყოფილებებისას აღემატება და ერთ წევრზე გადაანგარიშებისას ეს განსხვავება მცირდება.

მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის დროს აუცილებელია მრავალი ფაქტორის გათვალისწინება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ განიხილება მხოლოდ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში მოხვედრილი ციტირებები, არ აღირიცხება წიგნებსა და შრომათა კრებულებში ციტირებული ნაშრომები. ამის გამო, მეცნიერთა უმრავლესობის ციტირების მაჩვენებელი რეალურზე ნაკლებია. თითოეული ავტორის ციტირების გარკვეულ ნაწილს შეადგენს თვითციტირება, რომელიც ზოგჯერ მნიშვნელოვან სიდიდეს აღწევს. სხვა ფაქტორებს შორის აღსანიშნავია ამა თუ იმ დარგის "მაციტირებელი" აუდიტორიის სიდიდე, რომელიც მეცნიერების ცალკეულ დარგებში განსხვავებულია.

ამდენად, სიაში ამა თუ იმ ადგილის დაკავებაზე საუბარი საკმაოდ პირობითია და ამ მაჩვენებლების პირდაპირი ინტერპრეტაცია მიუღებელი, საჭიროა ზოგიერთი სხვა ფაქტორის გათვალისწინებაც. მაგალითად, ციტირების ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ლოურისა და თანაავტორთა შრომას, რომელშიც ცილის განსაზღვრის მეთოდია აღწერილი, და მასზე ათასობით ციტირებაა, თუმცა განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობა ამ ნაშრომს არა აქვს (Lowry, O. H., N. J. Rosebrough, A.L. Farr and R. J. Randall, 1951. Protein measurement with the Folin-Phenol reagents. J. Biol. Chem. 193: 265-275).

მეორე მხრივ, ციტირება მაინც რეალურად ასახავს მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს. ეს ქართულ მეცნიერებასაც შეეხება. საყოველთაოდ აღიარებულია აკადემიკოს ლ. გაბუნიას, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ვეკუასა და მათი კოლეგების ნაშრომები დმანისის ტერიტორიაზე ჰომინიდების ნაშთების აღმოჩენასთან დაკავშირებით. ეს ციტირებითაც დასტურდება. ჟურნალ Nature-ში 1995 წელს გამოქვეყნებული ერთ-ერთი ეს ნაშრომი ციტირებულია 77-ჯერ, ჟურნალ Science-ში (2000 წ.) - 46-ჯერ. ამ ორი ნაშრომის ციტირება აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ვეკუას ჯამური ციტირების 52 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს აკადემიის წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა მაღალი ციტირების პირველ ოცეულში შედიან: ფიზიკოსი - 7; ქიმიკოსი - 5; ბიოლოგი + ფიზიოლოგი - 4; მათემატიკოსი - 2; ექიმი - 1; ფილოლოგი - 1.

საინტერესო იქნებოდა იმის დადგენა თუ როგორი იყო წინა თაობის ქართველ მეცნიერთა ნაშრომების ციტირების მაჩვენებლები. წინამდებარე გამოკვლევაში აკადემიის წევრების ივერ და არჩილ ფრანგიშვილების ნაშრომთა ციტირების მოძიებისას კომპიუტერმა გვიჩვენა აკადემიკოს ალექსანდრე ფრანგიშვილის ციტირებული ნაშრომები, რომელიც არჩეული იყო 1974 წელს სპეციალობით "ფსიქოლოგია" (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება). მისი ციტირების ინდექსმა შეადგინა 88. ეს მნიშვნელოვნად აღემატება საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ციტირების დღევანდელ საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 8-ს შეადგენს.

სამეცნიერო პუბლიკაციების ციტირება მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე მონაცემთან, რომლის მიხედვით ხდება სამეცნიერო ჟურნალების ციტირების შეფასება და, შესაბამისად, მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ჟურნალის "სამეცნიერო წონის" დადგენა - ე.წ. იმპაქტ-ფაქტორი. სამეცნიერო ჟურნალების იმპაქტ-ფაქტორი ქვეყნდება ჟურნალების ციტირების მაჩვენებელში - Journal Citation Report (JCR).

გვინდა შევეხოთ აგრეთვე საქართველოში გამომავალი ჟურნალების იმპაქტ-ფაქტორის პრობლემას. ქართული სამეცნიერო ჟურნალებიდან უძველესი არის "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", რომელიც 1940 წლიდან გამოდის. საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისათვის ის ძირითადად ცნობილი იყო როგორც Сообщения Академии Наук Грузинской ССР. ამ ჟურნალს ავრცელებდა "სოიუზპეჩატი". უცხოელ ხელმომწერთა რიცხვი 80-ან წლებში 100-ს აღემატებოდა. ჟურნალს ძირითადად იწერდნენ სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო ბიბლიოთეკები, ნაწილი ვრცელდებოდა დასავლეთის ქვეყნებში, ძირითადად ორიენტალისტიკის მიმართულების ცენტრებსა და კათედრებზე. ცნობილი მიზეზების გამო, ჟურნალს 1992 წლიდან შეეცვალა დასახელება და ახლა ის უცხოეთში ვრცელდება როგორც Bulletin of the Georgian Academy of Sciences. ჟურნალის ე.წ. "ბრენდის" შეცვლას უკვალოდ არ ჩაუვლია. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ხელმომწერთა რიცხვი მკვეთრად დაეცა. 1993-2004 წწ. ამ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები ციტირებულია სულ 74-ჯერ (მონაცემები ქართული ჟურნალების ციტირების შესახებ მოწოდებულია აკად. ი. კიღურაძის მიერ). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში სულ გამოქვეყნებულია დაახლოებით 3600 სტატია, ციტირების ინდექსი არის დაახლოებით 0.02.

2001-2002 წლებში ჟურნალში გამოქვეყნებულია 754 სტატია, 2003 წელს ციტირებულია - 12. ამდენად ციტირების ინდექსი შეადგენს 0.016. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს თვითციტირებასთან. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ჟურნალს სჭირდება მსოფლიო სამეცნიერო ბაზარზე ხელახალი დამკვიდრება.

გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა საქართველოში მათემატიკის პროფილის გამოცემებთან დაკავშირებით. ჟურნალის "ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის შრომები" (Proceedings of Tbilisi A.Razmadze Mathematical Institute) იმპაქტ-ფაქტორმა 1994-2003 წლებში შეადგინა 0.127; ჟურნალის "მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში" (Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics) იმპაქტ-ფაქტორმა - 0.25; "საქართველოს მათემატიკური ჟურნალის" (Georgian Mathematical Journal) - 0.32; ჟურნალის "ჰომოლოგია, ჰომოტოპია და მათი გამოყენებები" (Homology, Homotopy and Applications) - 0.8.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში "სამეცნიერო" ჟურნალების გამოცემების ნამდვილი ბუმია. ამ ჟურნალების შემოსავლის წყაროა არა ჟურნალის გავრცელება-მიყიდვა მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ბიბლიოთეკებში (ასეთი ბიბლიოთეკა დაახლოებით 1000-მდეა), არამედ დისერტაციის დაცვის მსურველთა მოზიდვა და მათგან სახსრების ამოღება. ცნობილია სწავლულ ექსპერტთა საბჭოს დებულების მოთხოვნა, რომ დისერტანტს უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები. დისერტანტების გარკვეული ნაწილი ნაშრომების დაბალი დონის გამო ვერ ახერხებს რა მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში მათ გამოქვეყნებას, იხდის ასობით ლარს ამ კომერციულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისათვის. ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან შემდეგნაირად გვესახება: წამყვანმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უნდა თავის თავზე აიღონ რამდენიმე დარგობრივი ჟურნალის გამოცემის დაფინანსება, სადაც ავტორი თანხას არ გადაიხდის, რედკოლეგიები რეალურად იმუშავებენ და ყველა ნაშრომი რეცენზიას გაივლის.

## ორშაბათი 6.12

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** ქართული ფეხბურთი **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.50** პატრული **19.00** ქართ. ფეხბურთი **20.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** "მის მსოფლიო" **00.00** მხ. ფილმი "ფანატიკოსი" (18) (ბილი ზეინი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.05(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა "მედიტერანეო" ქურთულ თურქული კონფლიქტი. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **13.05** გადაცემა: კიოსკი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ფერნანდ პუილონი. Arქიტექტორის ცხოვრება. დოკ. ფილმი. **23.05** გადაცემა: თვალსაზრისი. **24.30** ვენგო. მუსიკალური ფილმი. რეჟისორი ტონი გატლივი. 2000.

### პირველი არხი

**08.00** მოამბე **08.10** პროფილაქტიკა **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ოცნების სახლი" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ტელეზღაპარი **20.00** მოამბე **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ღამის მატარებელი **23.00** მოამბე **00.00** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" (გ)

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "სევდაშიც და სიხარულშიც" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". გია დანელია. **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **00.00** მხ. ფილმი "შმაგი სიყვარული" (18) (რობერტო ალვარესი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **19.25** სერიალი "ცხელი ზაფხული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "მამას ჯოხი" (გ) **19.30** დოკ. ფილმი **20.30** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "თეფკე-გზ"-ის შთამომავლობა (12)

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.40, 16.25, 03.05** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" მე-4ს. **17.10, 03.35** იმედის მელოდიები **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მტვრის გემო" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-12ს. **23.15** "არჩევანი თქვენ" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **02.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** "სხივი" **10.00** კომედია "ლუნი ტუნზი კვლავ საქმეშია" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ფანტასტიკა "ღრმად ჩაძირვა" **13.15** ვესტერნი "რამდენიმე დოლარით მეტი" **16.00** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** კომედია "ცხრა იარდი" **21.00** თრილერი "გატაცება 60 წამში" **22.40** დოკ. ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "ტკბილ-მწარე სიყვარული"

### ОРТ

**09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Джим Керри в комедии **"ЛЖЕЦ, ЛЖЕЦ"**. **11.00** "Шутка за шуткой". **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.10** Джадж Райнхолд в комедии **"ЧЕТВЕРТЫЙ БЕТХОВЕН"** **15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал" **19.00** Сериал **"КЛОН"**. **20.00** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Чулпан Хаматова в многосерийном фильме **"ДЕТИ АРБАТА"**. **22.40** Док. фильм "Романы Матильды Кшесинской". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Искатели. "Узник Петропавловки". **00.40** Алексей Глызин в программе "Русский экстрим". **01.10** Энди Гарсиа в триллере **"НОЧЬ НАД МАНХЭТТЕНОМ"** **02.50** Рой Шайдер в боевике **"КОЛДУН"**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чистосердечное признание. **10.50** Олег Басилашвили в комедии **"ЯДЫ, ИЛИ ВСЕМИРНАЯ ИСТОРИЯ ОТРАВЛЕНИЙ"** **13.40** Анатолий Хостиков в боевике **"ШТЕМП"** **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Совершенно секретно. Информация к размышлению. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ..."**. **20.50** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ"**. **22.00** "Страна и мир". **22.40** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО..."**. **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**. **01.15** Особо опасен! **01.45** Борис Невзоров в фильме **"НАЙТИ И ОБЕЗВРЕДИТЬ"**. **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: гигантская выдра". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА"**. **04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ"**.

## სამშაბათი 7.12

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ფანატიკოსი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "ვალენსია"-"ვერდერი" **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.20(შვეიცარია), 02.50(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** დ დიზაინი. 2004-2005 შემოდგომა-ზამთარი. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **16.30** გადაცემა: აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **23.00** გადაცემა: დებატები. ევროპელი მუსულმანი ქალები. **24.25** კრისპირდი. Aქტუალური თემა არლეტ შაბოსთან ერთად. **03.20** ექიმი ნაგეში. დოკ. ფილმი. **04.30** ნაჭილა. მხ. ფილმი. რეჟისორი ფარუკ ბელუფა.1979.

### პირველი არხი

**08.00** მოამბე **08.10** დოკ. ფილმი "ოცნების სახლი" **09.20** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** "მატარებელი" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ლეგენდარული თვითმფრინავები" **15.20** "ანშლაგი" -"ბაგრატიონები" **16.05** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" 1-ლი ს. **16.30** "ისტორიანი" **16.55** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 1-2 ს. **17.10** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "მაოს ფოტოგრაფები" **19.10** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.45** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **21.40** "გრიფით საიდუმლო" **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "თემო" (გ)

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) მე-3ს. **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

